ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№226 (12 296)

25 სექტემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

ველით მოგებას რჩეულებისგან

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

გუშინ, საქართველო-ნამიბიის თამაშამდე 48 საათით ადრე საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა დაასახელა შემადგენლობა ხვალინდელი მატჩისთვის.

15. მალხაზ ურჯუკაშვილი
14. ირაკლი მაჩხანელი
13. დავით კაჭარავა
12. ირაკლი გიორგაძე
11. გიორგი შკინინი
10. მერაბ კვირიკაშვილი
9. ირაკლი აბუსერიძე (კაპ)
1. გოდერძი შველიძე
2. აქვსენტი გიორგაძე
3. დავით ზირაქაშვილი
4. ლევან დათუნაშვილი
5. მამუკა გორგოძე
6. გია ლაბაძე
7. რატი ურუშაძე
8. გიორგი ჩხაიძე
16. დავით ხინჩაგიშვილი
17. ავთანდილ კოპალიანი
18. ვიქტორ დიდებულიძე
19. ბესიკ უდესიანი
20. ბიძინა სამხარაძე
21. რევაზ გიგაური
22. ბესიკ ხამაშურიძე

არგენტინასთან და ირლანდიასთან მატჩების შემდეგ მწვრთნელებმა საუკეთესო შემადგენლობა ამოარჩიეს. აქ მოყვანილი თხუთმეტეულიდან ორივე მატჩში ძირითადში იყვნენ მხოლოდ **ურჯუკაშვილი, კვირიკაშვილი, გორგოძე** და **ჩხაიძე**. ხვალ ნაკრების კაპიტანი პირველად იქნება **ირაკლი აბუსერიძე**.

საფრანგეთი. საქართველოს ნაკრების ახალი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი და ირაკლი მაჩხანელი ვარჯიშზე

გუშინ საღამოსვე ნამიბიის ნაკრების მწვრთნელმა **ჰაკის ჰუსელმანმაც** გამოაქვეყნა თავისი რაზმი: **15. ჰაინი ბოკი 14. რაიან ვიტბუი 13. პიტ ფანზილი 12. კორნე პაუელი 11. ბრედლი ლანხენჰოვენი 10. ტერტიუს ლოსპერი 9. იუჯინ იანჩისი; 1. კეეს ლენსინხი (კაპ) 2. ჰუგო ჰორნი 3. მარიუს ფისერი 4. ვაკა კაზომბიაზე 5. ჰაინო სენეკალი 6. ჟაკ ნიუვენჰოისი 7. ჟაკ ბურხერი 8. თინუს დიუპლესი** / 16. იოჰანეს მაიერი 17. იონი რედელინგჰოისი18. იან დიუტუა 19. ნიკო ესტერჰოიზე; 20. იური ფანტონდერი 21. მელრიკ აფრიკა 22. მორნე შრიოდერი.

არგენტინასთან ბოლო, 22 სექტემბერს გამართული მატჩის შემდეგ მწვრთნელმა თხუთმეტეულში 7 კაცი დატოვა. გუნდს დაემატა მესამეხაზელი **ჟაკ ნიუვენჰოისი**, ვინც 16 სექტემბერს საფრანგეთთან გააძევეს და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. ამავე თამაშში მიღებული ტრავმა ვერ მოირჩინა და შემადგენლობაში ვერ მოხვდა ძირითადი 10 ნომერი **ემილ ვესელსი**.

ნამიბია ხვალინდელი მატჩით მსოფლიო თასს ემშვიდობება. მათ აქამდე სამი მატჩი წააგეს (ირლანდია 17:32, საფრანგეთი 10:87, არგენტინა 3:63). საქართველოს ნაკრები ბოლო მატჩს 30 სექტემბერს საფრანგეთთან გამართავს. აქამდე ჩვენები არგენტინასთან (3:33) და ირლანდიასთან (10:14) დამარცხდნენ. თავის ორ მსოფლიო თასზე საქართველოს ჯერ თამაში არ მოუგია.

სად აშენდება 10 ახალი სარაგბო სტადიონი:

თბილისი
ქუთაისი
თელავი
რუსთავი
ასპინძა
დუშეთი
მარტვილი
ოზურგეთი
ბათუმი
ფოთი

ინტერვიუ რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ კოკა ლაზიშვილთან 13

ნიკოლა ფულკიეს სასწაული

ანრი ბრონკანი ფრანგებთან მატჩისთვის ემზადება

ოქროს სექტემბერი

საქართველო GEORGIA

ნამდვილად უხვმოსავლიანი სექტემბერი დაუდგა ქართულ სპორტს. ძიუდოისტების შემდეგ ესტაფეტა მოჭიდავეებმა გადაიბარეს. ბაქოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი ბერძნულ-რომაული სტილით ფალავნების ასპარეზობა მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს - ბრწყინვალე! წლის განმავლობაში ერთ სახეობაში ორი მსოფლიო ჩემპიონი დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში არ გვყოლია. ეს სიხარული დავით ბედინაძემ და რამაზ ნოზაძემ გვაჩუქეს. უდავოდ ნიჭიერმა ფალავანმა ბადრი ხასაიამ კი ბრინჯაოთი დაიმშვენა მკერდი.

სამწუხაროა, რომ თავიანთ კოლეგებს კარგად ვერ აუბეს მხარი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. ოთარ თუშიშვილის მე-3 ადგილი და გელა საღირაშვილის მიერ პეკინის ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება ნაკრების წევრთა პოტენციალს ნამდვილად არ შეესაბამება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიურ ფონდთან ერთად ულოცავს ბაქოში თავგამოჩენილ ჩვენს მოჭიდავეებს ოქროსა და ბრინჯაოს მედლებთან ერთად 2008 წლის ოლიმპიური თამაშებზე ასპარეზობის უფლების მოპოვებას.

ეს შედეგები განპირობებულია ნაკრების მწვრთნელთა კორპუსის, სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმისა და შრომისმოყვარეობის, ჭიდაობის ფედერაციის გამართული საქმიანობითა და სხვა სპორტული სტრუქტურების ერთობლივი წარმატებული მუშაობის შედეგად.

სიამოვნებით აღვნიშნავთ საქართველოს ოლიმპიური ფონდის სოლიდურ წვლილს ბაქოურ წარმატებაში, რომელმაც დააფინანსა ჩვენი ფალავნების მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების ყველა ეტაპი და მასში მონაწილეობა.

გვჯერა, რომ ქართველი მოჭიდავეები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ოლიმპიადამდე დარჩენილ სპეციალურ ტურნირებში მაქსიმალურად მოიპოვონ ლიცენზიები და პეკინში წარმატებული ასპარეზობით სიხარული მოჰგვარონ სპორტის ქართველ გულშემატკივარს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

სიმართლე თუ ისევ ქაოსი?

ზუგდიდური ამბების გამოხმაურება 4

პროკურორი ითხოვს: გალიანი და მორატი სასამართლოში!



მილანის პროკურორმა **კარლო ნოჩერინომ** სასამართლოში **ადრიანო გალიანისა** და **მასიმო მორატის** მისვლა მოითხოვა. საქმე ეხება ყბადაღებულ საქმეს, მოთამაშეთა სატრანსფერო ფასების ხელოვნურ გაბერვასთან დაკავშირებით. ამას გარდა, ეჭვებია სხვა ფინანსურ მაქინაციებზეც. ხსენებული პერსონების გარდა, ნოჩერინოს მოთხოვნა ვრცელდება "ინტერის" ვიცე-პრეზიდენტ **რინალდოსა გელფისა** და ყოფილ დირექტორ **მაურო გამბაროზეც**. გამოძიების შედეგად, 2003-05 წლებში სერიოზული დარღვევებია აღმოჩენილი.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ორგანოები "მილანისა" და "ინტერის" ფინანსური საქმიანობით დაინტერესდნენ. მსგავსი ინფორმაცია ორი თვის წინაც გავრცელდა, მაგრამ მორატიმ და გალიანიმ თავი იმართლეს - ჩვენი საქმიანობა აბსოლუტურად სუფთააო. თუმც პროკურორ ნოჩერინოს კატეგორიულობა გვაფიქრებინებს, რომ საქმე მართლაც სერიოზულადაა. ვნახოთ, რა არგუმენტები ექნებათ გრანდების ბოსებს, რომელთაც ბედის ირონიამ საფეხბურთო მტრობა ცოტა ხნით დაავიწყა და თემიდის წინაშე ერთად დააყენა.

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ფეხბურთის ფედერაცია

წიგნი არის, საჭიროა სწავლა

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში მხოლოდ ორი საკითხი იყო:

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეროვნული საკლუბო ლიცენზირების სახელმძღვანელოს 2.1 ვერსიის დამტკიცება.

2. სხვადასხვა.

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს სფფ-ის ეროვნული საკლუბო ლიცენზირების სახელმძღვანელოს 2.1 ვერსია.

2. სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების მენეჯერს ბაქარ ყორდანიას დაევალოს უეფას შესაბამის ორგანოებს აცნობოს აღნიშნული სახელმძღვანელოს აკრედიტაცია-დამტკიცების პროცედურის დასრულება.

3. მანვე უზრუნველჰყოს ლიცენზირების სახელმძღვანელოს ახალი ვერსიის ყველა დაინტერესებული პირისთვის გადაცემა (სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, ლიცენზირების სისტემის მონაწილეები, საფეხბურთო კლუბები...)

4. აღნიშნული დავალების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას.

საქართველოს 2007-08 წლების მე-19 ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის თასის "ყაზბეგის" მე-18 გათამაშების რეგლამენტში შესატანი დამატება:

1. მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს პროფესილი ფეხბურთის ლიგის მიერ განსაზღვრული კომპანიის წარმომადგენლების საფეხბურთო სტადიონზე დაშვება და საფეხბურთო სტადიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურით სარგებლობა. ასევე, ფოტო გადაღების, აუდიო, ტელე და რადიო ჩანაწერისა და ტრანსლაციის განსახორციელებლად აუცილებელი ადგილების გამოყოფა.

ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის მასპინძელ კლუბს შეიძლება დაეკისროს იმ ფინანსური ზიანის ანაზღაურება, რაც შეიძლება მიადგეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას.

2. მასპინძელ კლუბსა და სტადიონის დირექციას ეკრძალებათ ნებისმიერი სხვა მესამე მხარის სტადიონზე დაშვება მატჩის ფოტო გადაღებასთან, აუდიო, ტელე და რადიო ჩანაწერისა და ტრანსლაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

3. სტადიონებზე სარეკლამო დაფების განთავსებისას საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და კლუბები სარგებლობენ 50\50 პრინციპით. პრიორიტეტი ენიჭება საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების გენერალურ სპონსორს. ამასთან, კლუბებს ეკრძალებათ სტადიონზე ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ან მისი მედია-პარტნიორი კომპანიის სარეკლამო და სასპონსორო ინტერესებს.

დავით ცაბაძე

U 19. ამხანაგური მატჩი

მარცხი რუმინეთში



ჰაინც ტოპმიოლერი

რუმინეთი–საქართველო 2:0

1:0 ჰაუ (15), 2:0 ალექსი (77)

საქართველო: **მაკარიძე, თ. შონია, გაბუნია, ქვრივიშვილი, სანაია (65. გავაშელიშვილი), დაუშვილი, ჩარგეიშვილი (75. ხუმარაშვილი), ღვინიაშვილი, თარგამაძე, ყენია, ივანიშვილი (46. ბლაგიძე).**

არბიტრი: **ო. გონეა (რუმინეთი)**

ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობისათვის ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრები მზადებას რუმინეთში გადის. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჯგუფის მატჩები 18-დან 23 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში ჩატარდება. მეტოქეებად კი ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ლატვიის ნაკრებები გვეყოლება. სამზადისის ფარგლებში **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდმა რუმინელ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩი დაგეგმა. პირველი შეხვედრა გუშინ ქალაქ მოგოშაიაში, ტექნიკური ცენტრის სპოტკომპლექსში გაიმართა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა რიგ მომენტებში ჩვენმა ნაკრებმა შეძლო უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ქართველთა აქტიურობა მეტწილად **ლევან ყენიას** კარგი თამაშით იყო განპირობებული.

რუმინელებმა კი თავიანთი უპირატესობა კარგად გამოიყენეს და თითო ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს. ჯერ იყო და, მე-15 წუთზე ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ **პეტერ ჰაუმ** თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 77-ე წუთზე კი **ვლადიუ ალექსიმ** უძლიერესი დარტყმით ანგარიშში სხვაობა გაორმაგა.

"ჩემი ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო ვარ. ეს ამხანაგური მატჩები შესარჩევი ციკლის ჯგუფური თამაშებისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. თუმცა ამხანაგურ შეხვედრებში შედეგსაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. მომდევნო მატჩში აუცილებლად გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ", - გუშინდელი თამაშის შემდეგ განაცხადა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **ჰაინც ტოპმიოლერმა.**

მომდევნო მატჩს ჩვენი 19-წლამდელები ისევ მოგოშაიაში, ხვალ 26 სექტემბერს ჩაატარებენ.

დავით ცაბაძე

U 17. ევროპის ჩემპიონატი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ცივი შხაპი ხორვატებისგან

ხორვატია–საქართველო 4:0

1:0 კელიჩი (25), 2:0 ბიცვიჩი (47), 3:0 კოკოტი (65), 4:0 ნიორაძე (70. საკ. კარში)

საქართველო: **ნიორაძე, რიგვავა (კაპ.), მირცხულავა, კაკუშაძე (75. კაჭახიძე), რობაქიძე, შონია, გურეშიძე (50. მელიქიშვილი), გუგუჩია (50. რაფავა), ანანიძე, ძალამიძე, შეყილაძე.**

გაფრთხილება: **მირცხულავა (32)**

არბიტრი: **ს. ე. ედვარტსენი (ნორვეგია)**

17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მატჩები ბულგარეთში გუშინ დაიწყო. სასტარტო ტურში **ჰერბერტ ცანკერის** გუნდს ხორვატიასთან მოუწია დაპირისპირება. სამწუხაროდ, ჩვენმა ჭაბუკებმა ძალიან ცუდად დაიწყეს შეჯიბრი – ხორვატებთან დიდი ანგარიშით 0:4 დამარცხდნენ.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ცანკერის გუნდმა მატჩი აქტიურად დაიწყო. ქართველებმა საწყის 20 წუთში ექვსჯერ მოაწოდეს კუთხური და არაერთი ხიფათი შექმნეს მეტოქის კართან, თუმცა ჩვენი გუნდის მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო. სამაგიეროდ, 25-ე წუთზე მეტოქის შეტევას გოლი მოჰყვა - საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი მოედანზე წუთით ადრე შესულმა **კელიჩმა** გადაგზავნა კარში.

რამდენიმე წუთში **ნიკა ძალამიძე** ხორვატთა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გოლკიპერის მოტყუება ვეღარ შეძლო.

მეორე ნახევარში ქართველმა ფეხბურთელებმა შეცდომებს უმატეს და კიდევ სამი გოლი მიიღეს. 47-ე წუთზე **ბიცვიჩმა** დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, ბურთი ჩვენი გუნდის კაპიტან **დათა რიგვავას** მოხვდა, **თორნიკე ნიორაძეს** გადასცდა და ბადეში აღმოჩნდა.

65-ე წუთზე ხორვატებმა მარჯვენა ფრთიდან ქართველთა საჯარიმოში ჩაჰკიდეს ბურთი. მეკარის წინ მარტო მდგომმა **კაკუშაძემ** ბურთი უხეიროდ მოიგერია, რითაც კარგად ისარგებლა კარიდან 2 მეტრში მდგარმა **კოკოტმა**.

კიდევ ერთი გოლი 70-ე წუთზე მივიღეთ - მეტოქის ნახევარმცველის ძლიერი დარტყმისას ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, იქედან ასხლეტილი მეკარე ნიორაძეს და ავტოგოლიც ასე გავიდა.

ნაკრების მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი თავისი გუნდის თამაშით ძალზე უკმაყოფილო გახლდათ და ფეხბურთელებსაც მკაცრად ესაუბრა:

"ჩემი ფეხბურთელების თამაშით ძალიან, ძალიან უკმაყოფილო ვარ. ეს ნამდვილად არ იყო საქართველოს ის ნაკრები, რომელმაც პორტუგალიაში ორივე ამხანაგური შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა. არადა პორტუგალიის ნაკრები ხორვატიის ამ გუნდზე ერთი თავით მაღლა დგას. ბიჭებმა ძალიან უხეში შეცდომები დაუშვეს, რის გამოც



ცანკერი უკმაყოფილოა

არაერთხელ დავისაჯეთ. მომდევნო მატჩებში ჩვენი ნაკრები მოსაგებად გავა მოედანზე და გარწმუნებთ, გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებს", - მატჩის შემდეგ აღნიშნა გაბრაზებულმა ცანკერმა.

ჩვენი თამაშის პარალელურად ტურნირის მასპინძელმა ბულგარეთმა უნგრეთთან 0:3 წააგო.

მეორე ტურის მატჩები ხვალ გაიმართება, საქართველო უნგრეთს ეთამაშება, ბულგარეთი კი ხორვატიას.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ნესტორ მუმლაძესთან

ეს ჩავარდნა არ არის

გვნახეთ მომდევნო თამაშებშიც

თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" სეზონი კარგად დაიწყო და ჩემპიონატში ლიდერთაგანიც იყო, მაგრამ ბოლო ორი თამაში წააგო და ახლა მეხუთე ადგილზეა. თანაც ვიტელებმა ისეთ გუნდებთან წააგეს, საამსეზონოდ მაღალი მიზნებისთვის რომ არ იბრძვიან - ბოლნისის "სიონთან" 1:3 და "ბორჯომთან" 1:2.

მაშ, რა ხდება "ვიტ ჯორჯიაში"? ჩვენს კითხვებს გუნდის მთავარი მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე პასუხობს.

- ბოლნისში მართლაც ცუდად ვითამაშეთ და დავმარცხდით, "ბორჯომთან" თამაშით კი უკმაყოფილო არ ვარ. სწრაფად გაშვებულმა გოლმა გაგვტეხა, თანაც ორი ფეხბურთელი გვაკლდა - დავით ლომაია და გიგა ბეჭვაია. იძულებული ვიყავით, დაცვაში კარგა ხანს უთამაშებელი ლაშა ჯაფარაძე დაგვეყენებინა. მეორე გაშვებული გოლის შემდეგ თამაში გამოვასწორეთ. არ მჩვევია მარცხის მსაჯზე გადაბრალება, თუმცა ორი პენალტი არ დაგვინიშნეს და გოლი არ ჩაგვითვალეს.

- როგორც უნდა იყოს, "ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთ მოწინავე კლუბად მიიჩნევა და ზედიზედ ორი თამაში წააგო ეროვნული ჩემპიონატის არცთუ უძლიერეს გუნდელებთან. "ვიტ ჯორჯიას" ხანმოკლე ჩავარდნა აქვს თუ სხვა რაღაცაშია საქმე?

- ამას ჩავარდნას ვერ დავარქმევ, უბრალოდ, არ გაგვიმართლა, იღბალი მეტოქის მხარეს იყო. "ვიტ ჯორჯიას" ჰქონდა ასეთი მომენტები, მაგრამ მერე ამოუქაჩია. ჩემი ფეხბურთელების იმედი კვლავაც მაქვს.

- ასეა თუ ისე, "ვიტ ჯორჯიას" ბოლოდროინდელ წარუმატებლობას რაღაც მიზეზი აქვს. ისე ჩანს, თითქოს თქვენი გუნდის ყველაზე პრობლემატური რგოლი დაცვაა...

- ახალ გუნდს ვაკეთებთ და რაღაცრაღაცეები დასახვეწი გვაქვს. "ვიტ ჯორჯია" აქცენტს საკუთარ კადრებზე აკეთებს და ასეთ დროს ახალი გუნდის კეთება კიდევ უფრო რთულია, ამას დრო სჭირდება.

- როგორ ატყობთ, დაახლოებით რამდენ ხანში გამოაკეთებს "ვიტ ჯორჯია" სატურნირო მდგომარეობას?

- მომდევნო მატჩისთვის გუნდი უკვე გამოასწორებს თამაშებს. ბოლო ორი დამარცხების კომპენსირება მომავალ ორ თამაშში გამარჯვებით უნდა მოვახერხოთ. ერთხელაც ვიტყვი, "ვიტ ჯორჯიას" ჩავარდნა არ აქვს, უბრალოდ, თამაშს უნდა მოვუმატოთ, ცოტა მეტი მონდომებაა საჭირო.

დავით თავართქილაძე

ნესტორ მუმლაძე მომავალს იმედით შეჰყურებს

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

გოგი ფიფია (შუაში) ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეულია

ინტერვიუ გოგი ფიფიასთან

გერმანიიდან წამოსვლას ძალიან ვნანობ

გოგი ფიფიამ "ზესტაფონს" 3 ქულა, გუნდის გულშემატკივარს კი დიდი სიხარული მიანიჭა. 22 წლის თავდამსხმელმა საქართველოს ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპთან" დუბლი გაიფორმა. მეორე, კურიოზული ბურთი ლამის საკუთარი ნახევრიდან ბოლო წამზე გაიტანა.

გოგის შრომა იმიტომაცაა დასაფასებელი, რომ "ზესტაფონს" გამარჯვება შეცვლაზე შესულმა სულ რაღაც 28 წუთში მოუტანა.

- გოგი, "ოლიმპისთვის"მეორე გოლი შორეული საჯარიმო დარტყმით გაგიტანია. როგორც შევნიშნეთ, ამ ხერხს "ზესტაფონი" ხშირად მიმართავს და საკმაოდ კარგად გაქვთ დამუშავებული.

- ასეა. ადრე რამდენჯერმე ვცადე, მარამ არ გამომდიოდა, ახლა კი გოლი გავიტანე. რატომღაც ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ამ ჯარიმას უნდა გადავერჩინეთ. რაც სული და გული მქონდა, ამ დარტყმაში ჩავდე.

- ახლა "ზესტაფონის" ერთ-ერთი საიდუმლო ხომ არ გათქვი?

- ეს რაღა საიდუმლოა, ყველამ იცის, რომ ჯარიმებს კარისკენ ვუშვებ.

- მშვენივრად მახსოვს, ოთხი წლის წინათ "კაიზერსლაუტერნის" იუნიორთაგუნდიდან ჩამოსულმა "თბილისში" პირველად სწორედ "ზესტაფონის" წინააღმდეგ ითამაშე და გულშემატკივრარის იმედი გაუჩნდა, ვარსკვლავი იზრდებაო. შენი განვითარება ისე წარიმართა, როგორც თავად წარმოგედგინა?

- რა თქმა უნდა, სასურველი პროგრესი არ მეტყობა, მეტს ველოდი. შემთხვევით არაფერი ხდება, საქართველოს ჩემპიონატში გაზრდა ძნელია.

- ძნელია თუ თავად არ მოიკალი თავი? ამბობენ, ფიფია ცოტა ზარმაცობსო...

- ორი წელი "კაიზერის" საფეხბურთო სკოლაში ვვარჯიშობდი და იქ ჩემი სიზარმაცე არ ჩანდა. ბაზაზე ისეთი პირობები იყო, თამაში და ვარჯიში მეხალისებოდა - ლამაზად მოწყობილი გარემო, მაგარი მოედნები, სხვადასხვანაირი დარბაზები იქიდან გასვლის სურვილს მიკლავდა. ამიტომაც იყო, ვარჯიშის შემდეგ ბაზაზე ვრჩებოდი და ჯარიმების ვასრულებდი, ტრენაჟორებზე ვიტვირთებოდი და ფიზიკურად მოვლონიერდი.

ამის შემდეგ აქაური პირობები ძნელი ასატანია. არ გაგიკვირდეთ, დისკომფორტს რომ განვიცდი. ამიტომაც ვამბობ, აქ გაზრდისთვის პირობა თითქმის არაა, თორემ ზარმაცი ნაღდად არ ვარ.

მოთამაშეს ფიზიკურ მომზადებას ყველგან ტრენაჟორებით, აღდგენითი პროცედურებით, მედიცინის დახმარებით უვითარებენ. ეს ყველაფერი ჩვენთან ფუფუნებად ითვლება.

"ზესტაფონში" კიდევ რაა საწუნუნო, შეკრებაზე სასტუმროებში შეიძლება ფიტნესდარბაზში ვარჯიში, სხვებმა იკითხონ. ტრენაჟორებს ვინ ჩივის, ზოგიერთს სავარჯიშო მოედანიც არ უვარგა. ასეთი გარემო ეს ხელს მარტო მე არ მიშლის, ის მთლიანად ჩვენი ფეხურთის პრობლემაა.

- აშკარად გეტყობა, თვალი უცხოეთში გაქცევაზე გიჭირავს.

- გუნდი აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, საქართველოში თამაში აღარ მინდა, აქ მეტად ველარ გავიზრდები.

- აზერბაიჯანში ან ყაზახეთში წახვალ?

- ამ თემაზე არც დავილაპარაკებ, ამ ქვეყნებისკენ გული არ მიმიწევს. იქ თამაშს საქართველოში ყოფნა მირჩევნია, სახლთან ახლოს მაინც ვიქნები.

- საქართველოს ჩემპიონატში პერსპექტივას საერთოდ ვერ ხედავ?

- პერსპექტივა მხოლოდ მაშინ იქნება, თუკი მას ყურადღებას მიაქცევენ. დღევანდელი პირობებით პერსპექტივა არ ჩანს.

- ერთი ხანობა საქართველოს ნაკრების კანდიდატად გთვლიდნენ. ეს საუბარი წარსულს ჩაბარდა?

- ეტყობა, ასეა.

- "ზესტაფონი" ინტერტოტოდან "ტობოლმა" რომ გამოაგდო, ქართული ფეხბურთის მდგომარეობაზე რას ფიქრობდი?

- რასაც ყველა. ჯერ ერთი, მაგრად დამწყდა აგული. თუმცა ეს რეალობაა - დღეს უკვე ყაზახებმაც გაგვისწრეს და ეს უფრო მწყინს. იყო მიზეზები და "ტობოლთან" სტუმრად გადაღლილობის გამო წავაგეთ, აქაც შეგვეძლო დიდი ანგარიშით მოგება, მაგრამ უკვე ვერავინ დაიჯერებს, რომ ეს რეალური იყო.

ერთადერთი, რაც აქ მაკავებს, "ზესტაფონის" მიზნებია. როგორც იქნა, გუნდი ათამაშდა და კბილები გამოაჩინა. წლეულს ჩემპიონობა გვინდა და მერე წასვლაზეც ვიფიქრებ.

- ბოლო დროს ხშირად ისმის მოწოდება, რომ 23 წლამდე ფეხბურთელებს უცხოეთში წასვლა უნდა აუკრძალონ. შენი, ფეხბურთელის პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

- ეს იქნება ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება, რომლითაც ჩვენი ბიჭების განვითარებას ხელს შევუშლით. ნიჭიერი ბავშვი ევროპაში გაცილებით სწრაფად იზრდება, აქ კი წლები გვჭირდება. ხომ ძნელი დასაჯერებელია, "კაიზერის" საფეხბურთო სკოლაში გაცილებით მეტი ვისწავლე და უფრო გავიზარდე, ვიდრე ჩვენს ჩემპიონატში.

სიმართლე გითხრათ, გერმანიიდან წამოსვლას ძალიან ვნანობ, მაგრამ მაშინ სხვა გზა არ მქონდა, სავიზო პრობლემა შემექმნა. რომ დავრჩენილიყავი, ახლა ისევ ევროპაში დაბრუნებაზე აღარ ვიოცნებებდი. აკრძალვის ნაცვლად, სჯობს ელემენტარული პირობები აქ შეგვიქმნან და ხალხს გაქცევა აღარ მოუნდება.

- შენი აზრით, "ზესტაფონს" ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურად ვისთან მოუწევს?

- რა თქმა უნდა, "დინამოსთან", მაგრამ ჩამოსაწერი არც "ამერი", "ვიტ ჯორჯია" და "ოლიმპი" არიან.

მერაბ მამულაშვილი

ფრანგული კლუბი ქართველს ჩააბარეს

ვეფხია გვენცაძეს საქართველოში ჩინებულად იცნობენ. კარიერა "დინამო 2-დან" დაიწყო, წლების განმავლობაში თამაშობდა "შევარდენში", "ზესტაფონში", ასტანის "ჟენისსა" და "მერანში". ბუცები მხოლოდ 38 წლის ასაკში ჩამოკიდა ლურსმანზე. სამწვრთნელო კარიერა "ოლიმპის" საფეხბურთო სკოლაში მეკარეთა მწვრთნელობით დაიწყო. 2003 წელს თბილისის "სპარტაკში" ამ პროფილის მწვრთნელად მიიწვიეს, მაგრამ მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საფრანგეთში წასვლა.



ვეფხია გვენცაძე

მიუხედავად იმისა, რომ დაბალი ლიგის "პუატიე" იწვევდა, საქართველოს უმაღლეს ლიგას ამჯობინა. თავად განსაჯეთ, მეოთხე დივიზიონში მოთამაშე კლუბის ბიუჯეტი 300 ათასი ევროა, რაც ჩვენი ლიდერების ბიუჯეტის ტოლია.

მას შემდეგ ვეფხია გვენცაძის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. "პუატიეში" მეკარეთა მწვრთნელობით დაიწყო, საფრანგეთს მალე გაუშინაურდა და როგორც შევიტყვეთ, წლეულს ასევე დაბალი ლიგის "ნოივილის" მთავარი მწვრთნელად დანიშნეს. ეს გუნდი ცენტრ-ვესტის რეგიონალლიგაში გამოდის.

"მწვრთნელად ივნისში დამნიშნეს. მანამდე "პუატიეში" ვიყავი, მაგრამ სეზონის შემდეგ წამოვედი. ოთხი წელია საფრანგეთში ვარ და მეგობრებიც შევიძინე. ერთ-ერთ მათგანს ნოივილის გუნდი ჩააბარეს და სეზონის დაწყებამდე მთავარ მწვრთნელად მიმიწვია. არის სამი პროფესიული ლიგა, შემდეგ მოდის მოყვარულთა ლიგა და ამის შემდეგაა ჩვენი, მოყვარულთა პირველობა.

სეზონი ახლახან დაიწყო და ორი ტური ჩავატარეთ, თასზე კი სამი ეტაპი გავიარეთ. მიზანი ზედა ლიგაში გადასვლაა... ქართველები გუნდში არ მყავს. სამწუხაროდ, აქაურ ფეხბურთში ქართველები დაბალ ლიგაშიც არ სჭირდებათ", - გვითხრა ვეფხიამ.

გვენცაძის თქმით, საფრანგეთში ქართულმა ლიცენზიამ არ გაჭრა და სწავლა ხელახლა დასჭირდა: *"საქართველოში აღებული ლიცენზია საფრანგეთში არ ჭრის. საერთოდ, ფრანგები ამით გამოირჩევიან, საკუთარ დიპლომს საერთაშორისოზე მაღლა აყენებენ. დაინტერესდნენ ჩემი ლიცენზიით და მითხრეს, ამით ვერ იმუშავებო. კლეფორტენის სამწვრთნელო სკოლაში გამიშვეს. სპეცკურსების გავლის შემდეგ, მოყვარულებსა და ზედა მოყვარულთა ლიგაში მუშაობის უფლება მომცეს. უფრო მაღალ დონეზე დამატებითი სწავლაა საჭირო. თუ მოვისურვე, პარიზში ან იმავე კლეფორტენის სკოლაში უნდა წავიდე, 12 000 ევრო გადავიხადო და გამოცდა ჩავაბარო."*

"ნოივილის" ქართველი მწვრთნელი ფედერაციისთვის საინტერესო წინადადებას ამზადებს: *"ვიცი, ქართულ ფეხბურთში რაც ხდება და გული მტკივა. ჩვენ არ გაგვაჩნია ბაზისი და ასეთ პირობებში წარმატებას ტყუილად ველოდებით. საბედნიეროდ, აქ საკმაოდ ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. სწავლების მკაცრი მეთოდების გამო, საფრანგეთში კვალიფიციური სპეციალისტები იზრდებიან. ბევრი მათგანი სამსახურს იქით ეძებს. რა თქმა უნდა, მათ შორის "ჰაიკლასის" მწვრთნელი ცოტაა, მაგრამ საქართველოში რომ ნაყოფიერად იმუშავებენ, ორი აზრი არაა. ჩვენმა ფედერაციამ და კლუბებმა მოინდომონ და ეს ხალხი სწავლა-განათლებასა და კლუბების მენეჯმენტის აწყობაში დაგვეხმარება. ფეხბურთის განვითარება ინფრასტრუქტურით იწყება და არა სახურავით. დამპალ საფუძველზე სასახლის მშენებლობა ფუჭი მცდელობაა. ასე რომ არ მოხდეს, ფრანგების პროფესიონალიზმის გამოყენება არ გვაწყენდა."*

მერაბ მამულაშვილი

ფეხბურთელთა სტაჟირება ედუარდო დელგადოსთან

არგენტინაში



სურათზე მარცხნიდან: ვასილ აფციაური, ედუარდო დელგადო, ნიკა პაპაპავლიშვილი (წარმომადგენელი), ხვიჩა მურღულია

ვასილ აფციაური (დაბადებული 1990 წელს) და ხვიჩა მურღულია (1988) ემზადებიან არგენტინაში ედუარდო დელგადოსთან. ედუარდო დელგადოს მტკიცებით, მურღულიასა და აფციაურს შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებ გუნდებში და მონაწილეობა მიიღონ საქართველო-ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში, რომელიც 2008 წლის მარტ-აპრილში თბილისში უნდა გაიმართოს. ედუარდო დელგადო მურღულიასა და აფციაურის თამაშის ამსახველ ვიდეომასალას მალე წარუდგენს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს განსახილველად.

დელგადო აგრძელებს საქართველოდან 16, 17, 18, 19 და 20 წლის ფეხბურთელთა მიწვევას და მაღალ დონეზე მომზადებას. მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. შესაბამისი მომზადების შემდეგ ფეხბურთელები წარდგენილი იქნებიან არგენტინის საფეხბურთო კლუბებში და მონაწილეობას მიიღებენ ოფიციალურ მატჩებში. მომზადების პერიოდი (ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური) ფასიანია და არგენტინის მხარე მას არ უზრუნველყოფს. ასევე, საცხოვრებლისა და კვების და მათი ადგილზე მომსახურების ხარჯები გადახდილი უნდა იქნეს მსურველთა მიერ. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან მიმდინარე წლის ოქტომბერში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების გასაფორმებლად დაუკავშირდით არგენტინის წარმომადგენელს, მისამართზე:

თბილისი, ლენინის ქუჩა №4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარი ჩაწერით, ტელეფონზე 899 23 55 20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება.

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთის წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. VI ტური. მიმოხილვა
www.pfl.ge

სიმართლე თუ ისევ ჭაობი?

უკაცრავად, უმაღლესი ლიგის ბინადარ სხვა გუნდებთან, მაგრამ "მგლები"-"დინამოს" მატჩს იმხელა რეზონანსი მოჰყვა, ტურის მიმოხილვის გვერდი ზუგდიდურ ამბებს უნდა დავუთმოთ. სამეგრელოში მორიგი ქართული სკანდალი მოხდა, როგორც ქართველებს გვჩვევია, გულზე მჯიღის ცემით დაწყებული, "ისეთი არაფერი მომხდარათი" გაგრძელებული და, ალბათ, კვლავ მსუბუქად დამთავრებული. თითქოს, სიმართლე ერთი ხელის განვდენაზეა, მაგრამ აქამდე მისვლას, ქართულ საფეხბურთო სამყაროს, საუბედუროდ, დღევანდელ ჭაობში ყვინთაობა ურჩევნია...

დინამოს გულშემატკივარი

- ქუთაისშიც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი საშინელება იქაც არ მინახავს. ზუგდიდელი გულშემატკივრების მხრიდან აგრესიას ჯერ კიდევ მატჩამდე ვგრძნობდით. დიდი, პატარა, ქალი თუ კაცი შუა თითს გვიჩვენებდა და "გახევით" გვემუქრებოდა. თამაშის დროს ხომ საერთოდ საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, განსაკუთრებით მაშინ, როცა "დინამო" დაწინაურდა. ბუნებრივია, თბილისელმა ფანებმა სიხარული ემოციურად გამოვხატეთ, რამაც ზუგდიელები საშინლად გააღიზიანა... ბოლო წუთებია, პოლიცია რის ვაი-ვაგლახით იცავს "დინამოს" ქომაგებს გამძვინვარებული ბრბოსგან. რა დასამალია და, ემოციები ვერც ჩვენ მოვთოკეთ... სწორედ ამ დროს ატყდა ჩხუბი ჯოჯუასა და აკირემის შორის. პოლიციამ წესრიგის დასამყარებლად მოედანზე გადაინაცვლა. ხალხმა იხუვლა და საკმაო რაოდენობის მაყურებელი გინებით გაეშურა აკირემის საცემად (!). სტადიონზე დამსწრეთა ნაწილმა კი დრო იხელთა და მეთვალყურეთა გარეშე დარჩენილი "დინამოს" ფანებისკენ დაიძრა. წამოვიდა ქვების, ბოთლებისა და სანთებელების ნიაღვარი. საბედნიეროდ, დროულად შევძელით საპრესკონფერენციო დარბაზში შეღწევა... ხალხის დაშლას ველოდით, მაგრამ დარბაზიდან გამოსვლას საკმაო ხანი ვერ ვახერხებდით. ბოლოს პოლიციელთა დამატებითი რაზმები გამოიძახეს. სამართალდამცავებმა კორდონი გაგვიკეთეს, მაგრამ ზუგდიდელები მაინც ჯიუტად იწევდნენ ჩვენკენ. როგორც იქნა, ავტობუსამდე მივაღწიეთ. "დინამოს" ავტობუსს ერთი ქვა მოხვდა. პოლიციამ რამდენიმე ხულიგანი დააკავა...

ამ ახალგაზრდა ქომაგმა, რომელიც "დინამოს" ზუგდიდში ახლდა, ეს გვიამბო და არც საკუთარი გვარ-სახელი დაუმალავს. თუმცა მოგვიანებით შეგვეხმიანა და გვთხოვა, მონათხრობის სიზუსტეზე პასუხს კი ვაგებ, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო, ეგებ, ჩემი სახელი და გვარი არ ახსენოთო. იგივე დაადასტურეს სხვა გულშემატკივრებმაც, მაგრამ მერე მათაც გვთხოვეს, ჩვენს ვინაობას ნუ გაამხელთ, თორემ "დინამოს" გასვლით თამაშებზე ვეღარ ვივლითო...

კომენტარი ზედმეტია. ნამდვილად არ გვინდა, 19-20 წლის ბიჭები უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ და საყვარელი გუნდის გულშემატკივრობის საშუალება მოვუსპოთ...

როლანდ გაფრინდაშვილი, დინამოს ფანკლუბის ხელმძღვანელი

- მოედანი ტრიბუნებიდან საკმაოდ დაშორებულია, ამიტომ, ვერ გეტყვით, აყენებდნენ თუ არა "მგლების" ფეხბურთელები აკირემის რასისტულ შეურაცხყოფას. ტრიბუნებიდან კი რამდენიმე ადამიანი, შავი კანის გამო, ნამდვილად შეურაცხყოფდა. ისე კი, საგანგაშო არაფერი მომხდარა, "დინამოს" გულშემატკივრებს განსაკუთრებული პრობლემები არ შეგვქმნია. სხვას ვერაფერს გეტყვით, რადგან დანარჩენი კლუბმა უნდა თქვას.

როგორც ხედავთ, გულშემატკივრებისა და გაფრინდაშვილის მონათხრობებს შორის საკმაო სხვაობაა. ამ უკანასკნელის თქმით, "დინამოს" ფანები სტადიონზე არავის შეუწუხებია, მაშინ, როცა დანარჩენების მტკიცებით, ბრბოს ძლივს დაუსხლტნენ ხელიდან.

არც გვენცაძის კომენტარი ჰგავს გაფრინდაშვილისას...

გიგა გვენცაძე, დინამოს პრესატაშე

- სამწუხაროდ, "მგლები"-"დინამოს" მატჩთან დაკავშირებით პრესაში ჩემი კომენტარის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა. დიახ, იყო რასიზმი "მგლების" ფეხბურთელთა მხრიდან, მაგრამ არც ზუგდიდელი ქომაგების (რომლებმაც სრულად შეავსეს ტრიბუნები და საფეხბურთო გარემო შექმნეს) მხრიდან ყოფილა აგრესია და არც მათ მიმართ დასცდენია აუგი ვინმეს. უფრო მეტიც, არც აკირემი წამოგებია პროვოკაციას და სწორედ ამიტომ გახლდათ მოულოდნელი მისი გაძევება. სამწუხაროდ, ჩემი კომენტარის გაშუქებისას კოლეგა ჟურნალისტს შეცდომა მოუვიდა.

"არასწორ ინტერპრეტაციასა" თუ "შეცდომაზე" რა მოგახსენოთ და, სხვათა შორის, გუშინ ზუგდიდურმა კლუბმა უარყო - ჩვენს მწვრთნელს, **ბესიკ შეროზიას,** რაც "ლელოში" დაიწერა, არ უთქვამსო (?). შეგახსენებთ, შეროზია ჩვენი გაზეთის ნინა ნომერში ამბობდა, დინამოელები ჩვენს პროვოცირებას ცდილობდნენო...

ამასობაში კი, "დინამომ" ფეხბურთის ფედერაციაში, პროფლიგასა და პროფლიგის სადისციპლინო კომიტეტში პროტესტი შეიტანა. კლუბი მიიჩნევს, რომ საქართველოს საფეხბურთო მოედნებზე რასიზმის ნებისმიერი, მცირე გამოვლინებაც კი, სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს და დამნაშავე დაისაჯოს, თორემ ეს მარტო ქართულ ფეხბურთს კი არა, ქვეყანასაც შეულახავს რეპუტაციას. ამასთან, "დინამოსთვის" აბსოლუტურად მიუღებელია აკირემის გაძევება ზუგდიდის მატჩში. კლუბი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ აფრიკელი ფეხბურთელი არ აჰყოლია მეტოქე ფეხბურთელის პროვოკაციას და ამ მტკიცებას ვიდეომასალითაც გაამყარებს. "დინამო" იმედოვნებს, რომ აკირემის მიმართ გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება.

ზუგდიდელი **ჯოჯუა** რომ ყველა ვარიანტში დაისჯება, ნათელია. რაც შეეხება **აკირემის** სასჯელის სიმძიმეს დღეს, 14 საათზე სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ამაზეც იმსჯელებს. ისე კი, მსგავს შემთხვევებში გაძევებული ფეხბურთელი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით ისჯება ხოლმე...

ახლა, კიდევ ორი კომენტარი:

ემა გოგოხია, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის რეგიონული კორესპონდენტი, მატჩის თვითმხილველი

- მთელმა შეხვედრამ დაძაბულ, ნერვულ ატმოსფეროში ჩაიარა. ზუგდიდელი გულშემატკივრები მსაჯობით იყვნენ უკმაყოფილონი და არბიტრ ვადაჭკორიას მისამართით აგრესიას გამოხატავდნენ. მეორე ტაიმში კი ორივე გუნდის თითო ფეხბურთელი გააძევეს, რასაც ზუგდიდელთა კიდევ უფრო დიდი აღშფოთება მოჰყვა. რასისტულმა შეძახილებმა ამის შემდეგ იმატა. ტრიბუნებიდან მოედანზე შეღწევა რამდენიმე ადამიანმა შეძლო, მაგრამ საბედნიეროდ, პოლიციამ ისინი დროულად შეაჩერა. მატჩის შემდეგ, "დინამოს" გულშემატკივრებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ, თუმც მცირეხნიანი ლოდინის შემდეგ, სტადიონის ტერიტორია მათ უსაფრთხოდ დატოვეს. სიტუაციის განსამუხტავად, დამატებით შინაგანი ჯარის მოყვანაც გახდა საჭირო. რამდენიმე ხულიგანი გულშემატკივარი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. შეხვედრის შემდეგ, "მგლების" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია არაობიექტურ მსაჯობაზე საუბრობდა...

პაატა ბურჯალიანი, პროფლიგის გენერალური მდივანი

- "დინამო" "მგლების" ფეხბურთელთა დასჯას ითხოვს, თითქოსდა, მათ აკირემის რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს. ამავდროულად, "დინამოს" წარმომადგენლები ვერ ასახელებენ იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ეს ჩაიდინეს. ვიდეოჩანაწერით ამის გარკვევა წარმოუდგენელია. აკირემის ეუხეშებოდნენ, მაგრამ მხოლოდ უხეშ თამაშს რასიზმად ვერ შევაფასებთ. რასიზმის გამოვლინება არც მატჩის დელეგატ საყვარელიძეს შეუნიშნავს და არც არბიტრ ვადაჭკორიას. ასე რომ, "დინამოს" მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

მთავარი გამოცანა

*"დინამოს" ფანები: თავს დაგვესხნენ, **იყო** რასისტული შეძახილები ტრიბუნებიდან.*

*"დინამოს" მთავარი ფანი: პრობლემა **არ** გვქონია, **იყო** რასიზმი ტრიბუნებიდან.*

*"დინამოს" პრესატაშე: აკირემი პროვოკაციაზე **არ** წამოგებულა, **იყო** რასიზმი მოედანზე, მაგრამ **არ იყო** გულშემატკივრების მხრიდან.*

*თვითმხილველი ჟურნალისტი: ფანებს პრობლემა ჰქონდათ, **იყო** რასიზმი ტრიბუნაზე და **იყო** ხალხი მოედანზე.*

*პროფლიგა: **არ იყო** რასიზმი მოედანზე.*

***P.S.** გვჯეროდეს, რომ ამ ურთიერთგამომრიცხავი ნაამბობებიდან სიმართლე გაირკვევა? ისე, ერთი რამ აშკარად ჩანს, რომ "დინამო" და "მგლები" თავს არიდებენ კონფლიქტის ესკალაციას და ერთი მხრივ, ეს დადებითი მომენტია, რადგან თუ სიტუაცია გამწვავდა, შეიძლება, მომავალში უარესიც მოხდეს. მაგრამ არის მეორე მხარეც და ამაზეც გვმართებს დაფიქრება: ვაი, რომ უარესი შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუკი დამნაშავეებს (ზოგადად) ერთხელ და სამუდამოდ სამაგალითოდ არ დასჯიან. დაუსჯელობის სინდრომია სწორედ ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რაც ქართულ ფეხბურთს უფსკრულისკენ მიაქანებს.*

***P.P.S.** მე-6 ტურის საუკეთესო ფეხბურთელად "ლელო" "ზესტაფონის" ფორვარდს, ჩემპიონ "ოლიმპის" კარში ორი გოლის გამტან გოგი ფიფიას ასახელებს.*

ლევან ჯანეზაშვილი

VI ტურის სიმბოლური ნაკრები



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ისტორიული ასათიანი

მალხაზ ასათიანი რუსული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. მოსკოვის "ლოკომოტივმა" თანაქალაქელ "სპარტაკს" ბოლო წუთზე ქართველი მცველის გოლით მოუგო - 4:3.

ასათიანი "სპორტ-ექსპრესმა" რუსეთის პრემიერლიგის 24-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა, წლეულს მეორედ.

მალხაზი ისტორიაში შევიდა. ჯერ ერთი, ის რუსეთის ელიტურ ლიგაში "ლოკომოტივის" 750-ე გოლის ავტორი გახდა. მეორე: მოსკოვის "სპარტაკს" დამატებით წუთებში აქამდე მხოლოდ ათჯერ წაეგო. ყველაზე გვიანი გოლი კი მის კარში "როსტოვის" ლეგიონერ **ისო კანენდას** გაუტანია.

მალხაზ ასათიანმა, როგორც ყოველთვის, ორიგინალური კომენტარითაც გამოიჩინა თავი. "სპორტ-ექსპრესი" მას მატჩის შესახებ ესაუბრა და ქართველ ლეგიონერს არ მოუყოლია ზღაპრები, რომ გოლი მისი დამსახურება იყო და ა.შ. თავმდაბალი მცველი არც ახლა გაყეყეჩებულა:

"გოლი შემთხვევით გავიტანე. ყველა წინ გაიქცა და ბურთი თავში მომხვდა."

დამეთანხმებით, ასეთ სიტყვებს ხშირად ვერ მოისმენთ.

ქვემოთ კი გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მან ინტერნეტგვერდ ჩემპიონატ.რუ-ს მისცა:

- ასათიანი დედაქალაქური დერბის გმირია – ასეთია ქომაგთა შეფასება...

- გმირი მე კი არა, მთელი გუნდია. ეს მოგება ყველას დამსახურებაა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ და შედეგიც სახეზეა. "სპარტაკიც" გამარჯვებისთვის იბრძოდა, მაგრამ ჩვენ ალბათ ოდნავ მეტად გაგვიმართლა. ფრე არ გვაწყობდა და ვაბანკზე წავედით. ერთი სიტყვით, საკითხი ასე იდგა: ან ჩვენ უნდა მოგვეგო ან მეტოქეს. დერბი ნამდვილად დაძაბული და საინტერესო გამოვიდა.

- სხვა მატჩებში თამაშის მიწურულს გადამწყვეტი გოლი თუ გაგიტანიათ?

- მატჩის მიწურულს არაერთი გადამწყვეტი ბურთი მაქვს გატანილი. მაგალითად მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თურქეთთან გასვლით შეხვედრაში. მაშინ საქართველოს ნაკრები 0:1-ს აგებდა, მაგრამ 85-ე წუთზე ანგარიში ჩემს მიერ გატანილი ბურთით გავათანაბრეთ. სხვათა შორის, იმ შეხვედრაშიც გოლი თავით გავიტანე. ასევე, თბილისში დანიის ნაკრებთან ორჯერ ვაგებდით, თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე გავათანაბრე ანგარიში და ფრედ 2:2 ვითამაშეთ.

- ნაკრებიდან გამარჯვების გოლს თუ გაიხსენებდით?

- დიახ, ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში შინ რუსეთის ნაკრები 1:0 დავამარცხეთ. პირველ ტაიმში დემეტრაძემ მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი და თავით შორეულ კუთხეში გავიტანე. ის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა იმ შეხვედრაში.

- სიჩოვმა აღნიშნა, რომ იმ გოლს ვერ იხსენებს...

- (იცინის)... ალბათ ის გოლი რუსეთში უკვე აღარ ახსოვთ.

- "სპარტაკის" კარში გატანილი ბურთი მიმდინარე სეზონში თქვენი პირველი გოლი იყო. ბუნებრივია, "ამკართან" მატჩის წინ ეს გოლი რწმენას შეგმატებთ...

- გოლის გატანა ფსიქოლოგიურად ყველაზე კარგად მოქმედებს. მით უმეტეს ასეთ დაძაბულ და პრინციპულ შეხვედრაში გატანილი გოლი. თუმცა ერთიცაა, გოლზე უფრო მთავარი შენი გუნდის გამარჯვებაა.

- შემდეგი საშინაო მატჩი "ზენიტთან" გაქვთ. არ გაქვთ სურვილი, ისევ მატჩის მიწურულს გაიტანოთ გადამწყვეტი გოლი?

- (იცინის)... უმჯობესია თუ თამაშის უკანასკნელ წუთებამდე არ მოგვიწევს ლოდინი. ბოლო წუთებისთვის უკვე ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ უნდა იყოს გადაწყვეტილი.

- როგორც ჩანს, ჩემპიონატის ბოლო აკორდი დაძაბული და დრამატული იქნება. შეუძლია "ლოკომოტივს" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება?

- რა თქმა უნდა ეს ძნელი იქნება. დღეს გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომელი გუნდები გავლენ პირველ და მეორე ადგილებზე. ასე რომ, წინ არაერთი მატჩია და მარჩიელობას აზრი არ აქვს. ერთი კი ცხადია, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად იმედს არ ვკარგავთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ...

მერაბ მამულაშვილი

მალხაზ ასათიანი

ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

მიზანი ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენაა

პოლიტიკური გადაწყვეტილება კლუბის შექმნასთან დაკავშირებით ცხინვალის "სპარტაკმა" შეიფერა. კობა ჟორჟიკაშვილმა უმთავრესად ხალხისთვის უცნობი, მაგრამ მისი თქმით, ნიჭიერი ბავშვები აიყვანა, რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეც დაიხმარა და გუნდი არც ისე სუსტად გამოიყურება. ბოლო ტურში "ცხინვალმა" სტუმრად სენსაცია გამოაცხო, "ბათუმი" 2:1 დაამარცხა და გამოჩნდა, რომ ამ გუნდში მუშაობა მიდის. მართალია, ჯერ ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა გამოჩნდა. "ცხინვალის" მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს სწორედ ასეთების აღმოჩენა დაუსახავს მიზნად.

- სეზონის დაწყებამდე უმაღლესის ყველა გუნდი გაძლიერდა. ამის ფონზე აშკარად გამოჩნდა "ცხინვალის" განსხვავებული საკადრო პოლიტიკა - უმთავრესად გამოუცდელ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაეყრდენით. რისი იმედი გქონდათ, ეს ხომ ძალიან სარისკო გადაწყვეტიება იყო?

- სარისკო იყო ერთი შეხედვით, მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცოდი, ვის და რატომ ვიწვევდი. მათ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყავი, არც შევმცდარვარ. უმაღლესში თამაშით ეს ბიჭები დღითიდღე იზრდებიან. რაც მთავარია, გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროა, ბევრს და კარგად ვშრომობთ.

მიხარია, რომ ნიჭიერ ბავშვებთან ვმუშაობ. მათ შეუძლიათ კარიერა აიწყონ. ჩემი მიზანია, მივცე ცოდნა, განათლება და ამ გზის აწყობაში ხელი შევუწყო. როგორც ვხედავ, ჩვენს მონდომებას ნელ-ნელა შედეგი მოაქვს.

- როგორც ვხვდები, თქვენი მიზანი არა, ვთქვათ, სამეულში მოხვედრა ან თასზე წინ წაწევა, არამედ ტალანტების აღმოჩენაა.

- რა თქმა უნდა. მგონი, დღევანდელ ვითარებაში ეს არა მარტო "ცხინვალის", ყველა ქართული კლუბის ამოცანა უნდა იყოს.

ჩვენ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა. აქედან გამომდინარე, დიდი მიზნებისთვის ვერ ვიბრძოლებთ, მაგრამ სეზონი ხომ არ უნდა გავაცდინოთ? საქმეა საკეთებელი და რა დაგვრჩენია? ისეთი ბიჭები გავზარდო, შემდეგ ძლიერ ევროპულ კლუბებში თამაში რომ შეძლონ. ეს ისევ ნაკრების ინტერესებს პასუხობს.

- "ცხინვალს" უმაღლესლიგელებში ყველაზე მცირე ბიუჯეტი გააჩნია. რომ ახსენეთ სამუშაო გეგმა, მის განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ? 300 ათასი ლარი წელიწადში ძალიან მცირე თანხაა.

- ჩვენ საკუთარი ბაზა, სტადიონი და ინფრასტრუქტურა ამჟამად არ გაგვაჩნია. თუმცა სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თანადგომას და ხელშეწყობას არ გვაკლებს.

სხვათა შორის, ჩვენი პლუსი ისაა, რომ საკმაოდ ძლიერი ტექნიკური პერსონალი გვყავს. მაგალითად, გივი ბერაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში იყო "დინამოს" მასაჟისტი.

- კი მაგრამ გუნდს იფრასტრუქტურაც სჭირდება და სოლიდური დაფინანსებაც. სხვაგვარად მაინც არსებობს საფრთხე, რომ "ცხინვალის" და სოხუმის "დინამოს" ორი წლის წინანდელი მწარე მაგალითები განმეორდეს...

- ჩვენი შრომით შედეგებსაც გამოვაჩენთ და ბუნებრივია, ეს დაგვიფასდება. მთავარია, რეგიონში საქართველოს იურისდიქცია აღდგეს. სხვათა შორის, ცხინვალში თანამედროვე ბაზის მშენებლობა იგეგმება, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. მანამდე კი, როგორც ვიცი, სოფელ ქურთაში შენდება არანაკლები ბაზა.

- ანუ, გუნდში რეალურ პერსპექტივას ხედავთ?

- რა თქმა უნდა, ვხედავ და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ სხვებმა გაიგონ. გუნდში ისეთი პერსპექტიული ბიჭები მოვიყვანე, მათ კარგ მომავალს მხოლოდ დილეტანტი ვერ დაინახავს. მაგალითად, დათო ჯანელიძე, თორნიკე თარხნიშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი, დარბაიძე, გიორგი თექთუმანიძე, რომელსაც ჯერ კიდევ "ოლიმპიდან" "ჩიორას" მეტსახელით იცნობდნენ. შეუძლებელია, ამ ბიჭებთან მუშაობით შედეგებს არ მივაღწიო.

- ყველაზე გასაოცარი "ცხინვალში" ქემოკლიძის გამოჩენა იყო. როგორც ვიცით, ამ ბიჭით "ზესტაფონი" იყო დაინტერესებული და თქვენთან როგორ აღმოჩნდა?

- რეზო თავისუფალი აგენტი იყო და ბუნებრივია, როდესაც შევიტყვეთ მისი უგუნდობა, მოვიწვიეთ. ის უკვე საკმაოდ კარგად ათამაშდა და ჩვენთან ყოფნის პერიოდს, დარწმუნებული ვარ, ნაყოფიერადაც გამოიყენებს. ნაკრებში ნათამაშებია, გამოცდილებაც აქვს და ახალგაზრდებზე დადებითად ზემოქმედებს.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დადგმა;
CDN კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩართე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტურის წინ

დოლი წარსულის წინააღმდეგ

თომასისთვის ჰამბურგი ტკივილია...

დღეს

ბორუსია-პამბურგი
პერტა-პანზა
ვოლფსბურგი-ვერდერი
დუისბურგი-შალკე

ხვალ

შტუტგარტი-ბოხუმი
ბაიერნი-კოტბუსი
ნიურნბერგი-ლევერკუზენი
არმინია-კანოვერი
აინტრახტი-კარლსრუე



ჰუუბ სტევენსი და თომას დოლი

ბუნდესლიგის მე-7 ტურის მატჩები დღეს და ხვალ ტარდება. ყველაზე დამაინტრიგებელი თამაშის სტატუსი "ბორუსიისა" და "ჰამბურგის" ჯახს ეკუთვნის, რომელიც დღეს დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონზე" გაიმართება. წინა სეზონში BVB-მ HSV-ს მინიმალური ანგარიშით მოუგო და აღსანიშნავია, რომ მაშინ "ჰამბურგის" დამრიგებელი **თომას დოლი** გახლდათ - კაცი, რომელიც დღეს "ბორუსიას" წვრთნის. ყოფილ გუნდთან შერკინება დოლისთვის განსაკუთრებული მოვლენაა, თომასი ამბობს, ძალიანაც რომ მოვინდომო, ამ მატჩს ემოციების გარეშე ვერ შევხვდებიო "ჰამბურგი" ის გუნდია, რომელმაც დოლი ჯერ გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად აქცია, მერე კი მიწაზე ისე მაგრად დააანარცხა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს თავი აღარსად გამოეყოფოდა. "ჰამბურგი" ჩემი ტკვილიაო, ამიტომაც ამბობს თომასი. HSV-ს დამრიგებელი და შესაბამისად, დოლის ვიზავი **ჰუუბ სტევენსი** კი თამამად აცხადებს, დორტმუნდში სამი ქულისთვის ჩავდივართო. რაკი ორივე გუნდი შემტევ და თვალსასაერო ფეხბურთს თამაშობს, მატჩი უაღრესად სანახაობრივი უნდა გამოვიდეს.

იმის გამო, რომ **ფილიპ დეგენი** ისევ ტრავმირებულია, დოლი იძულებული იქნება, დაცვის მარჯვენა ფლანგზე კვლავ **ფლორიან კრინგე** გაამწესოს, ფეხბურთელი, რომელიც ჩვეულებისამებრ ნახევარდაცვაში უფრო სასარგებლოა. მართალია, BVB შაბათს ბერლინში დამარცხდა, მაგრამ თომასი სასტარტო შემადგენლობას ალბათ, არ შეცვლის. ამას არც სტევენსი გააკეთებს, რადგან ჩრდილოელებმა შაბათს "ნიურნბერგს" მოუგეს და HSV-ს ჰოლანდიელ მწვრთნელს შემადგენლობის შეცვლის საბაბი არ მისცემია.

არანაკლებ საინტერესო იქნება "ვოლფსბურგისა" და "ვერდერის" შეხვედრა, სადაც **ფელიქს მაგათისა** (ვოლფსბურგი) და **თომას შააფის** (ვერდერი) სახით, ერთმანეთს დიდი მწვრთნელები უპირისპირდებიან. "ბრემენელმა მუსიკოსებმა" შაბათს "შტუტგარტი" მიწასთან გაასწორეს და ხასიათი გამოიკეთეს, "მგლებმა" კი კოტბუსში იმარჯვეს და ამრიგად, "ვოლფსბურგშიც" საბრძოლო განწყობაა. "ვერდერის" ფორვარდ **უგო ალმეიდას** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ასე რომ, თავდამსხმელი, რომელმაც "შტუტგარტს" დუბლი შეუსრულა, დღესაც ითამაშებს.

"შალკე" დუისბურგში ჩადის. "კიკერის" ვარაუდით, **ლევან კობიაშვილი** განაცხადში უნდა იყოს, მაგრამ "ბილდი" წერს, რომ ქართველი ნახევარმცველის თამაში ისევ კითხვის ნიშნის ქვეშაა. დიდი შანსია, რომ გელზენკირხენულ გუნდს კაპიტანი **მარსელო ბორდონიც** გამოაკლდეს და ასეთ შემთხვევაში, **მირკო სლომკა** იძულებული იქნება, რომ დაცვის ცენტრში ახალგაზრდა **ჰიოვედესი** ათამაშოს. და რაკი **კრსტაიჩიც** დაშავებულია, გამოდის, რომ "შალკეს" ჰიოვედესისა და **ვესტერმანის** სახით, ერთობ გამოუცდელი უკანა ხაზი ეყოლება. მეორე ადგილზე მყოფი "ჰერტა" კი "ჰანზას" მასპინძლობს, გუნდს, რომელმაც 5 მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, შაბათს პირველი ქულები აიღო.

ხვალ, ლიდერი "ბაიერნი" ბოლოადგილოსან "კოტბუსს" მასპინძლობს და ცხადია, რომ მიმომხილველები რეკორდმაისტერს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ. მით უმეტეს, რომ "ენერგი" გაურკვეველ ვითარებაშია - გუნდი მწვრთნელს ეძებს და ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ გაიყვანს "კოტბუსს" "ალიანს არენაზე". "კიკერის" ვარაუდით, **ოტმარ ჰიტცფელდი კრისტიან ლელს** დაასვენებს და მის ნაცვლად დაცვის მარჯვენა ფლანგს **ჰამით ალთინთოფს** ჩააბარებს. დიდი შანსია, რომ დაისვენოს **მარტინ დემიკელისმაც**. ასეთ შემთხვევაში, დაცვის ცენტრში **ლუსიოს დანიელ ვან ბუიტენი** შეუწყვილდება. **ფილიპ ლამი** ისევ ლაზარეთშია.

"შტუტგარტი" "ბოხუმს" ხვდება და შვაბებისთვის ამ თამაშის მოგება აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ჩემპიონებმა განვლილ 6 ტურში ქულები ისედაც უხვად გაანიავეს, რის გამოც ახლა მე-13 ადგილზე იმყოფებიან ("ბოხუმი" მეთერთმეტეა). გასავარდნ ზონაში დაქვეითებული "ნიურნბერგი" კი მესამე პოზიციაზე და ჩინებულ ფორმაში მყოფ "ლევერკუზენს" მიიღებს. "ფარმაცევტებს" ლაზარეთიდან **ბერნდ შნაიდერი** დაუბრუნდა, მაგრამ ამ უკანასკნელის თამაში მაინც საეჭვოა. "არმინია", რომელმაც შაბათს "შალკესგან" ცივი შხაპი მიიღო (0:3), "ჰანოვერს" ხვდება, რომელიც ასევე სამარცხვინოდ დამარცხდა (ლევერკუზენთან 0:3). "ბაიერნის" მიერ გაცამტვერებული "კარლსრუე" კი ფრანკფურტის "აინტრახტს" ესტუმრება. "კიკერი" **ალექსანდრე იაშვილს** ისევ სათადარიგოთა სკამზე მოიაზრებს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	6	4	2	0	16-3	14
2. ჰერტა	6	4	0	2	10-8	12
3. ლევერკუზენი	6	3	2	1	9-2	11
4. აინტრახტი	6	3	2	1	7-5	11
5. შალკე	6	2	4	0	12-6	10
6. ჰამბურგი	6	3	1	2	6-5	10
7. არმინია	6	3	1	2	11-11	10
8. ვერდერი	6	3	1	2	9-11	10
9. დორტმუნდი	6	3	0	3	11-10	9
10. კარლსრუე	6	3	0	3	7-10	9
11. ბოხუმი	6	2	2	2	8-9	8
12. ვოლფსბურგი	6	2	1	3	9-10	7
13. შტუტგარტი	6	2	1	3	8-10	7
14. ჰანოვერი	6	2	1	3	7-12	7
15. დუისბურგი	6	2	0	4	8-9	6
16. ნიურნბერგი	6	1	2	3	5-8	5
17. ჰანზა	6	1	0	5	5-11	3
18. კოტბუსი	6	0	2	4	3-11	2

ჰერტა

ფავრმა ბერლინი გამოაფხიზლა

არადა, სეზონის წინ ჰერტას ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ...

გერმანულ საფეხბურთო სამყაროს ბოლო წლებში გულში ხინჯად აქვს ის ფაქტი, რომ დედაქალაქის გუნდი წარუმატებელია. "ჰერტას" სერიოზულ მიზნებს მიმდინარე სეზონის დაწყებამდეც არავინ უსახავდა, რადგან დიდი ხანია, რაც ბერლინელებს ქაოსი და გაურკვევლობა ახასიათებთ, მაგრამ ნახეთ, გერმანიის პირველობის დაწყებიდან 6 ტურია გასული და გერმანიის "ბებერი ქალბატონი" (შესაძლოა, ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ეს მეტსახელი მხოლოდ ტურინის "იუვენტუსს" არ ჰქვია) სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. და ეს ნამდვილად არ არის შემთხვევითი...

"ჰერტას" დამრიგებელ **ლუსიენ ფავრს** გერმანიაში უკვე დიდ სტრატეგს უწოდებენ. მწვრთნელი, რომელიც პირველ ხანებში ექსპერტებისგან მხოლოდ კრიტიკას იმსახურებდა, ახლა უკვე ყოველმხრივ პატივცემული და დაფასებული სპეციალისტია. ეს კი იმის "ბრალია", რომ "ჰერტა" თამაშობს. ფეხბურთს თამაშობს! და ის ექსპერტები, რომლებიც სეზონის წინ ბერლინულ კლუბს ბუნდესლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ, დღეს ჩუმად არიან. შაბათს, დორტმუნდის "ბორუსიასთან" მოგებული მატჩი (3:2), "ჰერტასთვის" მე-6 შეხვედრიდან მე-4 გამარჯვება იყო. მანამდე დედაქალაქელებმა "ვოლფსბურგთან", "დუისბურგთან" და ჩემპიონ "შტუტგარტთან" სამ-სამი ქულა მოიპოვეს. ამრიგად, ბერლინში ტრაური კი არა, უდიდესი ეიფორიაა, ეს კი, პირველ რიგში, სწორედ მწვრთნელის დამსახურება გახლავთ - 49 წლის ლუსიენ ფავრისა, რომელმაც ივნისში ქაოტური **ფალკო გიოტცი** შეცვალა.

შვეიცარიელმა სპეციალისტმა, რომელიც "ჰერტამდე" "ციურიხის" თავკაცი გახლდათ, პირველი, რაც ბერლინში ჩასვლის შემდეგ მოიმოქმედა, საკადრო წმენდა იყო. მან გუნდი 13 ფეხბურთელს დაატოვებინა. შავ სიაში სხვებთან ერთად **დიკ ვან ბურიკი, კევინ** და **ჯერომ ბოატენგები** მოხვდნენ. სამაგიეროდ, ფავრმა 7 ახალი მოთამაშე დაიმატა, რომელთაგანაც, დიდ ნაწილს გულშემატკივრები არც კი იცნობდნენ. *"ჩვენ გუნდიდან ისეთი ფეხბურთელები გავუშვით, რომლებიც მწვრთნელის გეგმაში არ ჯდებოდნენ. ახალი ფეხბურთელების შერჩევისას კი, ლუსიენი, პირველყოვლისა, მოთამაშეების ხასიათს აკვირდებოდა,"* - აცხადებს მენეჯერი **დიტერ ჰიონესი**.

ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ბოლო დროს "ჰერტაში" ზედმეტად უხეშმა, ეგოისტმა და აღვირახსნილმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი და მწვრთნელმაც სწორედ ისეთები გაუშვა, ნებისმიერი უდისციპლინობისა და არეულობის ინიციატორები და ბუნტისთავები რომ იყვნენ. შედეგად, ბერლინულ კლუბში აღარც სკანდალებია, ვარჯიშებზეც აღარავინ აგვიანებს და გუნდიც გუნდს დაემსგავსა. კაპიტან **არნე ფრიდრიხის** სიტყვებიც ამის დასტურია: *"გასულ სეზონში საშინელი სიტუაცია იყო. ახლა კი გუნდური სულისკვეთება ჩამოყალიბდა და წესრიგი დამყარდა."*

ამრიგად, ფავრის უდიდესი პლუსი დისციპლინაა, რაც ქაოტურ "ჰერტას" ასე ძალიან სჭირდებოდა. ზუსტად ისე, როგორც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი**, ლუსიენიც დისციპლინის ფანატიკოსია. ფრიდრიხიც ამბობს, ფავრსა და იოგის იდენტური საფეხბურთო ფილოსოფიები აქვთ, ლუსიენიც სწრაფ ტემპში თამაშსა და ბურთთან მაქსიმალურად ცოტა კონტაქტს გვთხოვს, ტაქტიკას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და ერთი სიტყვით, ამ მწვრთნელის ხელში უკვე ძალიან ბევრი რამ ვისწავლეო. აქვე **მალიკ ფათის** სიტყვებსაც მოვიშველიებთ, რომელიც ამბობს: *"ხანდახან ძალიან ცივია, მაგრამ არავის არაფერს უკარგავს. ის დრო, როცა "ჰერტა" "შემთხვევითი ტაქტიკით, შემთხვევით ფეხბურთს" თამაშობდა, წარსულს ჩაბარდა."*

ლუსიენ ფავრი

ფავრმა გუნდში დატოვა **იოზიპ შიმუნიჩი** და **მარკო პანტელიჩი** - ბიჭები, რომლებიც ასევე ხშირად "ურევდნენ" და აღვირახსნილობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მწვრთნელმა მათი დაშოშმინება და აზრზე მოყვანა შეძლო. ეს განსაკუთრებით პანტელიჩს ეხება, რომელიც გიოტცის ხელში არაფერს დაგიდევდათ და გუნდში ერთ-ერთი ყველაზე უდისციპლინო იყო. 29 წლის სერბს უკვე 4 გოლი აქვს გატანილი, ზუსტად იმდენი, რამდენიც გასული სეზონის მეორე წრეში შეაგდო. ამასთანავე, ბერლინელთა დამრიგებელი უფრო ხშირად ენდობა 20 წლის **სოლომონ ოკორონკვოს**, რომელიც მწვრთნელს იმედებს უმართლებს. ნიგერიელმა 3 გოლის გატანა მოასწრო, შაბათს, "ბორუსიას" კი ძალიან ეფექტური ბურთი შეუგდო. ნიგერიელი მოედანზე 180 წამის შესული იყო, როცა შესანიშნავი სოლორეიდი BVB-ს მცველ **კრისტიან ვიორნსის** გაბითურებითა და ლამაზი გოლით დასრულა. გოლი კი ისე ემოციურად იზეიმა, რომ მწვრთნელისგან ქება კი არა, ბრაზიანი გამოხედვა და ძაგება დაიმსახურა. *"ოკომ გოლი ზედმეტად ემოციურად აღნიშნა და თუ ფიქრობს, რომ მეტოქის კარში გოლი თავისით გადის, ძალიან ცდება. ამას გარდა, ის მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა და ბურთის დაკარგვის შემთხვევაში, უკანა ხაზებს არ ეხმარებოდა. გოლი რომ გაიტანა, თანაც საკმაოდ ეფექტური, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გმირია და მეც ის მინდოდა, რომ ამას მიმხვდარიყო,"* - ამბობს ფავრი. პანტელიჩს კი ძალიან აქებს, მისით კმაყოფილი ვარ, გუნდისთვის თამაში ისწავლა, რაც ძალიან დასაფასებელიაო. ასეცაა: პანტელიჩი ძალიან შეცვლილია - როგორც მოედანზე, ასევე მოედანს მიღმაც. ფრიდრიხიც ამბობს, პანტე გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა, ფავრმა მას საკუთარი ეგო დაავიწყაო.

მოკლედ, "ჰერტას" მწვრთნელის ხელი დაეტყო და ეს სატურნირო ცხრილზეც ასახულია: მეორე ადგილი სერიოზული პერსპექტივით. ლუსიენის შემხედვარე ჩვენს გერმანელ კოლეგებს, **ევალდ ლინენი** ახსენდებათ, სპეციალისტი, რომელიც თავისი ფეხბურთელების თითოეულ მოქმედებას ბლოკნოტში ინიშნავდა. ფავრიც ასევე იქცევა, ლინენის დარად, ყველაფერს ფურცელზე აფიქსირებს და ყოველი მატჩის შემდეგ, ფეხბურთელებს მათ პლუს-მინუსებზე ცალ-ცალკე ესაუბრება. მისი ანალიზი იდეალურიაო, აცხადებს **პალ დარდაი**.

მთლად იდეალური არა, მაგრამ ჯერჯერობით, "ჰერტას" კარგი გუნდი ეთქმის. დღეს ბერლინელები როსტოკის "ჰანზას" მასპინძლობენ...

გოტფრიდ ლენცი

მოსალოდნელი ტრანსფერი

რონალდინიო ჩელსის უახლოვდება?

შეთქმულება, რომელიც ბრაზილიელის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად...

რონალდინიოს **რომან აბრამოვიჩთან** შეხვედრა სურს. ამ ინფორმაციას პოპულარული ბრიტანული ტაბლოიდი "სანი" ავრცელებს. მისი მიმომხილველი გვაუწყებს, რომ ბარსელონელმა ვარსკვლავმა თავის ძმას, **რობერტო ასისს** ლონდონელებთან მოლაპარაკებების დაწყება დაავალა. რონი ამის მიზეზად კატალონიის დედაქალაქში მის წინაალმდეგ წამოწყებულ კამპანიას ასახელებს. "ჩელსის" ბოსს დიდი ხანია, ბრაზილიელი გალაქტიკოს შეძენა სურს. აგვისტოში ხმაურიან ტრანსფერზე ინტენსიურად მსჯელობდნენ. ზოგიერთმა საინფორმაციო სააგენტომ გარიგების ფინანსური დეტალებიც კი გამოამზეურა: აბრამოვიჩი 50 მილიონი გირვანქას ამზადებს, რონალდინიო მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი გახდებაო.

"სანს" არც ის გამოპარვია, რომ სექტემბრის დასაწყისში რობერტო ასისი ლონდონს ეწვია. ის ორჯერ შეხვდა აბრამოვიჩს. ადვილი მისახვედრია, რაზე შეიძლება ესაუბრათ "ჩელსის" ბოსსა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის აგენტს. რონალდინიოს გვარმა ორი დღის წინათაც გაიუღერა. "სანმა" გვაუწყა, აბრამოვიჩი შემადგენლობის გასაძლიერებლად 100 მილიონ გირვანქას დახარჯავს. მას ამ ფულით რონალდინიოსა და **კაკას** შეძენა სურსო.

რატომ უნდა ველოდოთ რონის "კამპ ნოუდან" აბარგებას? ამ კითხვას ესპანური ტაბლოიდები სცემენ პასუხს. მიმომხილველთა ერთი ნაწილი ეჭვობს, რომ "სევილიასთან" რონალდინიოს უთამაშებლობის მიზეზი სულაც არ ყოფილა ტრავმა. ანდალუსიელებთან მატჩამდე ორი დღით ადრე ბრაზილიელმა რეუმი დაარღვია, გათენებამდე ბარებსა და დისკოთეკებზე იყო და **ფრანკ რიიკაარდმა** ამიტომაც დასაჯაო. "სევილიასთან" ნამატჩევს "ბარსელონის" თავკაცს ამ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს. რიიკაარდმა თქვა, რომ მას არავინ დაუსჯია. რაც შეეხება რონალდინიოს უდისციპლინობას, კატალონიელების თავკაცმა ჟურნალისტებს მოახსენა: ამ ხმებმა ჩემამდეც მოაღწია, მაშინვე რონის დავუკავშირდი. მან ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. მე კი ჩემი ფეხბურთელის მჯერაო. შეთქმულებაზე საუბრობს რონალდინიოს აგენტი: *"დარწმუნებული ვარ, ვიღაცას ჩემი ძმის მოშორება სურს. მათ რონალდინიოს ავტორიტეტის შელახვა უნდათ და აქტიურად იყენებენ ყვითელ პრესას. რონის შესახებ ყოველდღე უთვალავ სიბინძურეს ვკითხულობ. ამ აბსურდს დასასრული არ უჩანს. გარწმუნებთ, ის არ გააცდენდა თამაშს, დაშავებული რომ არ ყოფილიყო. არა მგონია, ვინმეს რონალდინიოს ერთგულებაში ეჭვის შეტანის საფუძველი გააჩნდეს."*

ბრაზილიელს არც ორშაბათს უვარჯიშია. ამიტომ მას, ალბათ, "სარაგოსასთან" მატჩიც გაუცდება. "სევილიასთან" მატჩისას **ლეო მესიმ** ორივე გოლი ბრაზილიელ მეგობარს მიუძღვნა. ბარსელონელი ფეხბურთელები მას სრულ თანადგომას უცხადებენ.

საით მიუწევს გული რონალდინიოს

ინტერის მცველმა ნელი გონება დაკარგა

მილანის "ინტერის" მცველმა **ნელსონ რივასმა** ერთ-ერთი ვარჯიშისას გონება დაკარგა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ინციდენტი 15.45 საათზე მოხდა. თანაგუნდელები ენით აუწერელმა შიშმა შეიპყრო. ექიმები მინდორზე შეცვივდნენ და კოლუმბიელ ლეგიონერს მიეშველნენ. საბედნიეროდ, ის მალე მოასულიერეს და ფეხზე წამოაყენეს. რივასს ვარჯიში, რა თქმა უნდა, აღარ გაუგრძელებია. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. ექიმები შემოწმების შედეგს უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებენ. იქამდე ნელსონი შვებულებაში იმყოფება.

ოუენი: ნიუკასლი ოპერაციას არ ჩქარობს

მაიკლ ოუენი ზედიზედ მეორე მატჩში ნაადრევად შეცვალეს. "ვესტ ჰემთან" ბოლო ტურში ის 51-ე წუთზე გაიყვანეს მინდვრიდან. "ნიუკასლის" თავდამსხმელი "დერბისთან" ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაში დაშავდა. მას საზარდულის ტრავმამ შეახსენა თავი. ინგლისელმა მიმომხილველებმა გვაუწყეს, რომ ფეხბურთელს გარდაუვალი ოპერაცია ესაჭიროებოდა. ოპერაციის შემთხვევაში ფორვარდს ორი თვე გაუცდება. ამიტომ ჯორდები ქირურგიული ჩარევისაგან თავს იკავებენ და ფეხბურთელის მდგომარეობას აკვირდებიან. კვირას მაიკლმა გოლის გატანა ვერ მოასწრო. სამაგიეროდ, ეს მისია **მარკ ვიდუკამ** და **შარლ ნზოგბიამ** იტვირთეს. მასპინძლებმა ლონდონელებს 3:1 სძლიეს.

იოლი მზადაა, წავიდეს

მარტინ იოლმა "ტოტენჰემის" დირექტორებს აუწყა, რომ მზადაა, კონტრაქტი გაწყვიტოს. "დეილი მეილის" ცნობით, გუშინ საღამოს დირექტორატის საგანგებო სხდომა უნდა გამართულიყო. მასზე მთავარი მწვრთნელის შესახებ უნდა ემსჯელათ. "ტოტენჰემი" კრიზისიდან გამოსვლას ვერ ახერხებს. ბოლო ტურში "მამლებმა" მაჩანჩალა "ბოლტონთანაც" ვერაფერი გააწყვეს (1:1). ლონდონელთა თავმჯდომარემ **დანიელ ლევიმ** **ჟოზე მოურინიოსაც** კი შესთავაზა კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ პორტუგალიელისაგან თავაზიანი უარი მიიღო. "სანის" ცნობით, იოლის დათხოვნის შემთხვევაში, უმთავრესი კანდიდატი ისევ სევილიელი **ხუანდე რამოსი** იქნება, მაგრამ საეჭვოა, ესპანელმა დაუყოვნებლივ ინგლისში გამგზავრება მოახერხოს. ამიტომ დირექტორებს იმის გადაწყვეტა მართებთ, თუ ვის ჩააბარონ კლუბი იოლი დათხოვნის შემდეგ და რამოსის დანიშვნამდე.

მილანს კანუტეც მოუნდა

"მილანის" პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონის** თავდასხმის გაძლიერება სურს. მან "როსონერის" თავკაც **კარლო ანჩელოტის** სევილიელი **ფრედერიკ კანუტეს** შეძენა შესთავაზა. მილანელებმა ზედიზედ სამი მატჩი დაასრულეს ფრედ (ორი იტალიის ჩემპიონატში და ერთი ჩემპიონთა ლიგაში). კლუბს გოლების გატანა უჭირს. **ალბერტო ჯილარდინო** ცუდ ფორმაშია, რონალდო კი საერთოდ ვერ თამაშობს. ევროპის ჩემპიონებმა "უდინეზეს" თავდამსხმელ **ანტონიო დი ნატალესაც** დაადგეს თვალი. ის 8 მილიონი ევრო ღირს. კანუტე მეორე ყველაზე სასურველი კანდიდატია. მან ბერლუსკონის ყურადღება ევროპის სუპერთასის მატჩისას მიიპყრო.

დონადონი დელ პიეროს შეხვედება

იტალიის ნაკრების თავკაცი **რობერტო დონადონი** **ალექს დელ პიეროსთან** შეხვედრას აპირებს. "იუვენტუსის" კაპიტანი უკმაყოფილოა იმით, რომ ნაკრებში მისთვის უწესულო პოზიციაზე ათამაშებენ. დონადონიმ მიმომხილველებს განუცხადა: *"ბუნებრივია, ყველა ფეხბურთელს სურს, ითამაშოს იქ, სადაც უკეთ გრძნობს თავს. მე თითოეული მათგანის მოსაზრებას პატივს ვცემ, მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ მე, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ყველაზე წინ გუნდის ინტერესებს ვაყენებ და მხოლოდ ამის საფუძველზე ვიღებ გადაწყვეტილებას."*

კლასნიჩი მალე დაბრუნდება

"ვერდერის" თავდამსხმელი **ივან კლასნიჩი** ფეხბურთის თამაშს სულ მალე განაახლებს. როგორც იცით, მან გაზაფხულზე ორი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა - ორჯერ გადაუნერგეს თირკმელი, რის შემდეგაც, ცხადია, მოედანზე აღარ გამოჩენილა. *"ექიმები მეუბნებიან, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ, მაგრამ ყოველდღიურად მიმოწმებენ სისხლს. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ,"* - განაცხადა კლასნიჩმა ტელეკომპანია DSF-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

თუ როდის დაბრუნდება ივანი მოედანზე, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი შედეგი ექნება ტესტს, რომელსაც ბრემენელთა 27 წლის ფორვარდი ჰარასკევს გაივლის. კლასნიჩი იმედოვნებს, რომ ფეხბურთს ძალიან მალე დაუბრუნდება და იქვე ამბობს, ავადმყოფობის პერიოდში, კარიერის ნაადრევად დასრულებაზე ერთხელაც არ მიფიქრიაო.

ჩელსი. ახალი მწვრთნელი მოლოდინში

კლინსმანი, არისტოკრატი ქომაგების ფავორიტი

გაუთავებელი სპეკულაციები თემაზე: ვინ დაიკავებს ჟოზე მოურინიოს ადგილს? ტაბლოიდები გრანტს დღეებს უთვლიან...

"დეილი მეილმა" "ჩელსის" გულშემატკივრებში გამოკითხვა ჩაატარა. კითხვაზე, ვინ გსურთ მთავარ მწვრთნელად, რვა სავარაუდო კანდიდატიდან ხმათა უმრავლესობა **იურგენ კლინსმანმა** დააგროვა. მას ქომაგების 30-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. მეორე ადგილზე რუსეთის ნაკრების დამრიგებელი **გუუს ჰიდინკი** გავიდა (16%), მესამეზე უმუშევარი **ფაბიო კაპელო** (12%). მან მსოფლიოს ჩემპიონ **მარჩელო ლიპისაც** კი (8%) გაასწრო. ხუთეულში მოხვდა "იუვენტუსის" ყოფილი თავკაცი **დიდიე დეშამიც** (6%). ამასობაში, "ჩელსის" ხელმძღვანელობა დროებით თავკაც **აბრაამ გრანტს** სრულ ნდობას უცხადებს. დირექტორები მინიშნებასაც კი არ აკეთებენ იმის თაობაზე, სურთ თუ არა უფრო ავტორიტეტული სპეციალისტის მიწვევა. საკუთარი რეალურია, სეზონი ისრაელის ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა ჩაამთავროს. "სანმა" უკვე გვაუწყა, იანვრის ტრანსფერებისას გრანტი 100 მილიონ გირვანქას დახარჯავსო.

მისტერ აბრაამმა ლონდონური კარიერა წაგებით დაიყო. "არისტოკრატებმა" ბოლო სამ შეხვედრაში ერთადერთი ქულა მოიპოვეს. ბუნებრივია, მათი სატურნირო მდგომარეობაც მკვეთრად გართულდა. თავად განსაჯეთ: "ჩელსის" შვიდ თამაშში 11 ქულა აქვს და მეექვსე ადგილზე იმყოფება. ლიდერმა "არსენალმა" ექვს შეხვედრაში 16 ქულას მოუყარა თავი. გრანტს მთელი თავისი ოსტატობის გამოჩენა მოუწევს, რათა მდგომარეობა გამოასწოროს. მიმომხილველებს მის კვალიფიკაციაში ეჭვი ეპარებათ. ამიტომაც, ადრე თუ გვიან, უფრო სახელგანთქმული მწვრთნელის მიწვევას ვარაუდობენ.

ზემოთ ქომაგების განწყობა ვახსენეთ. მოდით, ბრიტანულ პრესასაც შევავლოთ თვალი. გასულ უქმეებზე "დეილი ექსპრესმა" გვაუწყა, "ჩელსი" "მანჩესტერ სიტის" მწვრთნელის წართმევას უპირებსო. საქმეში ჩახედულ მკითხველს მოეხსენება, რომ 2004 წელს, როცა აბრამოვიჩი "სტემფორდ ბრიჯზე" ერთი წლის მისული იყო, **სვენ გორან ერიქსონი** საკუთარ ვილაში დაპატიჟა და კონტრაქტი შესთავაზა. პაპარაცებმა შვედი სპეციალისტი რუსი ოლიგარქის სახლთან გამოიჭირეს და მაშინვე სურათზე აღბეჭდეს. ამ ფოტოების გამოქვეყნებას დიდი სკანდალი მოჰყვა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ სვენისგან ახსნა-განმარტებები მოითხოვა. საბოლოოდ, ჭიქა-ქუხილმა გადაიარა, თუმცა სამი წლის შემდეგ ერიქსონი ისევ "ჩელსის" დაუკავშირეს. ამჯერად ყველაფერს მალევე მოეფინა ნათელი. სვენმა თქვა, რომ მანჩესტერში ძალიან ბედნიერია.

მეორე კანდიდატია **მარჩელო ლიპი**. ამ თემას "ფიფლი" ეხმაურება. გაზეთი იტალიელი მწვრთნელის დანიშვნას შობის დღესასწაულამდე ვარაუდობს. "ჩელსის" სხვა გზა არც აქვს, რადგან აბრაამ გრანტს პრემიერლიგაში სამუშაოდ საჭირო ლიცენზია არ გააჩნიაო, ვკითხულობთ "ფიფლის" სტატიაში. გრანტის ლიცენზია მწვრთნელის პრეზენტაციის დროსაც ახსენეს. "ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** განაცხადა: ყველაფერი რიგზეა, მისტერ აბრაამის დოკუმენტები უახლოეს დღეებში ჩამოვა და პრობლემა ამით მოგვარდებაო. მაგრამ როგორც ჩანს, კენიონის განმარტება სპეკულაციების დასამთავრებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

"მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩს ჰოლანდიის ნაკრების თავკაცი **მარკო ვან ბასტენი** დაესწრო. ეს ფაქტი ტაბლოიდებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. რა უნდოდა ვან ბასტენს "ოლდ ტრეფორდზე", ნუთუ ის ვეტერან **ედვინ ვან დერ სარს** აკვირდებოდა? მის შეგირდთაგან მინდორზე მეტი არავინ იყო, ვან დერ სარს კი დაკვირვება სულაც არ სჭირდება. ის ისედაც ნაკრების შეუცვლელი გოლკიპერიაო. ტაბლოიდები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მარკოს გამოჩენა უთუოდ "ჩელსისთან" უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ჰოლანდიელმა სტადიონი უკომენტაროდ დატოვა. მის შესახებ არც ლონდონური კლუბის წარმომადგენლებს უთქვამთ რამე.

"მირორში" ასეთი რამ ამოვიკითხეთ. "ჩელსის" საუკეთესო ფეხბურთელებს სთხოვეს, თავიდან ამოიგდონ სხვა კლუბებში გადასვლა, რადგან სულ მალე კლუბს ავტორიტეტული მწვრთნელი ჩაიბარებსო. "მირორი" **გუუს ჰიდინკისკენ** იხრება. ლონდონელები არც ამ სპეკულაციებს გამოხმაურებიან.

და კიდევ ერთი ცნობა "არისტოკრატების" ბანაკიდან. **ჟოზე მოურინიოს** დათხოვნისას **ჯონ ტერის** სახელმაც გაიელვერა. ითქვა, რომ "რუსენბორგთან" ნამატჩევს მწვრთნელს გუნდის კაპიტანიც დაუპირისპირდა და რომ ამ კონფლიქტმა ჟოზეს წასვლა ერთი-ორად დააჩქარა. "დეილი ექსპრესის" ცნობით, ბოლო 24 საათის განმავლობაში ტერიმ მინიმუმ სამი ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა მოურინიოს. "მანჩესტერთან" მატჩის წინ დაურეკა კიდეც, რათა ეთქვა, რომ ის არაფერ შუაშია. გაზეთი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, შედგა თუ არა სატელეფონო საუბარი. "ჩელსის" კაპიტანი ბოლოდროინდელმა სტატიებმა ისე გააღიზიანა, რომ მათი ავტორების წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილსაც კი აპირებსო.



აბრაამ გრანტი



იურგენ კლინსმანი



მარჩელო ლიპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი V ტურის წინ

რეალს სნეიდერი დაუბრუნდება

ბარსელონამ სული მოითქვა და მორიგი სამი ქულისთვის ემზადება

დღეს

სევილია-ესპანიოლი

ხვალ

დეპორტივო-რეკრეატივო
მალიორკა-ვალიადოლიდი
ოსასუნა-ლევანტე
რასინგი-ვილიარეალი
მურსია-ალმერია
ვალენსია-ხეტაფე
ბილბაო-ატლეტიკო
ბარსელონა-სარაგოსა

ზეგ

რეალი-ბეტისი

გასულ უქმეებზე "რეალმა" გამარჯვებათა სერია შეწყვიტა. ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ის "ვალიადოლიდთან" ფრეს დასჯერდა, თუმცა ფრეს ვინ ჩივის: **ბერნდ შუსტერის** შეგირდებმა კინალამ წააგეს. **ხავიერ სავიოლამ** საპასუხო გოლი 86-ე წუთზე შეაგდო. ამასობაში, სამ-სამი ქულა მოიპოვეს "ვალენსიამ," "ვილიარეალმა" და მადრიდელებთან სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს. ამბიციურმა "ატლეტიკომ", როგორც იქნა, სეზონის პირველი გამარჯვება იზეიმა და მეხუთე ადგილამდე ამაღლდა. "ბარსელონამ" "სევილიასთან" მოგებით მეოთხე ადგილზე აინაცვლა. მას "რეალისგან" ორად-ორი ქულა აშორებს. საუკეთესო ექვსეულშია "სევილიაც".

შუსტერმა "ვალიადოლიდში" **ვესლი სნეიდერი** არ ათამაშა. პირველი ტურებით თუ ვიმსჯელებთ, ჰოლანდიელი ნახევარმცველი "რეალის" ნამდვილი ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირია. მწვრთნელმა მას ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ როგორც ჩანს, "რეალი" სნეიდერითა და მის გარეშე ორი განსხვავებული გუნდია. "ბეტისთან" V ტურის ბოლო მატჩში (ხუთშაბათს) ვესლი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება, თუმცა წესით, სამეფო კლუბმა ერთ-ერთი აუტსაიდერი მის გარეშეც იოლად უნდა დაამარცხოს. სევილიურ კლუბს ოთხ თამაშში ერთხელაც კი არ მოუგია. **ექტორ რაულს კუპერს** მდგომარეობის გამოსასწორებლად მცირე დრო აქვს.

აქვე გეტყვით იმ ხუთი ფეხბურთელის ვინაობას, რომლებიც შუსტერს აღარ სჭირდება. მათ თამაშს არც "ბეტისთან" და არც მომდევნო მატჩებში არ უნდა ველოდოთ, რა თქმა უნდა, თუ გამოუვალი ვითარება არ შეიქმნება. მაშ ასე, ახალი სამსახურების პოვნა მოუწევთ მცველებს **მიჩელ სალგადოსა** და **მიგელ ტორესს**, თავდამსხმელ **რობერტო სოლდადოს, ჟულიო ბაპტიშტასა** და **ხორდი ბალბოას**. სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე მათ კარისკენ მიუთითებენ.

როგორც იქნა, **ფრანკ რიიკაარდმაც** ამოისუნთქა. უთვალავი პრობლემის შემდეგ, რამაც ბარსელონელთა თამაშს დაღი დაასვა, კატალონიელებმა ზედიზედ ორ თამაშში გაიმარჯვეს. გასულ კვირაში მათ "ლიონს" სამი უპასუხო გოლი გაუტანეს, ამ უქმეებზე კი "სევილიას" 2:1 სძლიეს. სევილიელებთან მატჩის გმირი **ლეო მესი** გახლდათ. მან დუბლი შეასრულა, ნამატჩევს კი თქვა: თუ მომავალშიც ამ განწყობით ვითამაშებთ, ჩვენი დამარცხება ადვილი არ იქნებაო. მესი მწყობრშია. ხვალ ის სარაგოსელთა დამწუხრებასაც შეეცდება. კვლავ საეჭვოა რონალდინიოს ასპარეზობა. საერთოდ, ბრაზილიელის გარშემო სრული გაურკვევლობა სუფევს. სპეკულაციების თანახმად, მისი უთამაშებლობის მიზეზი სულაც არ არის ტრავმა, თუმცა ამ სპეკულაციების შესახებ სხვა სტატიაში ვისაუბრებთ. რიიკაარდს სხვა საკადრო პრობლემები არ აქვს. "ბარსას" კი ტურიდან ტურამდე თავდაჯერებულობა ემატება. სეზონი მძიმედ დაიწყო მისმა ხვალინდელმა მეტოქემ "სარაგოსამაც". არაგონელები უეფას თასზე ასპარეზობენ. მათ წლევანდელ პრიმერა დივიზიონში დიდი ამბიციები ჰქონდათ, მაგრამ პირველი გამარჯვება მხოლოდ გასულ კვირას იზეიმეს. **ვიქტორ ფერნანდესის** შეგირდებმა "ოსასუნას" სძლიეს. ხვალ მათ უმძიმესი გამოცდა აქვთ.

ამბიციები არც "ატლეტიკოს" აკლდა. "როხიბლანკომ" ტრანსფერებში, "რეალის" შემდეგ, ყველაზე მეტი ფული დახარჯა, მაგრამ სამი თამაშის განმავლობაში მოგებას ვერ ახერხებდა. კვირას **ხავიერ აგირეს** შეგირდებმა ნავსი გატეხეს. მათ სანტანდერის "რასინგს" გადაუარეს. ოთხიდან სამი გოლი ახალწვეულებმა - **რაულ გარსიამ, დიეგო ფორლანმა** და **სიმაო საბროსამ** გაიტანეს. ხვალ "ატლეტიკო" "ბილბაოს" ეწვევა.

უეფას თასის ორგზის მფლობელმა "სევილიამ" მკვეთრად დაამუხრუჭა. პირველი ორი მატჩის მოგების შემდეგ მან ბარსელონასთან ვერაფერი გააწყო, თუმცა იქამდე რამდენიმე დღით ადრე "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგაშიც უიმედოდ შერცხვა. **ხუანდე რამოსის** ბიჭებმა ძალები უნდა მოიკრიბონ და "ესპანიოლთან" მატჩისას დაამტკიცონ, რომ კრიზისში არ არიან.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	4	3	1	0	11-3	10
2. ვალენსია	4	3	0	1	6-6	9
3. ვილიარეალი	4	3	0	1	6-5	9
4. ბარსელონა	4	2	2	0	5-2	8
5. სევილია	3	2	0	1	9-4	6
6. ატლეტიკო	4	1	2	1	7-4	5
7. ვალიორკა	4	1	2	1	5-3	5
8. სარაგოსა	4	1	2	1	5-5	5
9. ვალიადოლიდი	4	1	2	1	5-5	5
10. ბილბაო	4	1	2	1	4-5	5
11. მურსია	4	1	2	1	3-4	5
12. რეკრეატივო	4	1	2	1	5-7	5
13. დეპორტივო	4	1	2	1	3-5	5
14. რასინგი	4	1	2	1	2-5	5
15. ალმერია	4	1	1	2	6-6	4
16. ესპანიოლი	4	1	1	2	4-5	4
17. ოსასუნა	3	0	2	1	1-2	2
18. ბეტისი	4	0	2	2	4-6	2
19. ხეტაფე	4	0	2	2	2-6	2
20. ლევანტე	4	0	1	3	1-6	1

ერიკ აბიდალი

კვირას "ბარსელონამ" "სევილიას" 2:1 მოუგო. იქამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში, კატალონიელებმა უფრო დამაჯერებლად სძლიეს "ლიონს", 3:0. ლიონამდე "ოსასუნასთან" უსახური თამაში იყო, რის შემდეგაც ყველა ბარსელონაში გამეფებულ კრიზისზე ალაპარაკდა. ზედიზედ ორმა გამარჯვებამ მსგავს სპეკულაციებს წერტილი დაუსვა. "სევილიასთან" მატჩამდე "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი მარიანო მედინა ერიკ აბიდალს შეხვდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ აირჩია მან, მაინცა და მაინც, აბიდალი. მოგეხსენებათ, ერიკი წლების განმავლობაში "ლიონის" ღირსებას იცავდა. "ლიონი" კი ორიოდ დღის ნაგვემი იყო. როგორც გაირკვა, აბიდალმა ყოფილ კლუბზე ბევრი საიდუმლო იცოდა და ეს ყველაფერი მთავარ მწვრთნელს გაუმხილა. "ბარსას" ახალწვეულმა კოზირების საჯაროდ გამომზეურება არ ისურვა, მაგრამ კატალონიელთა გულშემატკივრებისთვის მთავარი ის იყო, მან და მისმა თანაგუნდელებმა მოედანზე ივარგეს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი გამარჯვებით დაინყეს.

ინტერვიუ ერიკ აბიდალთან

ბარსელონაში ათი კაციდან ორმაც კი არ იცის, ვინ ვარ

რა როლი ითამაშა ლიონის ყოფილმა ნახევარმცველმა ერთი კვირის წინათ მისი ყოფილი კლუბის დამარცხებაში?

- ერიკ, მოდით, "ოსასუნასთან" მატჩი გავიხსენოთ. იმ თამაშს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მას მერე თითქმის ერთი კვირა გავიდა. ალბათ, ყველაფრის გაანალიზების საშუალება გქონდათ. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მოუგეთ პამპლონელებს?

- ალბათ, ჩვენივე ინერტულობისა და უიღბლობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ სოლიდურ ტერიტორიულ უპირატესობას ვფლობდით, გოლის გატანა ვერ შევძელით. სამწუხაროდ, 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი არც გვქონია. მასპინძლებმა სხვა გუნდების მსგავსად დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს. საკუთარი კარის უსაფრთხოებას ისინი პრაქტიკულად, მთელი გუნდის რესურსს ახმარდნენ. ანუ, "ოსასუნა" 11 კაცით იცავდა კარს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენმა მეტოქეებმა მწვრთნელის მითითება პირნათლად შეასრულეს. ისინი ძალიან ორგანიზებულად თამაშობდნენ. შეცდომა თითქმის არ დაუშვიათ. მერწმუნეთ, უკიდურესად ძნელია გოლის გატანა, როცა მოწინააღმდეგე ძირითადად შენი შეტევების ჩაშლითაა დაკავებული და საკუთარ საჯარიმოში ჩაჯდომა არ ეთაკილება.

- გეთანხმებით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ "ბარსელონას" დაღლილობა ეტყობოდა. "ლიონთან" მატჩის წინ ამის დანახვა ცუდად გვენიშნა. განა, ეს უცნაური არ არის?! სეზონი ხომ ახლახანს დაიწყო...

- გავიწყდებათ, რომ იქამდე სანაკრებო შეხვედრები იყო. ყველაფერი იმ თამაშების ბრალია. თითქმის მთელი გუნდი აიბარგა და სხვადასხვა მიმართულებით წავიდა. მაგალითად, მე და ტიერი ანრიმ იტალია და საფრანგეთი მოვიარეთ, თუმცა რონალდინიოსა და მესისთან შედარებით, ჩვენი მოგზაურობა სახსენებელიც არ არის. წარმოიდგინეთ, ერთი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, მეორე კი ავსტრალიაში. შეუძლებელია, არ დაღლილიყვნენ. ლეო ტრავმირებული დაგვიბრუნდა. ესეც სერიოზული პრობლემა იყო.

- ნაკრებში "რეალმაც" მიავლინა ფეხბურთელები, მაგრამ მაინც გაიმარჯვა...

- დამეთანხმეთ, რომ დაღლა მათაც ეტყობოდათ. ყოველ შემთხვევაში, თავიანთი საუკეთესო მატჩი ვერ ჩაატარეს.

- საინტერესოა, როგორი იყო რიიკაარდის რეაქცია იმ უსახური თამაშის შემდეგ?

- არაფერი უთქვამს. პირდაპირ თქვენთან წამოვიდა. უთხრეს, რომ საპრესკონფერენციო დარბაზში ათობით ჟურნალისტი ელოდა.

- "რეალი" უკვე ოთხი ქულით გისწრებთ (ბოლო ტურის შემდეგ "ბარსელონამ" სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა)...

- დიახ, მაგრამ ჯერ არაფერი დაგვიკარგავს. სეზონი ხანგრძლივია. დარწმუნებული ვარ, ქულებს "რეალიც" დაკარგავს. ასე რომ, სიტუაციას აუცილებლად გამოვასწორებთ.

- კეთილი, ახლა ჩემპიონთა ლიგაზეც ვისაუბროთ. "ლიონთან" მატჩს ამაღლებული განწყობით შეხვდით, პამპლონურმა ნარუმატებლობამ საბრძოლო ჟინი სულაც არ დაგიკარგათ...

- გეთანხმებით. პროფესიონალებს მსგავსი პრობლემები არ უნდა შეექმნათ. რა ხანია, ბავშვები აღარ ვართ. მგონი, ყველამ იცის, რომ ყოველი ახალი დაპირისპირება სრულიად ახალი ისტორიაა.

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ლიონს" თქვენზე კარგად არავინ იცნობდა. ყოფილი გუნდისგან როგორ თამაშს ელოდით?

- პირველ ყოვლისა, მსურს მოგახსენოთ, რომ წლევანდელი და შარშანდელი "ლიონი" მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ შორის, მეც (იცინის). ჩემი აზრით, შარშანდელი შემადგენლობა უფრო კარგად იყო შეთამაშებული და შესაბამისად, მეტი ზიანის მოყენება შეეძლო... მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წლევანდელი "ლიონი" იოლად დასამარცხებელი გახლავთ. ჩემი ყოფილი გუნდი შეეცადა, უწინდებურად აგრესიულად ეთამაშა და უშიშრად შემოეტია. მაგრამ "ბარსელონამ" მთელი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ითამაშა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემებს ვერ გავექცეოდით.

- ნუთუ, ასე იოლია იმ გუნდის დავიწყება, რომლის ღირსებასაც დიდი ხნის განმავლობაში იცავდით და ახლა კი მის წინააღმდეგ ითამაშეთ?

- ფეხბურთელმა უნდა შეძლოს, სენტიმენტალიზმს თავი დააღწიოს. "ლიონი", რა თქმა უნდა, დღესაც ძალიან მიყვარს, მაგრამ, განა, ეს რომელიმე კატალონიელს აინტერესებს? მე "ბარსას" საკუთრება ვარ. შესაბამისად, ვალდებული გახლავართ, მის ინტერესებს მოვემსახურო. კიდევ გაგიმეორებთ, "ლიონი" მიყვარს, მაგრამ რომ შემძლებოდა, მის კარში გოლს უდიდესი სიამოვნებით გავიტანდი.

- ვიცით, რომ "ლიონის" პრეზიდენტ ჟან მიშელ ოლასთან ძალიან ცუდი ურთიერთობა გქონდათ. მოსიე ოლამ "ბარსელონაში" ძლივს გამოგიშვათ. ხომ არ ფიქრობთ, რომ "ლიონთან" დაპირისპირება ვენდეტის საუკეთესო საშუალება იყო?

- არა, შურისძიებაზე არცკი მიფიქრია. ეს ძალიან ბანალური იქნებოდა. დიახ, ოლას არ უნდოდა, მისი გუნდი დამეტოვებინა და ყოველმხრივ მიშლიდა ხელს. კაცმა რომ თქვას არ არის გასაკვირი

- თამაშის წინ რა საიდუმლო გაუმხილეთ მწვრთნელს?

- არ დაგიმალავთ, ყოფილი გუნდის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ვფლობ. მართლაც, ძალიან ბევრი რამ ვიცი, მაგრამ საჯაროდ მათი განხილვა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. ერთს მაინც გეტყვით, რიიკაარდს ვუთხარი, რომ "ლიონის" დაცვასა და შუახაზს ტექნიკურ ფორვარდებთან ბრძოლა უჭირთ. თუ ჩვენი ბიჭები იაქტიურებდნენ, სივრცეს აუცილებლად მონახავდნენ. მთავარია, "ბარსელონამ" თუნდაც მცირე სივრცე იპოვოს და ნებისმიერ მეტოქეს გაუსწორდება. "ლიონთან" მატჩისას ზუსტად ასე მოხდა.

სიმართლე გითხრათ, უმცირეს დეტალებს თუ არ ჩავთვლით, რიიკაარდმა "ლიონზე" უჩემოდაც ყველაფერი შესანიშნავად იცოდა. თანაც მარტო მწვრთნელის ინფორმირება საკმარისი არ არის. თანაგუნდელებსაც დაველაპარაკე და სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტები შევასწავლე. კერძოდ, როგორ შეეჩერებინათ ესა თუ ის ფეხბურთელი. ცხადია, თეორიულ კურსს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნდა, მაგრამ იმფორმაციის ქონა ნებისმიერ შემთხვევაში სასარგებლო იყო.

- როგორ ფიქრობთ, კარგია, რომ "ლიონს" ტურნირის ამ სტადიაზე გადაეყარეთ?

- მერჩივნა, "ლიონის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ან ნახევარფინალში გვეთამაშა და მოგვეგო, მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გვსურს ხოლმე.

- წინა თემას დავუბრუნდები. ჟან მიშელ ოლასთან "ლიონიდან" წამოსვლის შემდეგ შეხება არ გქონიათ?

- ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ მტრები ვართ. სულაც არა. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა მისი ქმედებების გამო ძალიან გაგვიფუჭდა, მტრობაზე საუბარი მეტისმეტია. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ SMS-ი გამომიგზავნა. მერჩივნა, ეს ყველაფერი პირისპირ შეხვედრისას ეთქვა. ჟან მიშელ ოლა სკანდალური პერსონაა. მას უყვარს ადამიანთა პროვოცირება და გაცოფება. ვალდებულები ვართ, "ლიონის" შეფის მიერ დაგებულ მახეს თავი ავარიდოთ...

- არ გვეტყვით, რა მოგწერათ ოლამ?

- არა. თქმა რომ მდომოდა, წეღან გეტყოდით (იცინის).

- ადაპტაციასთან დაკავშირებული სირთულეები საბოლოოდ დაძლიეთ?

- ჯერ მხოლოდ ერთი ეტაპი გავიარე. მგონი, შუაგზამდეც არ მივსულვარ. ქუჩაში ხალხი ვერცკი მცნობს. ათი კაციდან ორმაც არ იცის, ვინ ვარ (იცინის). იმედია, იმდენად კარგად ვითამაშებ, რომ ერიკ აბიდალის შესახებ უკლებლივ ყველა კატალონიური ოჯახში ეცოდინებათ.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მასიმო მორატისთან

მე კაპელო მინდოდა...

მორატის უკვირს, როცა ფეხბურთელები ნაკრებში თამაშზე უარს ამბობენ. დღევანდელ ინტერს ფაკეტის ჯანსაღი აზრი, ღიმილი და კრისტალურობა აკლიაო...

იტალიელი ჟურნალისტები აღიარებენ, რომ "ინტერის" პრეზიდენტთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა. მორატი გაწონასწორებული, გულახდილი კაცია, თავისუფლად საუბრობს საკუთარ შეცდომებზეც... ამიტომ, ნაკლებად სწყინთ ხოლმე იმათ, რომელთაც ის რაღაცას ურჩევს ან თუნდაც შეცდომებზე მიუთითებს. მორატის ეს ინტერვიუ ჟურნალ "ფამილია კრისტიანაში" (ქრისტიანული ოჯახი) გამოქვეყნდა. მსხვილმა ნავთობმაგნატმა და ფეხბურთის თავგადაკლულმა ქომაგმა კარტები გახსნა და სხვა თემების გარდა, ისაუბრა "ინტერის" სამწვრთნელო საკითხებზე, ახალ ლეგიონერებზე და კლუბის ყველა დროის სიმბოლური ნაკრებიც დაასახელა...

- მორატი, თუ გაქვთ შემუშავებული წარმატებული კლუბის თქვენეული მოდელი?

- იცით, იყო დრო, როცა ჩვენი გუნდი უკანა პლანზე იდგა, როგორც წმინდა საფეხბურთო, ისე პოლიტიკური ასპექტით. ერთადერთი გამოსავალი იყო ისეთი სიძლიერის გუნდის ჩამოყალიბება, რომელსაც ვერავინ გააჩერებდა, რომლისთვისაც მიუღწეველი მიზანი არ იარსებებდა. 60-იან წლებში რაღაც ამის მსგავსი შექმნა მამაჩემმა, რომელსაც გვერდით ლეგენდარული ელენიო ერერა ედგა.

- რაში მდგომარეობს ის სირთულე, რომელიც კლუბის პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის ურთიერთობებში იჩენს ხოლმე თავს?

- მწვრთნელი, ეს არის ადამიანი, რომელიც ხორცს ასხამს პრეზიდენტის იდეებს და ამავე დროს, ცდილობს, შექმნას ისეთი სიძლიერის გუნდი, რომელიც დიდი ფულადი დანახარჯების ადეკვატური იქნება. თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელის როლი გაციებით მასშტაბურია. ის აგებს პასუხს როგორც გამარჯვებებზე, ისე წარუმატებლობებზე. სხვადასხვა დროს ბევრი მწვრთნელი დავითხოვე და შემიძლია ვთქვა, რომ უკვე ამ საქმის ექსპერტიც გახლავართ (იცინის). მაგრამ ხშირადაც შევმცდარვარ, რადგან ორ კვირაში ახალი მწვრთნელი იმავეს გეუბნება, რასაც მისი წინამორბედი. სწორედ ამის შემდეგ ხვდები, რომ შეცდი.

- ამბობენ, რომ თავის დროზე ფაბიო კაპელოს მინვევა გინდოდათ...

- დიახ, ეს იყო წინა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. კაპელო არის მწვრთნელი, რომელსაც ყოველთვის სტაბილური შედეგები აქვს. ჩვენ კი, მოგეხსენებათ, ბოლო წლებში ვერაფერს ვიგებდით... მაგრამ მოხდა ისე, რომ რობერტო მანჩინი მაინც დავტოვე საჭესთან და როგორც ნახეთ, მან გაამართლა იმედები.

- თქვენი სიტყვები, რომ "ინტერი" ვალდებულია, მოიგოს ჩემპიონთა ლიგა, რამდენად ახლოსაა რეალობასთან?

- ისეთი გუნდი, როგორიც "ინტერია", არ შეიძლება, პირველ რიგში, მიზნად არ ისახავდეს სკუდეტოს მოგებას. მაგრამ ჩემპიონთა ლიგა სხვა ტურნირია. იქ ყველაფერი ერთი, ან მაქსიმუმ ორი თამაშის შედეგზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ლიგაში გამარჯვების აუცილებლობას, ეს, ცოტა არ იყოს, მაღალფარდოვანი სიტყვებია. მსგავს ამოცანას ვერც ერთი გუნდი ვერ დაისახავს მიზნად.

- ახლა თქვენ გჭირდებათ კიდევ ერთი სკუდეტო, რათა მერე არავინ თქვას, რომ ბოლო გამარჯვება არასრულფასოვანი იყო. ასეა?

- არა, არ არის ასე. ეს იმ ხალხის სიტყვებია, რომელთაც სერიოზული გუნდები არ ჰყავთ. მიმაჩნია, რომ "ინტერი" ბოლო ჩემპიონატს, ნებისმიერ შემთხვევაში მოიგებდა თუნდაც ნაკლები ქულებით.

- გულახდილად თქვით: საფეხბურთო გუნდი ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაოა თუ ძვირადღირებული სათამაშო?

- პრობლემაც ისაა, რომ სათამაშო არ არის, თუმც კი მეტისმეტად ძვირადღირებული ნივთია.

- მაშ რა გაიძულებთ, ამდენი ფულის ხარჯვას? ადრე თქვით, რომ კლუბისა და ოჯახისადმი დიდი სიყვარულის გამო აკეთებთ ამას. დღესაც ასე ფიქრობთ?

- შეიძლება, ჩემი სიტყვები არც ისე ლამაზად და დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ მერწმუნეთ, მართლაც ასეა. ვერ ვპოულობ რაციონალურ ახსნას, რომ ჩემი საქციელი რამენაირად გავამართლო. ამ ვნებას ლოგიკური ფუნდამენტი არ გააჩნია.

- როგორც ამბობენ, მორატი ყოველთვის სიმპათიით უყურებს ნიჭიერ მოთამაშეებს, თუმც იშვიათად აქცევს ყურადღებას პიროვნულ მომენტებს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- ერთი შეხედვით, პიროვნების ამოცნობა ძნელია, მისი პიროვნული თვისებები მოგვიანებით ვლინდება ხოლმე. რაც შეეხებათ ტალანტებს, დიახ, ისინი ყოველთვის მიზიდავდნენ. როცა რომელიმე მხატვრის ნახატს ყიდულობთ, უპირატესობას ანიჭებთ სწორედ მხატვრის სახელს, რომელიც თქვენს მეხსიერებას შემორჩა. რომელიღაც ტალანტი ერთ რომელიმე მატჩში დაუვიწყარ ფინტს გააკეთებს და პირდაღებულს დაგტოვებს, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი სიამოვნებაა. მერე, თანდათანობით აცნობიერებ, რომ გუნდი დაბალანსებულიც უნდა იყოს.

- ავიღოთ, მაგალითად, ადრიანო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოთმინებას არასოდეს კარგავთ...

- იცით, ადვილია, გამოხვიდე ტელევიზიით და ფეხბურთელი საჯაროდ მიწასთან გაასწორო. ასეთ დროს არ უნდა დაგავიწყდეს, რომ კლუბი პასუხს აგებს იმ ადამიანებზე, ვინც მის მაისურას ატარებს. ადრიანოს უამრავი ღირსება აქვს, ისევე, როგორც პიროვნული პრობლემები... მაგრამ მან უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე, რათა ჭეშმარიტ გზას დაადგეს. ამაში მას კლუბიც უნდა დაეხმაროს. რა თქმა უნდა, მეც, როგორც ერთმა ჩვეულებრივმა ადამიანმა, შეიძლება დავკარგო მოთმინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სირთულეების დაძლევაზე ხელი უნდა ავიღოთ.

- რითი შეგიძლიათ ახსნათ "ინტერში" ლეგიონერთა დიდი რაოდენობა? ეს, უბრალოდ, პოლიტიკაა თუ დამთხვევა?

- პირველ რიგში, ამის უკან ეკონომიკური მიზეზებია. არის ერთი დიდი ბაზარი, რომელიც შესაძლებლობას გაძლევს, სასარგებლო არჩევანი გააკეთო. "ინტერში" ლეგიონერთა რიცხვის ზრდა დრომ მოიტანა. როცა ტრანსფერზე მუშაობ, ბევრი რამ უნდა გაითვალისწინო. სწორედაც რომ ეკონომიკური ასპექტების გამო, ჩვენთვის უპრიანი იყო ლეგიონერების მიწვევა. თუმცა ისიც უნდა იცოდეთ, რომ "ინტერი" ძალიან ბევრს მუშაობს იტალიელ ახალგაზრდებზე, მათში დიდ ინვესტიციებს ვდებთ.

- და მოუძებნით მათ ადგილს შემადგენლობაში?

- რა თქმა უნდა, თუკი ისინი დააკმაყოფილებენ კარგი ფეხბურთელისთვის დამახასიათებელ ყველა ატრიბუტს.

- ბევრი კლუბი ითხოვს კომპენსაციას იმისთვის, რომ მათ მოთამაშეებს ეროვნულ ნაკრებებში იწვევენ. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?

- დიდწილად, ფეხბურთი პოპულარაულია სწორედ სანაკრებო მატჩების გამო. იცით, მიკვირს ხოლმე, როცა ესა თუ ის ფეხბურთელი უარს ამბობს ნაკრებში თამაშზე. აქ ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის პრობლემა. ამასთან, ნორმალური იქნება ისიც, თუ ფეხბურთის ფედერაცია გაითვალისწინებს კომპენსაციას კლუბისთვის იმ კონკრეტულ შემთხვევაში, თუკი ფეხბურთელი სანაკრებო მატჩის დროს ტრავმას მიიღებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მარკო მატერაცი. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელებისთვის ნაკრების მაისურით გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანია და კლუბები ვერ აიძულებენ მათ, იგნორირება გაუკეთონ საერთაშორისო მატჩებს.

- რას ფიქრობთ იმ უთანხმოებაზე, რომელიც დიდ და პატარა კლუბებს შორის წარმოიშვა ტელეკონტრაქტებთან დაკავშირებით?

- ძნელია რაიმე გადაწყვეტილების მიღება იმ სიტუაციაში, როცა მხარეებს დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციები აქვთ. ამიტომ, ვფიქრობ, დათმობა ორმხრივი უნდა იყოს. მივცეთ გრანდებს სამართლიანად გამომუშავებული ფული, მაგრამ ამავე დროს, ავიღოთ პასუხისმგებლობა პატარა კლუბებზე და მათ, ელემენტარულად, სიცოცხლის უფლება შევუნარჩუნოთ. უნდა გავითვალისწინოთ ტელევიზიის მოთხოვნებიც. მე მგონი, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ტელევიზიები სარფიან კონტრაქტებს დებენ იმ კლუბებთან, რომლებიც ყველაზე დიდი აუდიტორიის მიზიდვას უზრუნველყოფენ.

- შეგიძლიათ, შეადგინოთ "ინტერის" ყველა დროის სიმბოლური ნაკრები?

- იბრაჰიმოვიჩი, მერე რონალდო, ოღონდ მისი პირველი ინტერული სეზონის გათვალისწინებით, შემდეგ სუარესი, კორსო... ძანეტი აუცილებლად ითამაშებდა დიდი "ინტერის" დაცვაში. დამსახურებების გამო, ვერ დავივიწყებ ანჯელილოს, სკოგლუნდსა და ლორენცისაც. კარებში სარტის დავაყენებდით... ეჰ, რამდენ ფეხბურთელს გავანაწყენებდი ჩემი არჩევანით... სჯობს, თავი შევიკავო...

- ალბათ, კაპიტნის არჩევა არ გაგიჭირდებათ. რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ჯაჩინტო ფაკეტი. ყველაზე მეტად, მისი რომელი თვისება აკლია ახლა "ინტერის" დიდ ოჯახს?

- აბსოლუტურად ყველა: ჯანსაღი აზრი, ღიმილი... დაუოკებელი სურვილი იმისი, რომ ფეხბურთი ყოფილიყო მაქსიმალურად სუფთა... ის იყო მეგობარი, რომელსაც ნებისმიერ საიდუმლოს გაანდობდი. მის კრისტალურობას ახლა მისი შვილები ატარებენ და უფრთხილდებიან.

მასიმო მორატი

ლი კა შინგი

მოსალოდნელი გარიგება

ინჭერი იყიდება?

აზიელი ბიზნესმენი მორატისთან გარიგებას კატეგორიულად უარყოფს...

იტალიური სააგენტოების ცნობით, მილანის "ინტერი", შეიძლება, გაიყიდოს. ამ ინფორმაციამ აპენინებზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. სპეკულაციების თანახმად, გარიგებით ჩინელი ინვესტორები დაინტერესდნენ. კონსორციუმს, რომელიც **მასიმო მორატის** მოლაპარაკებების დაწყებას შესთავაზებს, ჰონკონგელი **ლი კა შინგი** უდგას სათავეში. ჟურნალ "ფორბსის" უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში 78 წლის კა შინგს მეცხრე ადგილი უკავია. ის აზიის ყველაზე მდიდარი ბიზნესმენია. მისი ქონება 23 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მორატის 270 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. ამას გარდა, შემადგენლობის გასაძლიერებლად 100 მილიონი გირვანქა დაიხარჯება. შედარებისათვის, "მანჩესტერ იუნაიტედი" თითქმის 1 მილიარდი გირვანქა ღირს, ხოლო "არსენალი" 750 მილიონ გირვანქად იყიდება. ცნობაში ნათქვამია ისიც, რომ თუ "ინტერს" ახალი მეპატრონე გამოჩნდება, ის მთელ ადმინისტრაციას შეცვლის. "ნერაძურის" ამასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

სამაგიეროდ, გუშინ გვიან ღამით ოფიციალური განცხადება გაავრცელა კა შინგის წარმომადგენელმა. მან იტალიურ პრესაში დაბეჭდილი ცნობა კატეგორიულად უარყო. ბატონი კა შინგი იტალიის საქმიან წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მას აპენინებზე რამდენიმე მსხვილი ბიზნესი აქვს, მათ შორისაა "ტრე იტალია", მესამე თაობის მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი. საინტერესოა, რომ ამ ბიზნესმენის პარტნიორმა **კარსონ იანგმა** ივლისში პრემიერლიგის კლუბ "ბირმინგემ სიტის" აქციათა 29.9 პროცენტი სულ რაღაც 15 მილიონ ევროდ შეიძინა.

ოტმარ ჰიტცფელდი

ბაიერნი

ჰიტცფელდი: მარტში დავილაპარაკოთ

როგორც იცით, "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის, **ოტმარ ჰიტცფელდის** *კონტრაქტს ვადა ხეზონის ბოლოს ეწურება. ჯერჯერობით უცნობია, გააგრძელებს თუ არა "გენერალი" მიუნხენურ გრანდში მუშაობას. "ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰიტცფელდმა განაცხადა, რომ გუნდის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს გაზაფხულამდე არ დაიწყებს. "ახალ კონტრაქტზე მხოლოდ მარტში ან აპრილში ვისაუბრებ, მანამდე ეს გამორიცხულია. თუ საქმეები კარგად წაგვივა, არ გამოვრიცხავ, რომ "ბაიერნში" დავრჩე. ძალიან მიხარია, რომ რეკორდმაისტერთან მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. თუ საქმე ცუდად იქნება, წასვლა თავისუფლად შემეძლება,"* - ამბობს ოტმარი ხსენებულ ინტერვიუში.

სამაგიეროდ, "გენერალი" გერმანიის ნაკრების გაწვრთნას კატეგორიულად გამორიცხავს: *"ბუნდესგუნდი ჩემთვის უკვე წარსულია. იოახიმ ლიოვი თავის საქმეს ჩინებულად ართმევს თავს და ვისურვებდი, რომ იოგი პოსტზე კიდევ 10 წლით დარჩეს."* შეგახსენებთ, რომ ჰიტცფელდმა 2004 წელს გერმანიის ნაკრების გაწვრთნაზე უარი თქვა, რის შემდეგაც გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბუნდესგუნდი **იურგენ კლინსმანს** ჩააბარა.

ფეე: შტუტგარტში კიდევ ერთი წლით

"ვერდერთან" განცდილი სამარცხვინო მარცხის შემდეგ, "შტუტგარტის" ხელმძღვანელებმა მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეეს** კონტრაქტი გაუხანგრძლივეს. გერმანიის მოქმედი ჩემპიონის დამრიგებელს ხელშეკრულების ვადა მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ეწურებოდა. ახალ კონტრაქტს კი, ვადა 2009 წლის ზაფხულამდე აქვს. *"მჯერა ამ გუნდის პორტენციალის და დარწმუნებული ვარ, რომ "შტუტგარტი" სულ მალე ძველებურად ათამაშდება,"* - განაცხადა ფეემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაიან გიგზთან

მე, სქოულზი და ნევილი მუდმივად ვერ ვითამაშებთ

ლევერკუზენი, დორტმუნდი, პორტუ: ამ მატჩებმა ეშმაკები ნამდვილ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო...

რაიან გიგზმა ინტერვიუ მისცა კლუბის ოფიციალურ საიტს, სადაც ილაპარაკა "მანჩესტერის" წარსულზე, შანსებზე წლევანდელ სეზონში, გუნდის კრეატიულ შესაძლებლობებზე, ახალგაზრდა მოთამაშეებზე და იმ როლზე, რასაც ის მოედანზე ასრულებს. ლეგენდარული "წითელი ეშმაკის" ინტერვიუ საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის.

- წლეულს თქვენ გაქვთ შანსი, მეათედ მოიპოვოთ ინგლისის ჩემპიონის ტიტული. რა გრძნობები გიპყრობთ, როდესაც ამაზე ფიქრობთ?

- მეათე ტიტული ძალიან კარგი იქნება, მაგრამ მეთერთმეტე უკეთესი უნდა იყოს. სიმბოლურია, მე ხომ სწორედ ამ ნომრით ვთამაშობ. გამოვტყდები, რომ ტიტულების მოპოვება ყოველთვის იყო ჩემი მიზანი.

- რისი წყალობით მოახერხა გუნდმა გასულ სეზონში ტიტულის მოპოვება?

- სეზონის დასაწყისში ბევრს ეგონა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ დაუღვინებელი გუნდი გვყავდა. ჰესიმისტები ფიქრობდნენ, რომ გამოწვევას სათანადოდ ვერ ვუპასუხებდით, განსაკუთრებით "ჩელსის" მხრიდან, რომელიც ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა. კარგი სტარტი გამოგვივიდა და შთამბეჭდავად ვთამაშობდით ტრავმირებულთა სიმრავლის მიუხედავად - ჩვენ შევძელით და საერთო გუნდური სისწრაფე შევინარჩუნეთ. ბიჭები თავდადებით თამაშობდნენ და ყველამ დაიდო წილი ამ ტრიუმფში.

- ტიტულის დაბრუნება უფრო ძნელია თუ მისი დაცვა?

- ცოტა ძნელია დაცვა, იმიტომ, რომ ჩემპიონთან მოგება ყველას უნდა. შესაბამისად, ზეწოლაც იზრდება. ისეთი გუნდები, როგორებიც არიან "ჩელსი", "ლივერპული", "არსენალი", მაგრად მოშიებულები არიან ჩემპიონის ტიტულს. ერთიცაა, თუკი ჩემპიონ გუნდს ტიტულის შენარჩუნება სურს, მას ყოველთვის ექნება ამის შანსი.

- ვინ არიან თქვენი მთავარი კონკურენტები?

- იგივე სახეები. "ჩელსი", "ლივერპული" და "არსენალი" მაღალი დონის გუნდები არიან. ჩვენი ჩათვლით, ყველა გაძლიერდა. "ლივერპულმა" და "ტოტენჰემმა" ბევრი ახალი ფეხბურთელი იყიდეს, "მეთოფეებმა" ანრი დაკარგეს, მაგრამ მას კარგი შეცვლა მოუძებნეს და სილვას სახით. ხორვატი ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა იმ თამაშებში, რომლებიც მე ვიხილე. ამას დავუმატოთ ვან პერსისა და ადებაიორის დუეტი - ალბათ, პროგრესს ორივე გააგრძელებს. ვენგერი ყოველთვის ანრის გოლების იმედად იყო, მაგრამ ტოპფეხბურთელები მას ახლაც ჰყავს. რაც შეეხება "ჩელსის", მინდა მალუდას აღნიშვნა, რომელმაც სუპერთასზე თავი მშვენივრად წარმოაჩინა.

- ნანი და ანდერსონი კლუბმა თქვენს შემცვლელებად შეიძინა. გრძნობთ თუ არა გაზრდილ ზეწოლას?

- არა, მე ამაზე არ ვფიქრობ. ბოლო 2-3 წელიწადია, კლუბი მომავლის ანგარიშში მუდმივად ყიდულობდა ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ეს კი გუნდის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია. ადგილზე დგომას რა ხეირი მოაქვს? მე, სქოულზი და ნევილი მუდმივად ვერ ვითამაშებთ. ვალდებულნი ვართ, შემადგენლობა გავაახალგაზრდაოთ და ამას ვაკეთებთ კიდეც. ამ წუთას გუნდში პერსპექტიული და მრავალმგამოვლილი ფეხბურთელების მშვენიერი ნაზავი გვყავს. ამ პატარა ბიჭებმა რამდენიმე წელიწადში გუნდის ისტორია უნდა დაწერონ. ერთ ადგილას "მანჩესტერი" არ ჩერდება და არც ოდესმე გაჩერდება.

- მწვრთნელმა აგიხსნათ თუ არა, როგორ აპირებს წლეულს თქვენს გამოყენებას?

- არა. ბოლო წლებში მე მითამაშია მარცხენა და ცენტრალურ ნახევარმცველად, ასევე შეტევაშიც. სხვადასხვა პოზიციაზე თამაშის დიდი გამოცდილება მაქვს, ასე რომ, სად ვითამაშებ, ეს ნაკლებად მაღელვებს. ჩვენ ძლიერები ვართ დაცვაში და შეტევის ხაზში კიდევ უფრო მრავალფეროვანი ვართ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ წინა ხაზში მწვავედ თამაში აუცილებელია. სერ ალექსს არჩევანი დიდი აქვს. დარწმუნებული ვარ, ის ძალიან გამოაცოცხლებს და გაახალისებს ჩვენს თამაშს.

- თქვენი როლი წლებთან ერთად სულ უფრო განსხვავებული ხდება...

- ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მე თამაშის მანერა უნდა შემეცვალა, იმიტომ, რომ ახლა ისეთი სწრაფი აღარ ვარ, როგორც ეს წლების უკან იყო. მხოლოდ სისწრაფის იმედად ვეღარ ვიქნები. სამაგიეროდ, ახლა უფრო მეტად ვიყენებ გონებას. იმედია, ძველი, დადებითი თვისებების კომპენსაციას გამოცდილებითა და თამაშის უკეთ წაკითხვით მოვახერხებ.

- ამის წყალობით, თქვენი თამაში ახლა უფრო არაპროგნოზირებადი გახდა, ისევე როგორც "მანჩესტერისა" ზოგადად.

- ჰო, ასეა. ჩვენ როლების ცვლა ახლა უფრო მეტად შეგვიძლია. რუნი მარცხნიდან თამაშობს, რონალდო მარჯვნიდან, საა წინაა წაწეული და მე მის უკან ვირჯები. პრინციპში, ეს მხოლოდ სტატიკური სქემაა. უეინს შეუძლია წინ წაიწიოს, მე უფრო ფართო დიაპაზონი მოვიცვა და კრისტიანომ ცენტრში მე შემცვალოს. ერთი სიტყვით, ჩვენი თამაში ძალიან მრავალფეროვანი გახდა. როლების ცვალებადობამ შარშან დიდი სამსახური გაგვიწია.

- პოზიციების ასეთი ხშირი ცვლა შეიძლება ვარჯიშზეც დაიხვეწოს?

- ჩვენ ვლაპარაკობთ მრავალმხრივ მოთამაშეებზე, ასე რომ, სერ ალექსი ჩვენს შემოქმედებით პოტენციალს კარგად იყენებს. ისე, რა თქმა უნდა, ვარჯიშზე ყველაფერი იხვეწება. ხანდახან აუცილებელია შენი პოზიციიდან ფეხი არ მოიცვალო, შეიძლება მოგეცეს შანსი და მერე შეგიძლია გაიქცე სადაც გინდა.

- ერთხელ როგორღაც გამოტყდით, რომ წაგებები დიდი ხანი გახსოვთ. მაინც რა მოხდა "სან სიროზე," "მილანთან"?

- ეს იყო დიდი იმედის გაცრუება. მაგრამ არა ისეთი, როგორებიც შეგვმთხვევია ისეთ თამაშებში, რომლებიც ნამდვილად უნდა მოგვეგო. ლევერკუზენი, დორტმუნდი, პორტუ... ამ მატჩებმა ჩვენ მართლა სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. მილანში ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ჩვენ თამაშს თამაშზე ვატარებდით და ამ მატჩამდე გამოფიტულები მივედით. დაცვაში სათამაშოდ გამოვიდნენ ფეხბურთელები, რომლებსაც ტრავმები ახალი მოშუშებული ან ჯერ კიდევ ბოლომდე მოუშუშებელი ჰქონდათ. შესაბამისად, ისინი ფორმაში არ იყვნენ. ჩვენ ამ მატჩისთვის მზად არ აღმოვჩნდით, ეს მაშინ, როცა "მილანს" საშინაო ტიტულის დარდი არ აწუხებდა და მთლად ლიგაზე იყო კონცენტრირებული. დალახვროს ეშმაკმა, რაც იყო, იყო. იმ საღამოს იტალიელებმა დამსახურებულად მოგვიგეს, მაგრამ მათ წინა თამაშებში ლამის მთელ გუნდს რომ არ დაესვენა, მაშინ სხვა თამაში წავიდოდა და სულ სხვა ისტორია იქნებოდა.

- ოლდ ტრეფორდზე თქვენ დაამტკიცეთ, რომ შეგიძლიათ "მილანის" დამარცხება...

- ეს შესანიშნავი თამაში იყო. მთლიანობაში ის ჩემპიონთალიგური ციკლი ბრწყინვალე იყო, უკანასკნელი თამაშის გამოკლებით.

- რამდენად კარგად ხართ მზად წლევანდელი ბატალიებისთვის?

- საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. იმედს ვიტოვებთ, რომ ევროპაში სათამაშოდ ახლა უკეთ ვართ მზად. ფერგიმ ახალი ფეხბურთელები იყიდა, ახლა ბევრად უკეთ ვართ დაკომპლექტებული და ტრავმები ნაკლებად შეგვიშლის ხელს.

- სერ ალექსმა ჩემპიონთა ლიგა პრიორიტეტად გამოაცხადა. თქვენ და სხვა მოთამაშეებიც ასე ფიქრობთ?

- პირადად მე კონკრეტულ ტიტულზე არ ვფიქრობ. კონცენტრაციას ყოველი თამაშის წინ ვაკეთებ და მუდამ მოგებაზე ვფიქრობ. ერთ ტიტულს მეორეზე მაღლა ვერ დავაყენებ. პრემიერლიგის მოგება ყოველთვის ძალიან ძნელია, ხოლო ჩემპიონთა ლიგა ყოველწლიურად უფრო და უფრო რთულდება. მაგრამ სხვა ტიტულებიც ხომ არსებობს, რისთვისაც აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ?

რაიან გიგზი და კრისტიანო რონალდო



არსენ ვენგერი

არსენალი. ფინანსური წარმატებები

70 მილიონი ვენგერისთვის

მეთოფეები თითოეული საშინაო მატჩიდან 3.1 მილიონ გირვანქას აკეთებენ, რაში სჭირდებათ მათ რუსი ოლიგარქის ინვესტიცია?

"არსენალი" ტრანსფერებისათვის 70 მილიონ გირვანქას გამოყოფს. ეს განცხადება ლონდონელების აღმასრულებელმა დირექტორმა **კიტ ედელმანმა** გააკეთა. თანხა 20 მილიონით აღემატება იმას, რასაც ბრიტანული ტაბლოიდები ვარაუდობდნენ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში "მეთოფეების" შემოსავალი ასტრონომიულ ნიშნულამდე გაიზარდა. მასზე მეტი ფული მხოლოდ მადრიდის "რეალმა" გააკეთა. ლონდონელები ოფიციალურად გამოცხადნენ ევროპის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბად. სიმდიდრე კი, საჭიროა, რომ ტრანსფერებშიც აისახოს, მაგრამ **არსენ ვენგერს** ამ საკითხთან განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. ის საჭიროდ არ თვლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებში ათეულობით მილიონის დახარჯვას. ვენგერი აქცენტს მხოლოდ ახალგაზრდებზე აკეთებს.

მოდით, "არსენალის" ფინანსურ წარმატებებზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ. "ემირატს სთედიუმზე" გადასვლამ "მეთოფეების" ბრუნვა 50 პროცენტით გაზარდა. 2007 წლის 31 მაისისათვის მან 200 მილიონ გირვანქას გადააჭარბა. ამ მაჩვენებლით "არსენალი" მხოლოდ "რეალს" ჩამორჩა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ბრუნვა 167.8, ხოლო "ჩელსისა" 152.8 მილიონი გირვანქა იყო.

ერთი საშინაო მატჩიდან "არსენალის" შემოსავალი 3.1 მილიონი გირვანქაა. ის ზუსტად ორჯერ აღემატება შემოსავალს, რომელიც კლუბს ძველი სტადიონიდან, "ჰაიბერიდან" ჰქონდა. ეს მაჩვენებელი ყველაზე ძლიერი არგუმენტია იმ სკეპტიკოსების გასაჩუმებლად, რომლებიც ახალი სტადიონის აშენების გამო დირექტორებს მიწასთან ასწორებდნენ. ერთი მხრივ, მათი შეშფოთება გასაგები იყო. "არსენალმა" პროექტის გასახორციელებლად დაახლოებით 350 მილიონი გირვანქა ისესხა. მაგრამ პროექტის წარმატებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ამ მასშტაბის ფინანსურ აღმასვლას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა.

აღმასრულებელი დირექტორი ედელმანი კმაყოფილებისაგან ხელებს იფშვნეტს: *"ვფიქრობ, ციფრები ყველაფერზე მეტყველებს. არსენმა ფასდაუდებელი სამუშაო გასწია. მას დირექტორატმაც აუბა მხარი და აი, ჩვენი წარმატების მთელი საიდუმლოც. ზაფხულის ტრანსფერებისას არსენს განსაზღვრული თანხა გამოვუყავით. მან ეს თანხა ბოლომდე არცკი აითვისა. გასული სეზონის მიწურულს ანგარიშზე 70 მილიონი გირვანქა გვქონდა. თუ მწვრთნელს ეს ფული დასჭირდება, მას უპრობლემოდ მოიხმარს."*

"არსენალის" ხელმძღვანელობა შენიშნავს, რომ ფინანსურ სტაბილურობას ძლიერი უცხოელი ინვესტორის გარეშე მიაღწიეს. მინიშნება ნათელია. "მეთოფეებს" არ სურთ, მათ კლუბს რუსი მილიარდერი **ალიშერ უსმანოვი** დაეპატრონოს. "მირორის" ცნობით, უსმანოვმა კლუბში საკუთარი წილი 25 პროცენტამდე გაზარდა. თუ ის "არსენალის" მესამედს შეიძენს, დირექტორატში ვეტოს უფლება მიენიჭება. ლონდონელებს არ სურთ, ეს მოხდეს. ედელმანი მეასედ იმეორებს, რომ კლუბი საკუთარ თავს თვითონვე ინახავს, რომ ის სტაბილურ შემოსავალს იღებს და სხვების ხელის შემყურე არ არის. ედელმანს მიაჩნია, რომ ყოველ წელს მფარველი ინვესტორის ათეულობით მილიონიანი ინვესტიცია სულაც არ არის სტაბილური საფუძველი კლუბის განვითარებისათვის. უახლოეს მომავალში "არსენალი" საკუთარ სატელევიზიო არხს გააკეთებს. აქამდე საკუთარ თავს ამის უფლებას მხოლოდ უმდიდრესი კლუბები აძლევდნენ.

სამწვრთნელო საკითხი

ვინ გადაარჩენს კოტბუსს?

კანდიდატებში ფავორიტი კირსტენია

ბუნდესლიგის მე-6 ტურმა მიმდინარე სეზონში პირველი მწვრთნელი შეიწირა: "ვოლფსბურგთან" განცდილი მარცხის შემდეგ (1:2), რის გამოც "კოტბუსი" ბოლო ადგილზე ჩამოქვეითდა, "ენერგის" ბოსმა **ულრიხ ლეპშმა პეტრიკ ზანდერს** პოსტი დაატოვებინა. მართალია, ეს უკანასკნელი ამბობს, მწვრთნელი მხოლოდ წარუმატებლობების გამო გავაგდეო, მაგრამ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ ლეპშსა და ზანდერს შორის შავმა კატამ ჯერ კიდევ გასული სეზონის ბოლოს გაირბინა. "ბილდი" წერს, რომ ლეპშმა მწვრთნელის საქმეში ცხვირის ჩაყოფა მოისურვა და არცთუ სასიამოვნო პასუხის მიღების შემდეგ ზანდერი აითვალწუნა. ბოსს მწვრთნელისთვის რამდენიმე ფეხბურთელის სასტარტო შემადგენლობაში გამწესება და მეკარე **ტომისლავ პიპლიცას** იგნორირება მოუთხოვია. ესეც არ იყოს, ზაფხულში ლეპშმა ზანდერს გუნდის ლიდერები, **მუნტეანუ, რადუ** და კაპიტანი **მაკენა** გაუყიდა. შედეგიც სახეზეა: მხოლოდ 3 გატანილი გოლი, სულ რაღაც 2 ქულა 6 თამაშში და აუტსაიდერობა.

ხვალ "კოტბუსი" "ბაიერნს" სტუმრობს და წესით გუნდი "ალიანს არენაზე" ზანდერის ასისტენტმა **თომას ჰოსმანგმა** უნდა გაიყვანოს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამბობს, პეტრიკთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, ასე რომ, რაკი ის გაგდეთ, ნურც ჩემი იმედი გექნებათო. თუკი "კოტბუსის" ბოსები ხვალამდე ახალ დამრიგებელს ვერ იპოვიან, მაშინ "ენერგის" რეკორდმაისტერთან მოყვარულთა გუნდის მწვრთნელი **ჰაიკო ვებერი** უთავკაცებს. ლეპშის თქმით, მენეჯერ **შტეფან ჰაიდრიხს** რამდენიმე კანდიდატი ჰყავს შეგულებული. "კოტბუსის" პოტენციურ თავკაცთან სია ასე გამოიყურება: **ვერნერ ლორანტი** (უნტერჰახინგი), **კლაუს აუგენტალერი** (უმუშევარი), **ულფ კირსტენი** (ლევერკუზენი II), **იურგენ კოლერი** და **ვოლფგანგ ვოლფი**. "ბილდის" ცნობით, ფავორიტი კირსტენია...

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

თინათინ ყავლაშვილი

ბათუმის ტურნირი

წვიმამ შეაფერხა

ბათუმის ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს, ასპარეზობის მსვლელობაში კორექტივები ამინდმა შეიტანა. საკვალიფიკაციო ბადიდან ძირითადში მოხვედრა მხოლოდ ოთხმა ჩოგბურთელმა მოახერხა, ოთხი თამაში კი წვიმის გამო გადაიდო.

ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვეს უკრაინელმა **ლესია ცურენკომ**, ბელარუსმა **იმა ბოჰუშმა**, რუსმა **ავგუსტა ციბიშევამ** და **თინათინ ყავლაშვილმა**, რომელმაც აზებაიჯანელი ელინა ჰასანოვა 6:3, 6:3 დაამარცხა.

დღეს ძირითად ტურნირში გასასვლელად იბრძოლებს **სოფიო შაფათავა**, რომელიც **თათია მიქაძეს** ეთამაშება, **ანა ჯიქია** კი **ალექსანდრა მალიარჩიკოვას** (ბლრ) შეხვდება. დანარჩენ ორ წყვილში თამაშობენ: **ვასილისა დავიდოვა** (რუს)-**ანა მოვსისიანი** (სომ), **ანტონია-ქსენია ტოუტი** (რუმ)-**იულია პარასიუკი** (რუს).

ძირითად ბადეში პირველ ნომრრად განთესილია სერბი **ვოისლავა ლუკიჩი**. შემდეგ მოდიან: **2. ანა ივანოვიჩი** (სერ), **3. ანა გერასიმუ** (საბ), **4. არინა როდიონოვა** (რუს), **5. პემრა ოზგენი** (თურ), **6. მიჰაელა ბუზარნესკუ** (რუმ), **7. კორინა დენტონი** (იტა), **8. ნატალია ორლოვა** (რუს).

პერსონალურად მიწვეული სამი ქართველიდან ორნი, **სოფიო ქვაცაბაია** და **ოქსანა კალაშნიკოვა** პირველ წრეში ერთმანეთს ხვდებიან. **ეკატერინე გორგოძე** უკრაინელ **კატერინა ავდიენკოს** ეთამაშება.

წყვილთა შორის ძირითად ბადეში მოსახვედრად ორი ქართული დუეტი იბრძოლებს. **ანა ჯიქია-მარიამ ქურდაძე** და **მაგდა ოქრუაშვილი- თეონა ცერცვაძე**. ძირითად ბადეში ითამაშებენ: **თათია მიქაძე-სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე-ქსენია პერვაკი** (რუს), **მანანა შაფაქიძე**- ავგუსტა ციბიშევა (რუს), **ოქსანა კალაშნიკოვა-სოფიო ქვაცაბაია**.

ტურნირის საპრიზო ფონდია 25 00 დოლარი, საფარი - ჰარდი.

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

კლასიფიკაცია

ხუთი ქართველი კარიერის პიკზე

გუშინ, ATP-ისა და WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. ვაჟთა კლასიფიკაციაში კვლავ ხუთი ქართველი ჩოგბურთელია, თუმცა ათასეულში მხოლოდ ორია: **ლადო ჩიხლაძე** და ტრავმირებული **ირაკლი ლაბაძე**. საქართველოს პირველ ჩოგან ლადო ჩიხლაძეს 94 ქულა აქვს და მსოფლიოს 361-ე ჩოგანია. ეს ერთი საფეხურით უკეთესი შედეგია, ვიდრე ერთი კვირის წინათ და ლადოს კარიერაში საუკეთესო შედეგია. წყვილთა თანრიგში ჩიხლაძე 705-ე პოზიციაზეა. 836-ე ჩოგანია (+1) ირაკლი ლაბაძე, რომელსაც 14 ქულა აქვს. წყვილთა თანრიგში ლაბაძე 471-ე პოზიციაზეა. კარიერის საუკეთესო შედეგი აქვს 19 წლის **ნოდარ ითონიშვილს**, რომელსაც 5 სარეიტინგო ქულა დაუგროვდა, ერთ კვირაში მან 60 საფეხურით წაიწია წინ და კლასიფიკაციაში 1131-ე ადგილზე გადავიდა. თითო ქულა აქვთ **გიორგი ხრიკაძესა** და **გიორგი ჭანტურიას** (1491).

ქალთა რეიტინგში კვლავ 12 ქართველი ჩოგბურთელია. მართალია, **თათია მიქაძემ** კარგად იასპარეზა ბაქოსა და თბილისის ტურნირებში, თუმცა წესის თანახმად, ჩოგბურთელმა, კლასიფიკაციაში რომ მოხვდეს, სულ მცირე სამ ტურნირში უნდა დააგროვოს ქულები. ასე რომ, იმედია, თათია ბათუმში შეძლებს საჭირო ქულების მოპოვებას. ჩვენი პირველი ჩოგნის **მაკა ჩახნაშვილის** ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაში რეიტინგზეც აისახა, მაკა 190 ქულით მსოფლიოს 167-ე ჩოგნობამდე ჩამოქვეითდა, რაც წინა კვირის შედეგს რვა ადგილით ჩამორჩება. **ანა ტატიშვილი** 87 ქულით 278-ე ჩოგანია (+1). **სოფიო შაფათავამ** კარიერის ახალი ნიშნული დაიპყრო, 18 წლის ქართველმა 39 ქულით მსოფლიოს 449-ე ჩოგანია, სოფიომ ერთ კვირაში 19 ადგილით წინ წაინია. სხვები: 564 (-2) **სალომე დევიძე** - 26,5 ქულა, 629 (+14) **მანანა შაფაქიძე** - 20, 685 (+3) **სოფიო მელიქიშვილი** - 16, 708 (+85) **თინათინ ყავლაშვილი** - 15, 752 (+81) **სოფიო ქვაცაბაია** - 13, 761 (-3) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12, 827 (-87) **ეკა გორგოძე** - 10, 1114 (-64) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** და 1238 (-35) **მარიამ ქურდაძე**. მანანა შაფაქიძემ და სოფიო ქვაცაბაიამ კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

ჩიხლაძე გრენობლს დაემშვიდობა

ფრანგულ გრენობლში დაიწყო "ჩელენჯერის სერიის" საერთაშორისო ტურნირი "ოფენ დე ალპსი" ჩოგბურთში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. **ლადო ჩიხლაძე** ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მეხუთე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ლადომ ფრანგი მაქსიმ შედორჟი დაამარცხა - 6:4, 6:4. მეორე წრეში ქართველის მეტოქე კვლავ ფრანგი იყო, **ბერტრან კონცლერი**. პირველი სეტი ჩიხლაძემ 7:5 მოიგო, შემდეგ კი ორი დათმო - 6:7 (2), 6:7 (4). ლადო ჰოლანდიელ **მიხელ კონინგთან** დუეტში წყვილთა თანრიგის საკვალიფიკაციო ბადიდან პირველივე სეტში გამოვარდა. მათ მეორე ნომრად განთესილ დანიელებთან **(ფრედერიკ ნილსენი, მარტინ პედერსენი)** - 2:6, 4:6 წააგეს.

დევიძე კვლავ ეშლენდშია

ამერიკის ქალაქ ეშლენდში იწყება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში 21 წლის **სალომე დევიძე** მონაწილეობს. სალომე ბადეში მე-7 ნომრად განთესეს. პირველ საკვალიფიკაციო წრეში სალომე დევიძემ რუს **ანგელინა გაბუევას** (656) 6:2, 6:2 მოუგო. მეორე წრეში ის ამერიკელ **მორინ დიასს** (791) შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰანდბური

ვლადიმერ ბოისა

ცამეტი და ცხრამეტი

ესპანურ ქალაქ მალაგაში შეკრებაზე მყოფმა ვლადივოსტოკის "სპარტაკ-პრიმორიემ" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. **ვლადიმერ ბოისას** თანაკლუბელებმა ერთდღიანი ვოიაჟი მურსიაში მოაწყვეს და მალაგაში დამარცხებულები დაბრუნდნენ. "მურსიამ" "პრიმორიეს" 84:75 სძლია.

მეორე პერიოდს თუ არ ჩავთვლით, მატჩი თანაბარ ბრძოლაში ნარიმართა. მეორე ათწუთეულში კი NBA-ს ყოფილი კალათბურთელებით გაძლიერებულმა (ჯიმი ჰანტერი, ჯარედ რეინერი) მასპინძლებმა 26:18 იმარჯვეს და საფინალო სირენამდე მოახერხეს მიღწეული უპირატესობის შენარჩუნება. საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვოვა ბოისა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და 13 ქულა ჩააგდო. იგი მხოლოდ ჯეი არ ბრემერსა და ალექსანდრ ფომინს (15-15 ქულა) ჩამორჩა.

სევილიაში ანდალუსიის თასისთვის ერთმანეთს **ტაირონ ელისის** "კახა" და "უნიკახა" დაუპირისპირდნენ. მატჩი მეტად საინტერესო რომ გამოდგა, ამაზე მეოთხედების ანგარიშები მეტყველებს: "უნიკახა"-"კახა"-71:66, 17:6, 15:27, 24:10, 15:23. არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ მატჩის სნაიპერი საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი ტაირონ ელისი გახდა. მის ანგარიშზე 19 ქულაა.

ესპანეთში შეკრებას მესამე ქართველიც გადის. **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევი" ვალენსიაში ორი დღის წინათ ჩაფრინდა და ადგილობრივ გუნდთან საკონტროლო შეხვედრაც გამართა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება უკრაინელებს დარჩათ - 59:54.

"ვალენსიას" რიგებში საქართველოს ნაკრების ყოფილმა კალათბურთელმა **შემონდ უილიამსმა** ითამაშა, თუმცა მეორე ნაცნობი გვარი, მარკოიშვილი, განაცხადში ვერ ამოვიკითხეთ. მანუს უთამაშებლობის მიზეზი შეხვედრის დასრულებისთანავე "კიევის" მწვრთნელმა **ტომო მაჰორიჩმა** ისაუბრა:

- არაერთხელ მითქვამს, რომ ამხანაგური მატჩების შემდეგ ტაბლოს არ ვუყურებ, ჩემთვის მთავარია კომბინაციების სათანადოდ დამუშავება. თუმცა, მოხარული ვარ, რომ წარმატებას მანუჩარ მარკოიშვილის გარეშე მივაღწიეთ. ქართველმა ფორვარდმა მატჩის წინა დღეს მცირე ტრავმა მიიღო. ჩვენი ექიმის ვარაუდით, მანუ მორიგ შეხვედრაში დაგვეხმარება.

შენგელია ვალენსიაში

საქართველოს კადეტთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, **თორნიკე შენგელია** ესპანურ "ვალენსიაში" სინჯებზე იყო. მან ყოველგვარი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და გუნდის ხელმძღვანელობამ ქართველი ფორვარდის ესპანეთში დატოვება გადაწყვიტა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ თორნიკეს მამა საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი **კახა შენგელიაა**, რომელმაც კარიერა ორიოდე წლის წინათ დაასრულა და ამჟამად ბავშვების მწვრთნელად მუშაობს.

მამის თქმით, თორნიკემ სინჯები წარმატებით გაიარა და მომავალ სეზონში "ვალენსიას" ახალგაზრდულ გუნდში ითამაშებს. ამ გადაწყვეტილებაზე დადებითი გავლენა იქონია გუნდის მაისურით ჩატარებულმა ორმა საკონტროლო მატჩმა. "ვალენსიამ" ორივეჯერ "ვალიადოლიდს" მოუგო. პირველ შეხვედრაში შენგელიამ თავი 22 ქულით გამოიჩინა, ხოლო მეორეში - 14 ქულა ჩააგდო.

ორი თვით უკან გავიხედებით და გეტყვით, რომ თორნიკე "ვალენსიას" მწვრთნელებმა პირველად ევროპის ჩემპიონატზე ნახეს. სადებიუტო შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა სწორედ ესპანელებთან დათმო. დამარცხებულთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო შენგელია იყო - 32 წუთში 18 ქულა, 5 მოხსნა, 6 ჩაჭრა, 1 პასი და 2 დაფარება მიითვალა.

თუმცა ეს არ იყო თორნიკეს საუკეთესო მატჩი ევროპის ჩემპიონატზე. ისრაელთან მოგებულ შეხვედრაში მან 36 წუთი ითამაშა და ორმაგი დუბლი შეასრულა - 24 ქულა, 11 მოხსნა.

აქვე ევროპის პირველობაზე მის საბოლოო მონაგარსაც გაგაცნობთ: 8 მატჩი, 12.9 ქულა (ჯამში 103), 6.4 მოხსნა (51), 1.6 პასი (13).

თორნიკე შენგელიაზე საუბარს მისი ყოფილი მწვრთნელის, **ნიკო ჩერქეზიშვილის** მოკლე დახასიათებით დავასრულებთ: *"თორნიკე უნივერსალური კალათბურთელია. იგი სიმაღლეში ორ მეტრსაა აცილებული, მაგრამ პერიმერზეც ისევე ეფექტურია, როგორც ფარქვეშ. იგი შრომისმოყვარე ახალგაზრდაა და თუ ასე განაგრძო, ბევრს მიაღწევს".*

ვაჟა სიმონიშვილი

დავით შენგელია (ბურთით)

დღეს დადიანის მემორიალის წილისყრაა

დღეს, კალათბურთის ფედერაციაში დუდუ დადიანის მემორიალის წილისყრა შედგება. ეს შეჯიბრება წლეულს მეშვიდედ ჩატარდება და მასში 6 გუნდი მიიღებს მონაწილეობას - "ვითა", "აზოტი", "ავიამშენი", "მაკაბი", "დინამო" და თსუ.

გარკვეულია მემორიალის ჩატარების სისტემაც - გუნდები ორ ჯგუფად გაიყოფა, საწყის ორ დღეს ჯგუფური მატჩები გაიმართება, მესამე დღეს კი ფინალური დაპირისპირება შედგება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ დადიანის თასს შარშან რუსთავის "აზოტი" დაეუფლა. მანამდე მემორიალი "დინამოს", სტუ-ს (ორჯერ), "ავიამშენს" აქვთ მოგებული. საყურადღებოა ისიც, რომ **გიორგი მარკოიშვილი** დაარსების დღიდან 2006 წლის ჩათვლით ყველა მემორიალის გამარჯვებულია. წლეულს იგი "ვითას" მაისურით იასპარეზებს...

ბოლოს მთავარსაც გეტყვით, დადიანის მემორიალი 4 ოქტომბერს დაიწყება. გარკვეულია საქართველოს 2007-08 წლების ჩემპიონატის დაწყების თარიღიც - 16 ოქტომბერი. ისევე, როგორც დუდუ დადიანის თასის გათამაშებაში, ეროვნულ პირველობაშიც 6 ზემოთ ნახსენები გუნდი მიიღებს მონაწილეობას

ძალოსნობა | მსოფლიო ჩემპიონატი

სამი ლიცენზიით მოვდივართ



ალბერტ კუზილოვი

სამწუხაროა, მაგრამ პეკინის ოლიმპიადაზე მხოლოდ სამკაციანი გუნდით მოგვიწევს გამგზავრება. მეოთხის შანსიც გვქონდა, მაგრამ ვერ შევძელით შენარჩუნება. ის კი არადა, გუშინდლამდე სამი ლიცენზიის მოპოვებაც კი ეჭვქვეშ იდგა, და რომ არა ჩვენებურთა ნორმალური შედეგი, ამასაც დავკარგავდით...

გუშინ, 105 კილოს წონის ათლეტები გამოვიდნენ ფიცარნაგზე. შუადღით C ჯგუფი, საღამო 8 საათზე კი - B. B-ში ორი ქართველი მონაწილეობდა და, რა თქმა უნდა, ჩვენი ყურადღება აქეთ იყო მიპყრობილი. ორივე - **ალბერტ კუზილოვიც** და **გია მაჭავარიანიც** ნორმალური განწყობით შეხვდნენ შეჯიბრებას. ერთი ეგ იყო, რომ დილით მაჭავარიანს 400 გრამამდე ზედმეტი წონა ჰქონდა და ზომაზე დასაყვანად მთელი დღე შიმშილობამ მოუწია. ეს წონა საშიში არ იყო და **გია ასანიძემ** დაამშვიდა - საღამოს 6 საათამდე, როცა აწონვა უნდა შემდგარიყო, ზედმეტ გრამებს იოლად დაწვავო, თუმცა კონტროლი აუცილებელი იყო. ამით იმაზე მიანიშნა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რომ მაჭავარიანი ზედმეტ აქტიურობას და ენერგიის ხარჯვას მორიდებოდა - არც სირბილი იყო საჭირო და არც საუნაში ჯდომა.

მაჭავარიანმა ისმინა გამოცდილი ათლეტის დარიგება და ყველაფერმა კარგად ჩაიარა - სასწორმა 104 კილო და 350 გრამი აჩვენა. ქართველი ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი იყო B ჯგუფში, რაც გარკვეულ უპირატესობას აძლევდა, ცხადია, თუკი აწეული შტანგის წონით გაჯიბრებას მოახერხებდა მეტოქეებთან. აქვე კვლავ უნდა შევნიშნოთ, რომ მაჭავარიანს ერთი თვის წინათ საქართველოს ჩემპიონატზე მიღებული მარცხენა მაჯის ტრავმა აწუხებდა და ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად შეიძლებოდა გადაქცეულიყო. რამდენად მოითმენდა გია ტკივილს, არავინ იცოდა.

ჯგუფში გასაკვირად ბევრი ძალოსანი მოგროვდა -17, 12 კიდევ A ჯგუფშია და აქედან რომ ჩასათვლელ ზონაში ანუ 25 კაცში მოხვდე, მაღალი შედეგის ჩვენებაა საჭირო. მაჭავარიანმა სანყისი წონა 165 შეუკვეთა, კუზილოვმა კი - 167. გიამ იოლად დაიმორჩილა წონა და 170 შეუკვეთა მეორე მისვლაზე. იქამდე კუზილოვმაც კარგად გამოიყენა დრო და, 173-ის დასაძლევად მოემზადა. ცხადია, გიას ადრე მოუწია გასვლა მეორე ცდაზე და სამწუხაროდ, წონა ვერ დაიმორჩილა - მაჯის ტკივილმაც შეახსენა თავი. ალბერტის გამოსვლამდე კვლავ მაჭავარიანმა სცადა ატაცი და კვლავ უშედეგოდ. ალბერტს მეორე გამოსვლამდე კარგა ხნით მოუწია ცდა და როგორც ამ შემთხვევაში ძალოსნებს ემართებათ, ტონუსიდან ამოვარდა, ანუ სპორტული ჟარგონით - გაცივდა.

საერთოდ, ახალმა წესებმა, ნებისმიერი წონით გაზარდო სიმძიმე, სრულიად შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა. როგორც ჩანს, ახალ წესებით თამაშს ბევრი ალღოს ვერ უგებს და აგებს... ერთ-ერთი მთავარი მომენტი სწორედ სპორტსმენის სათანადო ტონუსში, შეიძლება ითქვას საშეჯიბრო რიტმში ყოფნაა. მისვლებს შორის დიდი დრო არ უნდა იყოს, თორემ ბევრად მეტი შანსია წონა ვერ დაძლიო - მხოლოდ ერთეულებს თუ მოუხერხებიათ ასეთი რამ. ძალოსნობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაქსიმალურ წონასთან ჭიდილი დროის მცირე მონაკვეთში - 2-3 წუთში ჯობს...

ალბერტმა გვარიანად იცადა და 173 კილოგრამი ვერ დაიმორჩილა. ამ დროისთვის ორიოდ მეტოქე ჰყავდა დარჩენილი და წონაწე მალევე მოუწია მისვლა და იოლადაც აიღო. მასზე მეტი მხოლოდ სამმა ძალოსანმა დააგროვა და არცთუ ბევრით გაასწრეს - 3-4 კილოთი მხოლოდ.

კუზილოვს აკვრა ემარჯვება და ამის ხარჯზე შეეძლო ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა. ცუდად არც მაჭავარიანს გამოსდის აკვრა, მაგრამ მაშინ, როცა ჯანმრთელადაა, ამჯერად კი ფრთხილად, 200 კილოგრამით დაიწყო და აკრა კიდეც. ამის შემდეგ 205 კილოგრამი შეუკვეთა და მასაც დიდი ხნით მოცდა მოუწია, ამ მიზეზით და მთავარი პრობლემის - მაჯის ტრავმის გამო წონა აღარ დაემორჩილა - ხელი ძალიან იტკინა. შეიძლებოდა ცდა გაემეორებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრავმის უფრო მეტად, გაღიზიანებას მოერიდა და მწვრთნელთან შეთანხმებით, ფიცარნაგზე აღარ გამოსულა.

სამწუხაროა, მაგრამ ტრავმიანობა საქართველოს ნაკრებისთვის ამ ჩემპიონატზე ყველაზე დიდი დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდა.

ალბერტ კუზილოვიც ავადმყოფობდა - ბოლო 4 თვე თითქმის არ უვარჯიშია სრული დატვირთვით და პერიოდულად მკურნალობდა. უქმობა მის გამოსვლასაც შეეტყო, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც ვშიშობდით - მან ბევრ სირთულეს სძლია და ამისთვის მადლობაც ეკუთვნის.

ალბერტმა აკვრა 208 კილოგრამით დაიწყო და გაურკვეველი მიზეზით მკერდზეც ვერ აიღო. უმალ მეორე ნულის მიღების და ერთი ლიცენზიის დაკარგვის შიშმა შეგვიპყრო, თუმცა მალევე დაუბრუნდა ფიცარნაგს ალბერტი და 208 მშვენივრად ასწია. ამის შემედგ ველოდით, რომ 212-213 კილოს ფარგლებში შეუკვეთდა წონას, მაგრამ შევცდით - ტაბლომ 215 აჩვენა. იქამდე დიდი დრო რომ უნდა გასულიყო და ორგანიზმი "გაცივდებოდა" ერთი იყო, მაგრამ შეძლებდა კი თითქმის უვარჯიშებელი სპორტსმენი ასეთი წონის დაძლევას - სხვა საკითხი იყო. ეტყობა, მწვრთნელს და სპორტსმენსაც სჯეროდათ და ჩვენც მეტი რა გვინდოდა - რაც მეტია, მით უკეთესი და ამ შედეგით მინიმუმ მეორე ადგილს დაიკავებდა ჩვენებური.

ბევრი გაიცხრილა და 215-ის დრომ რომ მოაწია, ალბერტმა 220-ზე გადააკეთა. ეს კი ნაღდად ავანტიურას ჰგავდა: დრო ხომ კიდევ უფრო გაიწელებოდა და ამხელა წონაც კარგად ნავარჯიშებსაც შეიძლება დაუვარდეს - კიდევ ერთი ცდა რომ ჰქონდეს დარჩენილი, კი ბატონო - გარისკე თუ შეგიძლია, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ყოვლად გაუმართლებელი იყო. ავხედე კიდეც ტრიბუნებზე გიორგი ასანიძეს, რომელიც **ზვიად სამუკაშვილთან** და **არსენ კასაბიევთან** ერთად იჯდა, ამ დროს მათ მაჭავარიანიც შეერთებოდა და ყველამ გაკვირვება გამოთქვა.

როგორც აღმოჩნდა - თავად ალბერტს დაუჟინია - 220-ზე მივალ, ნაკლები არ გამაგონოთო. თვითდაჯერება კარგი რამ არის, თანაც ამ შედეგით B ჯგუფს ხომ იგებდა და იგებდა, A-შიც ბევრს აჯობებდა და ათეულში ეჭვგარეშე მოხვდებოდა. სამწუხაროდ, ვერ მოერია შტანგას: მკერდზე რთულად აიღო, მაგრამ ისე ეწადა გამარჯვება, რომ არაადამიანური ძალისხმევის ხარჯზე გაიმართა; მთავარიღა დარჩენოდა, მაგრამ ძალები ადამიანს ულევი არ აქვს და ვერც ალბერტს აღმოაჩნდა საკმარისი მარაგი: ხელების გამართვა ვერ შეძლო. დამარცხებულმა ბრაზისგან შტანგა ჩაწიხლა. გასახდელში კი ცრემლები ვერ მოუთოკავს და კარგა ხნით დატოვა **ვანო გრიქუროვმა** მარტო, რომ ემოციებისგან დაცლაში ხელი არ შეეშალა. უცნაურია, მაგრამ დამიმედებელი - დამარცხებისგან გამოწვეული ცრემლი შესაძლოა, დიდი გამარჯვებებისგან მომდინარე ცრემლებმა შეცვალოს...

საერთო ჯამში მაჭავარიანმა 365 კილო დაძლია, რაც ჯგუფში მეთოთხმეტე ადგილის ტოლია. კუზილოვის შედეგი კი 381 იყო და მეხუთე ადგილისთვის ეყო. B ჯგუფში სამმა მიიღო ნული. თუკი დღეს ერთი მაინც გამოეთიშება ასპარეზობას ან მაჭავარიანზე ცუდ შედეგს აჩვენებს (ეს კი თითქმის გამორიცხულია) მაშინ გია ჩასათვლელ ზონაში მოხვდება. ალბერტი კი უკვე იქ არის და იმის გარკვევაღა იქნება საჭირო რამდენ ქულას მოუტანს გუნდს. ხვალ საღამოს ყველაფერი გვეცოდინება და ამით მორჩება ჩვენი ანგარიში. ბოლო დღეს ჩიან მაის ფიცარნაგზე მონაწილე არ გვეყოლება.

ზვიად შათირიშვილი
ჩიან მაიდან

რეპორტაჟის სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ქაღრაჯი

ნაზი პაიკიძე ევროპის ჩემპიონია

ხორვატიის ქალაქ შიბენიკში დასრულდა ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატები, სადაც 15 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

მათგან საუკეთესო შედეგი აჩვენა 14-წლამდელ გოგონებში მოასპარეზე **ნაზი პაიკიძემ**, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა. ჩვენა აქტივში კიდევ ორი ბრინჯაოს მედალია - **ქეთი წანალაშვილი** (U-16, გოგონები) და **ლევან ბრეგაძე** (U-16, ბიჭები).

ქართველების საბოლოო შედეგები ასეთია:

ბიჭები. U-10: **9. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** - 6.0; U-12: **8. ირაკლი ბერაძე** 0 6.0; U-14: **15. გიორგი ნიკოლაშვილი** - 6.0; U-16: **3. ლევან ბრეგაძე** - 7.0, **15. დავით ლომთაძე** - 5.5; U-18: **50. სოფიკო გურამიშვილი** - 4.0

გოგონები. U-12: **18. ნატო იმნაძე** - 5.5, **20. თეკლა მაჭარაშვილი** - 5.0; U-14: **1. ნაზი პაიკიძე** - 7.5; **8. მერი არაბიძე** - 6.0; **13. მარიამ დანელია** - 5.5; **24. ნინო ანაკიძე** - 5.0; U-16: **3. ქეთი წანალაშვილი** - 7.0; **15. სალომე ხაჟომია** - 5.5; U-18: **6. მერი ჟორჟოლიანი** - 6.0

ცხენოსნობა

ჟოკეი-კლუბის ეროვნულობა

ფაქტია, მსოფლიოში არც ერთ ერს არ შეუქმნია იმდენი ცხენოსნური თამაშები, რამდენსაც საქართველო მოითვლის. ცხენბურთი, ისინდი, ჩეხვა, მკერდაობა, თარჩია, მოქნევა (მორქია), მთიდან დაშვება, მარულა, გაითავისეს ყაბახი. გარდა სახალხო გასართობი სანახაობისა, რომელიც იმართებოდა რელიგიურ თუ საერო დღესასწაულებზე, ცხენოსნური თამაშები საბრძოლო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი იყო და ემსახურებოდა ცხენ-მხედართა საომარ მომზადებას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმოა ცხენბურთი, მკერდაობა, ჩეხვა, ისინდი. ცხენბურთსა და მკერდაობაში ცხენიც იბრძოდა შეტაკებაში, ჯიქურ მიიწევდა მეტოქის ცხენ-მხედარზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ცხენბურთელის ჩოგანის სიგრძე, ზუსტად ქართული ხმლის ზომისა იყო.

ტრადიცია შენარჩუნებულია. აქვე ვიტყვით, რომ მარულა არც ერთი ქვეყნისა და ხალხის საცხენოსნო არსენალში არ გვხვდება. მისი აღმოჩენებაც ჩვენში საბრძოლო მომზადებასა და ტაქტიკას უკავშირდება. გამძლეობაზე - 25-30 კმ-ზე გადასარბენადაც კი ცხენების მომზადებას სამი მთავარი დანიშნულება ჰქონდა: პირველი - მერანს არაქათი არ გამოსცლოდა ბრძოლის ველზე, მეორე - გაქცეულ მტერთან მოეპოვებინა უპირატესობა დევნაში და მესამე - ტაქტიკური თვალსაზრისით უკუქცეული, უეცრად შემოუბრუნდებოდა მდევრებს და მათი ძალაგამოცლილი ცხენების მხედრებს მუსრს ავლებდა, გაქცეულებსაც ბოლომდე ანადგურებდა.

ცხენბურთი, ისინდი, დოღი და მარულა უცვლელი პროგრამაა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში საქართველოს ჩემპიონატში. ხალხს უყვარს სპორტის ამ ისტორიული ხალხური სახეობების ხილვა და ამიტომაც უამრავი მაყურებელი ესწრება ასპარეზობებს. ასე იყო ამ დღეებში სამტრედიაშიც, სადაც საქართველოს სხვა რაიონებისგან განსხვავებით, საცხენოსნო ტრადიციები, ავად თუ კარგად, დღემდე შემოინახეს, იპოდრომიც შეინარჩუნეს სოფ. ილორში და, აგერ, საქართველოს ჩემპიონატსაც უმასპინძლეს.

პირველი დღის შედეგებზე უკვე ვნერდით. მეორე დღე მთლიანად ცხეენბურთელებს და ისინდში მოასპარეზეებს დაეთმოთ. სამტრედიელებმა მეზობელ აბაშელებს ცხენბურთშიც აჯობეს (14:6) და ისინდშიც (13:2). ოზურგეთელებმა, მართალია, ფოთელებთან ცხენბურთში ნააგეს (4:11), სამაგიეროდ, ისინდში იმარჯვეს (9:7).

ჩემპიონატის ბოლო დღეს მოუთმენლად მოელოდნენ მაყურებლები. განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც ყოველთვის, ინვევდა მარულა 6 კმ-ზე. გახსოვთ, ალბათ, ასპარეზობის პირველ დღეს 2000 მ-ზე სადა დოღში პირველიც და მეორეც, ერთმანეთის მიყოლებით ფინიშზე მიიჭრენ ფოთელი მხედრები - შესაბამისად **გიორგი ჩხარტიშვილი** და **სერგო კარანაია**. თანაგუნდელებმა ასევთვე თანმიმდევრობით დაასრულეს მარულაც. ორგზის ჩემპიონი, 16 წლის ჩხარტიშვილი, მართლაც, რომ შეჯიბრების გმირად მოგვევლინა თავისი ყაბარდოული მერნით. მარულაში მესამე ადგილზე სამტრედიელი **დათო ახობაძე** გავიდა. ცხენბურთში ჩემპიონის ბედი ფოთისა და აბაშის გუნდების შეხვედრას უნდა დადაეწყვიტა. დაძაბულ პაექრობაში იმარჯვეს ფოთელებმა - 10:9. მესამე ადგილი სამტრედიელებს ხვდათ წილად ოღონდ, მას შემდეგ, რაც ბოლო მატჩში ოზურგეთელებმა, ცხენების ტრავმის მოტივით, უარი განაცხადეს თამაშზე. ფოთელებმა ისინდშიც აჯობეს აბაშელებს - 12:10, ოზურგეთელები სამტრედიელებს არც აქ გამოუცხადდნენ. ამ სახეობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ფოთი, 2. სამტრედია, 3. აბაშა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 80 ქულით პირველობა და 1280 ლარი ფულადი ჯილდო მოიპოვა, ფოთის გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდა სამტრედია - 66 ქულა და 880 ლარი, მესამეზე - აბაშა - 60 ქულა და 600 ლარი.

"წლევანდელმა ჩემპიონატმა იმედი ჩაგვისახა, რომ საქართველოში ცხენოსნობის ეროვნული სახეობები კვლავ აღორძინდება. თბილისის იპოდრომის ჟოკეი-კლუბის მხარდაჭერა ამ ეროვნულ საქმეში, რომელმაც თავის თავზე აიღო ჩემპიონატის ხარჯები და დააწესა ფულადი ჯილდოები, საამისოდ დიდ სტიმულს იძლევა. მადლობა კლუბის ხელმძღვანელებს" - თქვა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული სახეობების პრეზიდენტმა **ალექსანდრე ვადაჭკორიამ**.

თორნიკე გაჩეჩილაძე
სამტრედია-თბილისი

თბილი

ლალი დოლიძე. 25.09.1958, თბილისი - 26.04.2005, ფანო (იტალია). მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშსა და გუნდურ შეჯიბრებაში (1979), სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი თავისუფალ ვარჯიშში (1976), საერაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებული. 1992 წლიდან მუშაობდა მწვრთნელად იტალიაში. მისი აღზრდილია იტალიის მრავალგზის ჩემპიონი ლაურა ძაკილი. იტალიის ტანვარჯიშის ფედერაციამ აღიარა წლის საუკეთესო მწვრთნელად (1997), ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ კი წლის ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის დაასახელა (1998). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ინტერვიუ კოკა ლაზიშვილთან

გლადიატორების დაძრული საქმე

10 ახალი სტადიონი: თბილისში, ქუთაისში, თელავში, რუსთავში, ასპინძაში, დუშეთში, მარტვილში, ოზურგეთში, ბათუმსა და ფოთში

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ასპარეზობამ საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო თასზე, სპორტის ამ სახეობისადმი დამოკიდებულება ჩვენ ქვეყანაში რადიკალურად შეცვალა. იცვლება დამოკიდებულება ქართული რაგბის მიმართ საერთაშორისო არენაზეც. საქართველოს რაგბის კავშირში ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია IRB-მ ყოველწლიური დაფინანსება გაზარდოს. მოსალოდნელია საკმაოდ მსხვილი ფინანსური ინექცია, როგორც სახელმწიფოს, ისე ბიზნესსექტორის მხრიდან.

კოკა ლაზიშვილი

- ჩვენი გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილნი ვართ - გვიამბობს საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **კოკა ლაზიშვილი.** - გუნდს კიდევ ორი ურთულესი მატჩი აქვს სათამაშო და იმედი მაქვს, ბიჭები ჩვეული შემართებით იასპარეზებენ. განსაკუთრებით კი ფრანგების წინააღმდეგ ილესავენ კბილებს. კონსულტანტი ანრი ბრონკანიც გვპირდება, თითოეული ფრანგი მორაგბის ძლიერ და სუსტ მხარეებს წვრილად გაგიშიფრავთო. თუმცა მანამდე ჯერ აუცილებლადაა მოსაპოვებელი პირველი გამარჯვება მსოფლიო თასზე, ნამიბიის ნაკრების წინააღმდეგ.

- რადგან ანრი ბრონკანი ახსენეთ, იქნებ ნაკრების ფიზმომზადების ფრანგი მწვრთნელის ნიკოლა ფულკიეს ნამოღვაწარიც შეაფასოთ.

- ნიკოლა ფულკიემ სასწაული მოახდინა. მართალი გითხრათ თავიდან ვშიშობდით. მოსამზადებელ პერიოდში განცდილმა ხუთმა მარცხმა ამხანაგურ შეხვედრებში ძალიან დაგვაფიქრა. ნიკოლა კი სულ გვარწმუნებდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, მორაგბეები პიკს ნამიბიის ნაკრებთან მატჩისთვის მიაღწევენო. როგორც გამოჩნდა, მართალი იყო. ბიჭები მართლაც შესაშურ ფიზიკურ ფორმაში არიან და მოედანზე როგორც არაერთმა უცხოელმა სპეციალისტმა აღნიშნა, გლადიატორებივით იბრძვიან.

- საინტერესოა, რატომაა ასე მონდომებული ანრი ბრონკანი საფრანგეთის ნაკრების წვრილად გაშიფრვით. ეს ხომ მისი ქვეყნის ნაკრებია?

- ბრონკანისთვის, ისე როგორც ფულკიესთვის, ეს პრესტიჟის საქმეა. მათი წონა, იმიჯი და ავტორიტეტი უკვე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ყველამ იცის, რომ საქართველოს ნაკრების ასეთ კარგ თამაშში მათი წვლილიცაა.

- ბორჯღალოსნების თავდადებამ ფრანგულ მინდვრებზე საქართველოში რაგბისადმი ინტერესი გააღვივა. სახელმწიფო მსხვილი ინვესტიციების ჩადებას აპირებს. რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ხომ არაა უკვე მიღებული?

- სახელმწიფო აპირებს რამდენიმე მიმართულებით გაგვიწიოს დახმარება. კერძოდ, დაგეგმილია ათი სარაგბო სტადიონის მოწყობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ჩვენ უახლოეს დღეებში მივანდით კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქალაქების სიას და თუ არაფერი შეიცვალა, სტადიონები სწორედ აქ აშენდება. თბილისსა და ქუთაისის გარდა ესენია: თელავი, რუსთავი, ასპინძა, დუშეთი, მარტვილი, ოზურგეთი, ბათუმი და ფოთი. ამასთან ქუთაისსა და ბათუმში სახელმწიფო დაფინანსებით აშენდება ორი საერთაშორისო სტანდარტების სტადიონი, რომელიც რაგბის და ფეხბურთს საზიაროდ ექნება.

სახელმწიფო დააფინანსებს ასევე საქართველოს ჩემპიონატს. იმ ქალაქებში სადაც სტადიონები აშენდება, ადგილობრივ ბიზნესსექტორს დაევალება კლუბების შექმნა და დაფინანსება. ერთი სიტყვით, მალე ალბათ საქმე დაიძვრება და წინ მუხლმოუხრელი შრომა გველის.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ რაგბის კავშირის მფლობელობაში უკვე არსებულ სტადიონების საფარს უცხოური კომპანია "პოლიტანი" მოაწყობს.

- ეს ინფორმაცია მართალი არაა. ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება ამ კომპანიის წარმომადგენლებთან, მაგრამ არაფერზე შევთანხმებულვართ. ჩვენ ბევრი სხვა კომპანიისგან გვაქვს შემოთავაზება და ვეცდებით, მათ შორის საუკეთესო შევარჩიოთ.

ბესიკ ჯანგავაძე

ანრი ბრონკანი: ყველა ფრანგს დაწვრილებით გაგიშიფრავთ!

ნიკოლა ფულკიე: მზადყოფნის პიკი ნამიბიასთან გვექნება

ჯიმშელაძე ველარ ეთამაშება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ტრავმების გამო ორი მორაგბე, კაპიტანი **ილია ზედგინიძე** და ფულბეკი **პალიკო ჯიმშელაძე** გამოაკლდა. როგორც უკვე გაცნობეთ, მწვრთნელების გადაწყვეტილებით ზედგინიძეს გამოცდილი მეორეხაზელი **ზურაბ მჭედლიშვილი** ცვლის, რომელიც ამჟამად უკვე გუნდთან ერთადაა და მომავალი შეხვედრებისთვის ემზადება. ჯერაც გაურკვეველია, შეცვლის თუ არა ჯიმშელაძეს **თემურ სოხაძე.** გამორიცხული არაა, მწვრთნელებმა მისი გამოძახება საჭიროდ აღარ მიიჩნიონ.

25 სექტემბერი, 20:00, B
კანადა-იაპონია

ბორდო, სტადიონ შაბან-დელმა

კან: 15. მაიკ პაიკი 14. DTH ფანდერმერვე 13. კრეიგ კალპენი 12. დეივ სპაისერი 11. ჯეიმზ პრიჩარდი 10. რაიან სმითი 9. მორგან ვილიამსი (კაპ); 1. როდ სნოუ 2. პატ რიორდანი 3. ჯონ თიელი 4. მაიკ ბურაკი 5. მაიკ ჯეიმზი 6. კოლინ იუქსი 7. ადამ კლიბერგერი 8. აარონ კარპენტერი / 16. მაიკ ფლეჩი 17. დენ ფლეჩი 18. სკოტ ფრანკლინი 19. ჯოშ ჯექსონი; 20. მაიკ ვები 21. ედ ფერჰერსტი 22. ჯასტინ მენსა-კოკერი

იაპ: 15. გო არუგა 14. კოსუკე ენდო 13. იუტა იმამურა 12. შოტარუ ონიში 14. ქრისტიან ლოამანუ 10. ბრის რობინსი 9. ტომოკი იოშიდა; 1. ტაცუკიში ნიშიურა 2. იუძი მაცუბარა 3. ტომოკაცუ სომა 4. ჰიტოში ონო 5. ლიუკ თომპსონი 6. ჰარე მაკირი 7. ფილიპ ორეილი 8. ტაკურო მიუჩი (კაპ) / 16. ტაკუ ინოკუჩი 17. რიო იამამურა18. ლუატანგი სამურაი-ვატუვეი 19. ჰაჯიმე კისო; 20. ჩულვონ კიმი 21. კოძი ტაირა 22. ჰიროტოკი ონოზავა

მსაჯი: ჯონათან კაპლანი (ს.აფრ)

B ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	პ	ქ
ავსტრალია	3	3	0	0	178-35	3	15
უელსი	3	2	0	1	134-67	2	10
ფიჯი	3	2	0	1	76-102	2	10
იაპონია	3	0	0	3	52-198	1	1
კანადა	2	0	0	2	33-71	-	0

29 სექ, 17:00. ავსტრალია-კანადა
29 სექ, 19:00. უელსი-ფიჯი

25 სექტემბერი, 22:00, C
რუმინეთი-პორტუგალია

ტულუზი, სტადიონ მუნიციპალი

რუმ: 15. იულიან დუმიტრაში 14. კატალინ ნიკოლაე 13. იონუც დიმოფტე 12. რომეო გონტინიაკი 11. კატალინ ფერკუ 10. დანუც დუმბრავა 9. ვალენტინ კალაფეტიანუ; 1. ჩეზარ პოპესკუ 2. რაზვან მავროდინი 3. ბოგდან ბალანი 4. კოზმინ რაციუ 5. ქრისტიან პეტრე 6. ალექსანდრუ ტუდორი 7. ალექსანდრუ მანტა 8. ოვიდიუ ტონიცა (კაპ) / 16. მარიუს ტინკუ 17. პაულიცა იონი18. სორინ სოკოლი 19. ფლორინ კოროდიანუ; 20. ლუჩან სირბუ 21. ფლორინ ვლაიკუ 22. გაბრიელ ბრეზოიანუ

პრ: 15. პედრო ლეალი 14. ანტონიო აგილარი 13. ფედერიკო სოუზა 12. დიოგო მატეუში 11. მიგელ პორტელა 10. დუარტე პინტუ 9. ჟოზე პინტუ; 1. რუი კორდეირუ 2. ჟოაკიმ ფერეირა (კაპ) 3. რუბენ შპაჩუკი 4. დავიდ პენალვა 5. გონსალო უვა 6. დიეგო კოუტინიუ 7. ჟოაო უვა 8. ტიაგო ჟირაო / 16. ჟოაო კორეია 17. ხუან მანუელ მურე 18. პაულუ მურინელო 19. სალვადორ პალია; 20. ლაის პისარა; 21. გონსალო მალეირუ 22. პედრო კარვალიუ

მსაჯი: პოლ ჰონისი (ზელ)

C ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	პ	ქ
ზელანდია	3	3	0	0	224-27	3	15
შოტლანდია	3	2	0	1	98-50	2	10
იტალია	3	2	0	1	69-99	-	8
რუმინეთი	2	0	0	2	18-66	1	1
პორტუგალია	3	0	0	3	28-195	-	0

29 სექ, 15:00. ზელანდია-რუმინეთი
29 სექ, 23:00. შოტლანდია-იტალია

ხელბურთი

მეთვრამეტე ჩემპიონატი დაიოთხა

დღეს, არმიის სპორტული კომპლექსის დარბაზში, ხელბურთელთა მე-18 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. სამწუხაროდ, ხელბურთის ფედერაციის ოპტიმიზმი არ ახდა და ჩემპიონატში ექვსის ნაცვლად, ითამაშებს ოთხი გუნდი: სტუ-"თელავი", "თბილისი", "მამული" და "ქუთაისი". რაც შეეხება "იმედსა" და "ქარიშხალას", ამ გუნდებმა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

ქვეყნის 17-გზის ჩემპიონი სტუ-"თელავი", რაღა თქმა უნდა, წლეულსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. მოქმედმა ოქროსმედალოსნებმა, გამოკვეთილი ლიდერის - **რატი მსხვილიძის** ისლანდიაში წასვლის საკომპენსაციოდ, ახალი მოთამაშეები დაიმატეს "ქარიშხალადან", რომელიც სტუ-"თელავის" საბაზო გუნდად ითვლებოდა. დანარჩენი ახალგაზრდა ქარიშხალელები კი დროებით უგუნდოდ არიან და ალბათ ჩემპიონატის მსვლელობისას მონახავენ სასურველ კლუბებს.

ისე, ხელბურთის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რომ "ქარიშხალას" არსებობა არ შეეწყვიტა - დედაქალაქის მერიასთანაც კი დააყენა შუამდგომლობის საკითხი, რომ მერიას თავის მფარველობაში მყოფი კლუბისთვის ეპატრონა, მაგრამ სამწუხაროდ, "ქარიშხალას" ხელმძღვანელობამ გუნდის გამოყვანაზე მაინც უარი თქვა.

მარად საოცნებო ჩემპიონობისთვის ილესავს კბილებს "თბილისი", რომელიც წლეულსაც სტუ-"თელავის" ერთადერთ რეალურ კონკურენტად დარჩება. ვიცე-ჩემპიონთა რიგები დატოვა ოთხმა წამყვანმა ხელბურთელმა (**შოთა გრიშიკაშვილი, ლევან ოსიყმაშვილი, გიორგი ნატროშვილი** და მეკარე **გაგა სეთურიძე**) რომლებიც თურქეთის ჩემპიონატში გააგრძელებენ კარიერას. სანაცვლოდ, "თბილისმა" შევსება მიიღო ფარმკლუბ "იმედიდან". დანარჩენი იმედელები კი "მამულში" გადაბარგდნენ.

შარშან, "მამულმა" არსებობის ისტორიაში უსუსტესი სეზონი ჩაატარა და ყველა თამაში წააგო. არა გვგონია, წლეულსაც იგივე განმეორდეს, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ "მამულის" მაქსიმუმი იქნება მესამე ადგილის დაკავება.

რაც შეეხება "ქუთაისს", რიონისპირული კლუბი ორწლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება ეროვნულ ჩემპიონატს. ევროთასებზე მიღებულმა დისკვალიფიკაციამ და ეროვნულ ჩემპიონატთან დროებითმა გამოთხოვებამ, ქუთაისური ხელბურთი გვარიანად დასწია უკან. ვიმედოვნებთ, ქუთათურები მალე მიაღწევენ პროგრესს და სერიოზულ გუნდს ჩამოაყალიბებენ. წლეულს კი "ქუთაისი" ძირითადად, 16-17 წლის ჭაბუკებით იქნება დაკომპლექტებული, რომელსაც რამდენიმე შედარებით გამოცდილი მოთამაშე დაემატება. ასე რომ, ამ სეზონში, "ქუთაისის" ძირითადი ამოცანა იქნება ახალგაზრდა კადრების აღზრდა და "მამულთან" ჭიდაობა.

რაც შეეხება ჩემპიონატის ფორმატს. წლეულს გაიმართება სამი წრე. პირველი წრე დღეს დაიწყება ასკ-ის დარბაზში და სამ დღეს გასტანს. ერთ კვირაში, იმავე დარბაზში, მეორე წრე შედგება, რასაც მოჰყვება პაუზა ეროვნული ნაკრების გამო. 14 ოქტომბერს, ეროვნული ნაკრები შეკრებას დაიწყებს თვის ბოლოს გასამართი "ჩელენჯ ტროფისთვის", რის გამოც ჩემპიონატი დროებით შეჩერდება. ნოემბერში, ქუთაისში გაიმართება მესამე წრე, რის შემდეგაც ზამთრია არდადეგები ჩამოდგება.

2008 წლის მარტსა და აპრილში, შედგება კიდევ ორი წრე - ამჯერად მომოსვლითი სისტემით. ჩემპიონატის ფინიში კი მაისის ფლეიოფები იქნება.

მაშ, ასე - დღეს, 13 საათზე, მე-18 ეროვნული ჩემპიონატი გაიხსნება სტუ-"თელავისა" და "მამულის" მატჩით. 14:30 საათზე კი "თბილისი" "ქუთაისს" დაუპირისპირდება.

კობა ხატისაშვილი

ვარსკვლავის გაცილება

სიმულიანჯი დიდი გულით

შაბათს, სერბეთის ქალაქ ბელგრადში გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, რომელიც ლეგენდარული სერბი ცენტრის, ვლადე დივაცის კალათბურთიდან წასვლას მიეძღვნა. გთავაზობთ ცერემონიალის მონაწილეთა ყველაზე საინტერესო გამონათქვამებს.

ჰუმანიტარულ აქციას, რომლის მიზანი დაახლოებით 8 ათასი სერბი ლტოვილისთვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობისთვის თანხების შეგროვება იყო, ვარსკვლავები არ აკლდა. **ვლადეს დივაცის** მხარდასაჭერად, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში NBA-ში მისი ყოფილი თანაგუნდელები - **გლენ რაისი, კრის უებერი** და **სკოტ პოლარდი** ჩავიდნენ. აქვე იყვნენ "სან ანტონიო სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი**, ბერძნული კალათბურთის ვარსკვლავები **პანაიოტის იანაკისი** და **პანაიოტის ფასულასი**, ლიტველი **შარუნას მარჩიულიონისი**, პარტნიორები იუგოსლავიის ნაკრებიდან - **ტონი კუკოჩი, ზორან სავიჩი, საშა ჯორჯევიჩი, პრედრაგ დანილოვიჩი, ჟარკო პასპალი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, დეიან ბოდიროგა** და ბევრი სხვა.

მრავალსაათიანი სპექტაკლის მსვლელობისას, ვლადეს ვიდეო-ლინკის საშუალებით NBA-ის ყოფილი და მოქმედი ვარსკვლავები, ჰოლივუდში მისი ნიჭის დამფასებლები და ტელეკომენტატორები ესალმებოდნენ.

გრეგ პოპოვიჩი: *"თქვენ საუკეთესოები ხართ. სერბეთში მსოფლიოში საუკეთესო კალათბურთს თამაშობენ. 15-20 წლის წინათ, პირველად ვნახე ვლადე მოედანზე, ის ძალიან ახალგაზრდა იყო. უკვე მაშინ მივხვდი, რომ განსაკუთრებულ მოთამაშესთან გვქონდა საქმე. ყველამ ვიცით, რომ დივაცი უდიდესი კალათბურთელია, მაგრამ ვლადეს გული უფრო დიდია, ვიდრე მისი ნიჭი. აქ ყველანი მხოლოდ ერთი მიზეზით ჩამოვედით - ვლადეს გამო. ჩვენ აქ ვართ, რათა დავეხმაროთ მას იმ სამუშაოში, რასაც ის ლტოლვილებისთვის აკეთებს".*

კრის უებერი: *"დობრო ვეჩე, სრბიო!!! (დარბაზში შეკრებილებს სერბულად მიესალმა). არასოდეს მინახავს ერთ ადგილას, ერთი ადამიანისთვის შეკრებილი ამდენი ხალხი. და მან ეს დაიმსახურა არა იმიტომ, რომ მაღალი დონის კალათბურთელი იყო, არამედ იმიტომ, რომ მას უდიდესი გული აქვს. ის ხშირად მპირდებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სერბეთში ჩამიყვანდა, რადგან მე პირველი შავკანიანი სერბი ვარ - კრის უებეროვიჩი. ჩემთვის დიდი პატივია დღეს აქ თქვენთან ერთად ყოფნა".*

ჩარლზ ბარკლი: *"NBA-ის დღევანდელი ევროპელი ვარსკვლავები ვალში არიან შენს წინაშე, ვინაიდან სწორედ ვლადემ, დეტლეფმა (შრემპფი) და შარუნას მარჩიულიონისმა დაიწყეს ლიგაში ევროპელთა შემოსვლა".*

პატ რაილი: *"1990 წელს, მე მისი პირველი მწვრთნელი ვიყავი NBA-ში. ეს ბიჭი 7 ფუტი სიმაღლისა იყო, რომელსაც ყველაფერი ბრწყინვალედ გამოსდიოდა - ჰქონდა სტაბილური ტყორცნა, კარგად ატყუებდა მეურვეებს, კარგ პასებს იძლეოდა, უნაკლოდ აკონტროლებდა ბურთს".*

ფილ ჯექსონი: *"ვლადე ის მოთამაშეა, რომელმაც ბევრი ახალი შეიტანა ცენტრის თამაშში. ის ისტორიაში შევიდა როგორც მეხუთი ნომერი, რომელმაც სროლაც იცოდა და გადაცემის შესრულებაც".*

მეჯიკ ჯონსონი: *"როცა ვლადე პირველად მოვიდა "ლეიკერსში", მე მისი მზრუნველობა ვიკისრე. სასაცილო იყო, რადგან ინგლისურად სულ ორი სიტყვა იცოდა - "ჰამბურგერი" და "კოკა კოლა".*

დუშან ივკოვიჩი (იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი): *"პირველად მისი ნიჭი კრასიმირ ჩოსიჩმა დააფასა, როდესაც არ მოერიდა და 18 წლის ბიჭი 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანა. ვლადეს წვლილი კალათბურთში უდიდესი, პრაქტიკულად განუზომელია. და არა მხოლოდ მოედანზე. სადაც არ უნდა ყოფილიყო ის - გასახდელში, სასტუმროში, სასადილოში, ყოველთვის ამხნევებდა და ახალისებდა გუნდს, ამყარებდა მის მებრძოლ სულს, აუმჯობესებდა ატმოსფეროს. ის იმაზე მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მოთამაშე".*

ვლადე დივაცი საქველმოქმედო კონცერტის დროს

საშა ჯორჯევიჩი: *"ვლადეს ღმერთისგან ბოძებული ნიჭი ჰქონდა და ის, რასაც დღეს აკეთებს - ამ ნიჭის კიდევ ერთი გამოვლინებაა. ეს არის მაგალითი ყველა ჩვენთაგანისთვის, რომ ღირს ერთად ვიყოთ და მართლაც რაიმე ღირებული გავაკეთოთ მათთვის, ვისაც დღეს ჩვენი დახმარება სჭირდება. ვლადეს გარშემომყოფთათვის ყოველთვის ღიმილი მოჰქონდა. და დარწმუნებული ვარ, იმ ადამიანების სახეებსაც დაამშვენებთ ღიმილი, რომლებსაც დღეს დივაცი ეხმარება".*

თავად ამ ზეიმის ორგანიზატორმა სტუმრებს ასეთი სიტყვებით მიმართა: *"მე ყოველთვის უკეთ ვთამაშობდი მაშინ, როცა თქვენ მადევნებდით თვალს და მჭიმაგობდით. მთელი კარიერის მანძილზე დაახლოებით 20 ათასი ქულა დავაგროვე, 10 ათასზე მეტი მოხსნა გავაკეთე... დღეს კი, იწყება ჩემს ცხოვრებაში მთავარი მატჩი, სადაც თქვენი დახმარებით მინდა შევქმნა მსოფლიოში საუკეთესო გუნდი და მივაღწიო ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას - დავეხმარო ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ახლობლების გარეშე დარჩნენ და თავიანთი სახლებიდან გამოდევნეს. დიდი მადლობა ყველას!"*

გარდა იმისა, რომ NBA-ის ვარსკვლავია, ვლადემ ოკეანის გაღმა 15-წლიანი გამოსვლის დროს, ლიგის ისტორიაში საუკეთესო "ფლოპერის" რეპუტაცია მოიპოვა. ეს არის მოთამაშე, რომელიც წესების დარღვევის სიმულირებას ეწევა და უფრო ხშირად, მსაჯი მის სასარგებლოდ უსტვენს.

დივაცი დაცვაშიც და შეტევაშიც სრულყოფილებამდე ფლობდა ასეთ ილეთებს. ამიტომაც, NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** თბილ სიტყვებს ერთი ნახევრადსახუმარო ფრაზა მოაყოლა.

დევიდ სტერნი: *"ჩვენ ყველაფრისთვის მადლიერი ვართ შენი, იმისთვისაც, რომ წლების განმავლობაში NBA-ის ლიდერი იყავი ჯარიმების სიმულაციაში".*

ჯეისონ კიდი: *"ვლადე, შენ სიმულიანტებს შორის საუკეთესო ხარ".*

ოლდენ პოლინაისი: *"ჰოლივუდში უნდა გადახვიდე და ასწავლო მათ, როგორ უნდა თამაში".*

ბრაიან კუკი: *"მე შენს გამო დავიწყე სიმულირება".*

კრის მიმი: *"როცა ახალდება ვიყავი, ყველა სასტვენი ვლადეს სასარგებლოდ ისმოდა".*

ერიკ პიატკოვსკი: *"ვლადე სიმულიანტთა "დიდების დარბაზში" უნდა მოხვდეს".*

დელ ჰარისი ("ლეიკერსის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი): *"ვასწავლე თუ არა ვლადეს სიმულირება? თქვენ, ალბათ, ხუმრობთ! ის ასეთი ჩამოვიდა ჩვენთან და მთელს NBA-ს ასწავლა სიმულირება".*

გრეგ პოპოვიჩი: *"მას სიმულაციაში სადოქტორო ხარისხი ეკუთვნის. ვლადეს გამო, NBA-ში ყოველ წელს იცვლება წესები და მორიგი სეზონის დაწყების წინ, მოთამაშეებს "ანტისაფლოპინგო" აცრის გაკეთება უწევთ".*

NBA-ის ვარსკვლავთა ამ კომენტარებს, დივაცის თამაშის შესაბამისი ფრაგმენტები ერთვოდა თან.

დივაცის კალათბურთიდან გაცილების ოფიციალური ცერემონია გუშინ, მოთამაშის მშობლიურ ქალაქ პრიეპოლში დასრულდა, სადაც ვლადემ სიმბოლურად ჩააგდო კალათში უკანასკნელი ბურთი.



ალრეც ვწერდით, რომ NBA-ის დამდეგ რეგულარულში, ერთბაშად რამდენიმე სახელოვანი ვეტერანის დაბრუნებაა მოსალოდნელი. თუ რეჯი მილერმა კალათბურთის თამაშის განახლებას კომენტატორობა ამჯობინა, ალან ჰიუსტონი ჯერაც იმ აზრზეა, რომ მისი დღევანდელი კონდიციები სავსებით გამოსადეგია იმ გუნდისთვის, რომელიც ბებერ მსროლელს ნდობას გამოუცხადებს. ჰიუსტონი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და შეთავაზებებს ელის. მისი აყვანის სურვილი თავიდან ლებრონ ჯეიმსის "კლივლენდ კავალიერსმა" გამოთქვა, მერე კი მსურველთა სიაში "დალას მავერიქსიცა" და "დენვერ ნაგეტსიც" შევიდნენ. ინტერვიუში ალანი სწორედ ამ საკითხებზე საუბრობს.

ინტერვიუ ალან ჰიუსტონთან

ვინმეს ნამდვილად გამოვაღგები

- რატომ გადაწყვიტეთ დიდ კალათბურთში დაბრუნება?

- პრინციპში, არც არასოდეს წავსულვარ. ხომ გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ რაღაც საქმე მიატოვეთ, მაგრამ შემდეგ კვლავ მოინდომეთ მისი ბოლომდე მიყვანა. აი, სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვარ. ჩემი მთავარი სურვილი ჩემპიონობაა, მაგრამ არ დაგიმალავთ და ახლა, ყველაზე მეტად მაინც მოედანზე გასვლა და საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება მსურს. უდიდესი გამოცდილება მაქვს და ჩემს მომავალ გუნდს მთელ ამ ცოდნას მოვახმარ. ყველანაირად ვეცდები, ჩემი მსურველი კლუბები თავიდანვე დავარწმუნო, რომ ალან ჰიუსტონს ჯერ კიდევ შეუძლია კალათბურთის მაღალ დონეზე თამაში. "ნიუ იორკ ნიქსში" ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ 1999 წლის ფინალი "სან ანტონიომ" მოგვიგო. ვგრძნობ, რომ თამაშის შეტრიალების შნო ჯერ კიდევ მაქვს და ბოლო 3 თვის განმავლობაში ისეთი მონდომებით ვვარჯიშობ, როგორც არასდროს. ასე რომ, მზად ვარ დავბრუნდე, უფრო სწორად კი, განვაახლო თამაში. კალათბურთის თამაში ჯერაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

- ამ გადაწყვეტილების მიღებისას ვისი რჩევა გაითვალისწინეთ?

- ვესაუბრე ჩემს მეგობრებს - გრანტ ჰილს, კრის კარტერს, ჯეისონ კიდს, ჯონ სტარქსს, კლაიდ დრექსლერსა და ყოფილ დამრიგებელს, ჯეფ ვან განდის. ყველამ კარიერის განახლება მირჩია.

- რატომ გჯერათ, რომ 82-მატჩიან დამქანცველ მარათონს გაუძლებთ?

- საკუთარ შესაძლებლობებს ჩემზე უკეთ ვერავინ შეაფასებს. კალათბურთიდან რომ წავედი, იმდენად საშინელ ფიზიკურ კონდიციებში ვიყავი, რომ ბოლოს მრცხვენოდა კიდეც მოედანზე გასვლა. დავკარგე საკუთარი თავის რწმენა, თავდაჯერება და ვგრძნობდი, რომ გუნდი ძველებურად აღარ მენდობოდა. მუხლები აღარ მემორჩილებოდა და ვარჯიშებსაც კი ბოლომდე ვერ ვასრულებდი. ბოლოს, როდესაც რამდენიმე თვის წინათ, ერთბაშად 6 გუნდში გამსინჯეს, ყველამ მითხრა, რომ კარიერის გაგრძელება შესაძლებელი იყო. ასე დიდი ხანია, არაფერი გამხარებია. მთავარია, ენერგია რაციონალურად გადავანაწილო და რეგულარულის 82 შეხვედრისა და პლეიოფის ჩატარება პრობლემა არ იქნება.

- რამდენად მოერგება 36 წლის ვეტერანი დღევანდელ, ძალისმიერ და გაცილებით სწრაფ კალათბურთს?

- ვიცი, რომ წინა წლებთან შედარებით, კალათბურთი გაცილებით სწრაფი გახდა, მოთამაშეები უფრო ათლეტურები არიან, მაგრამ მაინც მგონია, რომ საბოლოო წარმატების მისაღწევად, მონდომება და საპლეიოფო გამოცდილებაა მთავარი. იმასაც მშვენივრად ვხვდები, რომ 35 წუთს მოედანზე აღარავინ გამაჩერებს, მაგრამ ნებისმიერი გუნდისთვის შემიძლია სარგებლის მოტანა. რობერტ ორომ, მაიკლ ფინლიმ და ჯერი სტექჰაუზმა ყველას დაუმტკიცეს, რომ ნამდვილ პროფესიონალს მაღალ დონეზე სათამაშოდ, ასაკის მატება ხელს ვერასოდეს შეუშლის.

- რამდენად დიდია თქვენდამი NBA-ის კლუბების დაინტერესება?

- ძალიან ბევრი გუნდი დაუკავშირდა ჩემს აგენტს და ერთნლიანი ხელშეკრულებაც შემომთავაზეს. ყველაზე კარგი წინადადებით "ნიქსმა" და "ნიუ ჯერსიმ" მომმართეს. გარდა ამისა, დღესაც მირეკავენ "დალასისა" და "კლივლენდის" წარმომადგენლები. ისინი უკვე ვარჯიშებზე გამოცხადებას მთავაზობენ, მაგრამ მირჩევნია, ჯერ უფრო კონკრეტული, კონტრაქტის გაფორმებასთან მიახლოებული წინადადება მივიღო და ვარჯიშზე მისვლას მერე მოვასწრებ. ამ ეტაპზე ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონო, დავითვალო და ამის მერე მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას.

- არ გგონიათ, რომ "ნიქსის" ფანები, მაინც და მაინც, ნასიამოვნები არ დარჩებიან, თუ კარიერას "ნიუ ჯერსიში" გააგრძელებთ?

- გულით ყოველთვის ნიქსელი ვიქნები, თუმცა არ დაგიმალავთ, რომ ჩემი ოცნება ჯეისონ კიდთან ერთად თამაშია. "ნიუ ჯერსიში" ძალიან საინტერესო შემადგენლობაა და ამ გუნდს სუპერფინალში გასვლის რეალური შანსები აქვს. კიდის გარდა, მათ ხომ რიჩარდ ჯეფერსონი და ვინს კარტერიც ჰყავთ. საერთოდ, მიამაჩნია, რომ დამდეგ რეგულარულში როგორც "ნიქსი", ასევე "ნიუ ჯერსი" ჩემპიონობისთვის თუ არა, მინიმუმ საფლეიოფოდ იბრძოლებენ. "ნიქსმა" ზაკ რენდოლფის სახით დიდი ძალა დაიმატა და იმედი მაქვს, აიზია ტომასი წლეულს ამ გუნდის სრულ პოტენციალს გამოიყენებს.

ზურაბ თალაკვაძე

ვარსკვლავი

ჰენმანი დაგვემშვიდობა

ტიმ ჰენმანი

ჩოგბურთის მოყვარულთათვის ცნობილი იყო, რომ დევისის თასზე ხორვატიასთან მატჩის შემდეგ კარიერას ასრულებდა ბრიტანელი ვეტერანი **ტიმ ჰენმანი**.

გასულ უიქ ენდზე, ბრიტანეთისა და ხორვატიის ნაკრებები უიმბლდონის კორტებზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს იყო მსოფლიო ჯგუფში გადასასვლელი შეხვედრა და ბრიტანელთა გუნდმა უზრუნველჰყო ჰენმანის კარიერის მაჟორულ ნოტაზე დასრულება. თუმცა ამაში ყველაზე დიდი წვლილი თავად ვეტერანს მიუძღოდა.

ტიმმა ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. თავდაპირველად, მან პარასკევს ერთეულთა თანრიგში **როკო კარანუშიჩის** წინააღმდეგ ითამაშა და სამ სეტში დაამარცხა მეტოქე. მანამდე, ბრიტანელთა ლიდერმა **ენდი მარეიმ** ხუთ სეტში მოუგო **მარინ ჩილიჩს**.

მეორე დღეს, ჰენმანმა წყვილთა თანრიგშიც ითამაშა. მისი პარტნიორი ახალგაზრდა **ჯეიმი მარეი** (ენდის უმცროსი ძმა) გახლდათ. ამ დუეტმა ჩილიჩი-**ჟოვკოს** წყვილს ოთხ სეტში მოუგო. საერთო ანგარიში 3:0 გახდა და ბრიტანეთი ბოლო ოთხ წელიწადში პირველად, მსოფლიო ჯგუფში დაბრუნებას ზეიმობდა.

"უკეთესი სცენარის მოფიქრება შეუძლებელი იყო, - განაცხადა 33 წლის ჰენმანმა. - ყოველთვის მიყვარდა საკუთარი ქვეყნისთვის თამაში და უიმბლდონის კორტები. ამ დღეებში ამ ორი სიყვარულის გაერთიანება მოხდა და შესაბამისად, ჩემი ოცნება რეალობად იქცა".

"ჩვენი მიზანი დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში დაბრუნება იყო. გუნდმა ეს შეძლო და ახლა უკვე ჯერი ენდიზე და ნაკრების სხვა წევრებზეა, რომლებმაც უნდა შეინარჩუნონ ელიტაში ადგილი", - დაამატა ტიმმა.

თანამედროვე ჩოგბურთის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო ათწლეულში ბრიტანული ჩოგბურთის მთავარი ვარსკვლავის კარიერა საშუალო დონეზე ვითარდებოდა. ჰენმანმა ATP-ის 11 ტურნირი მოიგო (ძირითადად ჰარდზე), ხოლო "დიდი სლემის" ტურნირებზე მისი საუკეთესო მაჩვენებელი უიმბლდონზე, როლან გაროსსა და აშშ-ის ღია პირველობაზე ნახევარფინალურ ეტაპებზე მონაწილეობა იყო.

2002 წლის ივლისში, ჰენმანმა ATP-ის რეიტინგში მისთვის უმაღლეს საფეხურს - მე-4 პოზიციას მიაღწია. ბრიტანელები სწორედ ტიმისგან ელოდნენ, რომ ის ნავსს გატეხდა და 1930 წლის შემდეგ პირველი ბრიტანელი გახდებოდა, ვინც უიმბლდონის მოგებას მოახერხებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

თუმცა ჰენმანი მაინც შევა უიმბლდონის ისტორიაში. ლეგენდარული სტადიონის პირველ კორტთან ახლოს ერთი პატარა ბორცვია, რომელზეც მაყურებლები დიდი ეკრანის წინ სხდებიან მატჩების საყურებლად. არაოფიციალურად, ამ ბორცვს უკვე მიენიჭა ჰენმანის სახელი.

ტურნირების მიმოხილვა

სავაის მეორე ჭიჭული

უნგრელ თინეიჯერ **აგნეშ სავაის** ტრიუმფით დასრულდა ჩინეთის ღია პირველობის გათამაშება, რომლის ფინალშიც მან სამ სეტში, 6:7, 7:5, 6:2 მოუგო მსოფლიოს მესამე ჩოგანს, სერბ **ელენა იანკოვიჩს**.

სავაისთვის ეს პროფესიულ კარიერაში მოგებული მეორე ტურნირია. 18 წლის ჩოგბურთელმა პირველი ტიტული ივლისში პალერმოს ტურნირზე მოიპოვა. ეს სეზონი მან რეიტინგის 207-ე საფეხურზე მყოფმა დაიწყო, პეკინში ტრიუმფის შემდეგ კი 23-ე ადგილზე გადაინაცვალა.

"იმდენად ბედნიერი ვარ, სიტყვებით ამის გამოხატვაც შეუძლებელია. ეს ჩემი კარიერის ყველაზე დიდი გამარჯვებაა. ტურნირის მოგება ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, მაგრამ სულ სხვაა, როცა ასეთ ძლიერ ჩოგბურთელს ამარცხებ და თანაც მას შემდეგ, რაც მას მატჩ პოინტი ჰქონდა", - განაცხადა სავაიმ, ვინც პირველი სეტი ტაიბრეიკზე დათმო, მეორეში კი მარცხთან ერთი ქულა აშორებდა.

შეხვედრის გარდატეხის მომენტი სწორედ მეორე სეტის მეათე გეიმში დადგა, როცა უნგრელი თავის მოწოდებაზე მატჩ პოინტის წინაშე აღმოჩნდა. მან პირველი მონოდება გააფუჭა, მაგრამ მეორე ცდაზე ეისი მოაწოდა, რითაც მატჩ პოინტი გაქვითა. აქედან მოყოლებული, მან კიდევ ზედიზედ ხუთი ქულის აღება შეძლო და თამაშიც ამით გადაარჩინა.

გადამწყვეტი სეტის დასაწყისში, იანკოვიჩმა ბრეიკის აღება შეძლო, მაგრამ მესამე გეიმიდან მოყოლებული, სავაიმ ზედიზედ ექვსი გეიმის მოგება შეძლო და შეხვედრაც გამარჯვებით დაასრულა.

"ამდენი შანსი მქონდა, მაგრამ ვერცერთი ვერ გამოვიყენე. ალბათ იმიტომ, რომ გადამწყვეტ მომენტებში ვჩქარობდი. ამან კი შეცდომები დამაშვებინა. ეს იმ დროს, როცა ჩემი მეტოქე იშვიათად ცდებოდა", - განაცხადა იანკოვიჩმა, ვინც ზედიზედ მეორე ტურნირის ფინალში ითამაშა და ორივე შემთხვევაში, კორტი წაგებულმა დატოვა.

მოგვიანებით მან განაცხადა, რომ კისერი გაუცივდა, რის გამოც, მარჯვენა მხარში ტკივილები ჰქონდა. თანაც, მეორე სეტის შემდეგ ისე დავიღალე, მესამეში თამაშის თავიც აღარ მქონდაო.

უნდა ითქვას, რომ პირველი სეტის ტაიბრეიკზე თავიდან სავაი 5:0 დაწინაურდა, მაგრამ სერბმა შეძლო ჩამორჩენის ლიკვიდირება და 9:7 თავად მოიგო. თითქოს, ასეთ შემობრუნებას გამოუცდელი უნგრელი ფსიქოლოგიურად უნდა გაეტეხა. მაგრამ ძლიერი მოწოდების წყალობით, რომლითაც ის მთელი ტურნირის განმავლობაში გამოირჩეოდა, სავაიმ თამაშის შემობრუნება და მოგებაც შეძლო, რითაც 88 650-დოლარიანი საბანკო ჩეკიც დაიმსახურა.



აგნეშ სავაი

რეიტინგები

WTA-ს რეიტინგი	
1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ)	5200
2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3609
3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3445
4(4). მარია შარაპოვა (რუს)	3235
5(5). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2940
6(6). ანა ივანოვიჩი (სერ)	2925
7(7). სერენა უილიამსი (აშშ)	2391
8(8). ნადია პეტროვა (რუს)	2266
9(9). ვენუს უილიამსი (აშშ)	2215
10(11). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ)	2042
11(12). მარიონ ბარტოლი (საფ)	1999
12(10). აბელი მორესმო (საფ)	1995
13(13). პატი შნიდერი (შვეიც)	1737
14(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1735
15(15). ელენა დემენტიევა (რუს)	1707
16(16). შაარ პეერი (ისრ)	1678
17(17). დინარა საფინა (რუს)	1674
18(18). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1588
19(19). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1528
20(23). აგნეს შავაი (უნგრეთი)	1360

WTA-ს საჩემპიონო რბოლა	
1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	4675
2. ელენა იანკოვიჩი (სერ)	3955
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3246
4. ანა ივანოვიჩი (სერ)	2847
5. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2556
6. მარია შარაპოვა (რუს)	2430
7. სერენა უილიამსი (აშშ)	2391
8. ვენუს უილიამსი (აშშ)	2190
9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1866
10. მარიონ ბარტოლი (საფ)	1803
11. ნადია პეტროვა (რუს)	1788
12. დინარა საფინა (რუს)	1667
13. შაარ პეერი (ისრ)	1588
14. პატი შნიდერი (შვეიც)	1555
15. ელენა დემენტიევა (რუს)	1517
16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1511
17. აბელი მორესმო (საფ)	1476
18. სიბილ ბამერი (ავსტრია)	1400
19. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1372
20. ტატიანა გოლოვინი (საფ)	1333

ფულადი მონაგარი	
1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	4 092 676
2. სერენა უილიამსი (აშშ)	1 946 491
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	1 855 242
4. ვენუს უილიამსი (აშშ)	1 800 437
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1 642 462
6. ანა ივანოვიჩი (სერ)	1 549 349
7. მარია შარაპოვა (რუს)	1 243 420
8. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1 095 261
9. მარიონ ბარტოლი (საფ)	1 038 885
10. დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ)	875 717
11. დინარა საფინა (რუს)	778 052
12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	768 503
13. შაარ პეერი (ისრ)	744 595
14. მარა სანტანჯელო (იტა)	669 662
15. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ)	649 167
16. ლიზელ უუბერი (აშშ)	644 084
17. ნადია პეტროვა (რუს)	634 502
18. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	625 295
19. კარა ბლეკი (ზიმ)	621 892
20. პატი შნიდერი (შვეიც)	616 037

25 სექტემბერი. სამშაბათი

I არხი

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

НТВ-კლუბი (უცხოური)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
18:00 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:20 საფეხბურთო კლუბი.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ვერდერი.

SPORT 1 (უკრაინა)

08:09 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:02 სპორტკლუბი.
10:21 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია.
13:04 ფეხბურთი. Barca TV.
13:11 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ჯენოა.
14:57 სპორტდოსიე.
15:21 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი.
16:55 მინი-მოედანი.
17:22 ფეხბურთი. Barca TV.
17:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ფერეირა-პორტუ.
19:14 სპორტული ისტორია.
19:27 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:29 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:36 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი (LIVE).
00:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:12 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ სიტი.
02:07 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ჯენოა.
03:54 ფეხბურთი. Barca TV.
04:03 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ფიგუერენსე.
05:47 სპორტული ისტორია.
05:59 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. ტაილანდი (LIVE).
13:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. ტაილანდი.
14:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. ტაილანდი (LIVE).
16:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ფინალი. II დღე. შტუტგარტი. გერმანია.
17:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
18:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. ტაილანდი.
19:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. ტაილანდი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. ტაილანდი.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 პროფესიული კრივი.
01:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
01:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. ტაილანდი.
02:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. ტაილანდი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. საფრანგეთი.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
17:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
18:00 მულტისპორტი.
18:30 არმრესტლინგი.
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
23:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი.
01:00 სერფინგი. საფრანგეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 რესტლინგი.
02:30 სერფინგი. საფრანგეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

იტალია

სერია C1/B

პერუჯა-პრეზეო	1:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ლიბურნი-ნანტი	2:3

ბელგია

სტანდარდი-ვესტერლო	2:1

პორტუგალია

ბოავიშტა-აკადემიკა	0:0

დანია

ოდენსე-ვიბორგი	4:0

ნორვეგია

ვოლერენგა-ფრედრიკსტადი	2:0

შვედეთი

ელფსბორგი-პალმარბუ	1:2
გეფლე-მალმიო	2:1
ერებრუ-პელსინბორგი	4:3
აიკ-იურგორდენი	1:1

II დივიზიონი

ენჩოპინგსი-აგვიდაბერგსი	1:2
პაკენი-ლეგერფორსი	0:1
ოსტერსი-ინენჩოპინგსი	2:0
სილვია-ლინგბაკილე	1:1

ფინეთი

ლაპტი-ტამპერე	0:2
აიკ-ინგერი	2:0
ტურკუ-ვიიკინგი	5:0
მიუპა-პონსა	1:0

ირლანდიის თასი

სტ. პატსი-ბოჰემიანსი	1:2

ჩეხეთი

სპარტა-ბოლესლავი	0:1

უნგრეთი

ვაშაში-შიოფოკი	0:0

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ქალები

იტალია-რუსეთი	55:60
გერმანია-რუმინეთი	85:78
ესპანეთი-ბელარუსი	76:62
საფრანგეთი-საბერძნეთი	58:50
ლატვია-თურქეთი	73:62
ბელგია-ლიტვა	68:53
სერბეთი-ხორვატია	88:70
ჩეხეთი-ისრაელი	75:43

პოლო

რუსეთი

ვიტიაზი-სიბირი	5:2

შვედეთი

პვ 71-ფრიოლუნდა	6:5
ლინდბოპინგი-ჭიმრე	3:2
სოლდერბალე-მორა	2:1

ჩოგბურთი

ATP. მუშაი

ბენეტო-შუტლერი	*5:7 შეწყდა*
მუდი-ფაუ	3:6, 6:2, 4:6
გასკე-ვლიეგენი	6:1, 6:2
სანტორო-ვასელენი	*6:1, 2:0 შეწყდა*
მატიო-კიფერი	*3:4 შეწყდა*

WTA. ლუქსემბურგი

რადვანსკა-აზარენკა	6:4, 5:7, 1:6
კრაიჩეკი-კრემერი	3:6, 6:7
პეერი-საფაროვა	6:3, 6:3

WTA. სეული

ბრემონი-ნაკამურა	5:7, 7:6, 7:6
სუგიამა-მორიტა	5:7, 3:6
ვოსკობოევა-ფედოსოვა	6:4, 6:1
პარმენტიე-გალოვიტცი	6:2, 6:4

ქადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი

IX ტური. **მოროზევიჩი** (რუსეთი)-**კრამნიკი** (რუსეთი) 1:0; **ლეკო** (უნგრეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **ანანდი** (ინდოეთი)-**არონიანი** (სომხეთი) - 0.5:0.5; **გრიშჩუკი** (რუსეთი)-**გელფანდი** (ისრაელი) - 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1. **ანანდი** - 6 ქულა; 2. **გელფანდი** - 5; 3-5. **კრამნიკი, გრიშჩუკი, ლეკო** - 4.5; 6-7. **მოროზევიჩი, არონიანი** - 4; 8. **სვიდლერი** - 3.5.

კალათბურთი

იასიკიავიჩუსმა პანათინაიკოსი დაადასტურა

ლიტვის ნაკრების გამთამაშებელმა **შარუნას იასიკიავიჩუსმა,** ისრაელის ერთ-ერთი სატელევიზიო არხისთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის მომდევნო ორ სეზონს საბერძნეთის "პანათინაიკოსში" გაატარებს.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ლიტველი ვარსკვლავის წლიური ხელფასი 4 მილიონი დოლარი იქნება. გარდა ამისა, "პანათინაიკოსი" იასიკიავიჩუსის ყოფილ კლუბს, "გოლდენ სტეიტ უორიორზს" კალათბურთელთან კონტრაქტის განყვეტისთვის 2 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ოდენი ოპტიმისტია

როგორც ცნობილია, წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა **გრეგ ოდენმა** მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო მთელი სეზონის გამოტოვება მოუწევს.

"პორტლენდ თრეიილ ბლეიზერსის" ახალწვეული ოპერაციის შემდეგ, პირველად გამოჩნდა პრესის წინაშე და ტრავმის შესახებ კომენტარი გააკეთა. 20-წუთიანი საუბრის დროს, ოდენმა განაცხადა, რომ ის მოედანზე უფრო ძლიერი დაბრუნდება, ვიდრე აქამდე იყო.

"მკურნალობის პროცესი დიდი ხანი გაგრძელდება, მაგრამ მე დავბრუნდები და იმაზე ძლიერად ვითამაშებ, ვიდრე ამას ტრავმის მიღებამდე ვაკეთებდი. როცა ექიმები ნებას დამრთავენ, ვარჯიშებზე თავს არ დავზოგავ და მომავალ სეზონს მოუთმენლად დაველოდები. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც ამ რთულ პერიოდში ბოლომდე მედგა გვერდით", - თქვა ოდენმა.

როდმანს ძლიერი ხელი ჰქონია

ამერიკული კალათბურთის ყოფილი ვარსკვლავი **დენის როდმანი** სექსუალურ ძალადობაშია ეჭვმიტანილი. სააგენტო AP-ის ცნობით, პოლიციაში შევიდა რესტორან "ჰენესი ტავერნის" მიმტანის განცხადება. დაზარალებული ქალბატონი ირწმუნება, რომ როდმანმა მას ისეთი ძალით შემოსცხო უკანალზე, რომ მას რბილ ადგილას კალათბურთელის თითის ანაბეჭდებიც კი დარჩა.

"პოლიცია უყურადღებოდ არ დატოვებს ამ ინციდენტს. ჩვენ დაზარალებულისგან განცხადება მივიღეთ და ახლა ამ საქმეს სექსუალური ძალადობის მუხლით გამოვიძიებთ", - განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

ჰოკეი

ბოილი საკუთარი ციგურით დაიჭრა

"ტამპა ბეი ლაიტნინგის" ერთ-ერთი წამყვანი მცველი **დენ ბოილი,** საკუთარი გაუფრთხილებლობის გამო დაახლოებით თვენახევარი ვერ შეძლებს თამაშს. ჰოკეისტმა მაჯაზე ოპერაცია გაიკეთა და ექიმების პროგნოზით, ბოილს ექვსი კვირა იძულებითი დასვენება მოუწევს.

კვირას, "ვაშინგტონთან" საკონტროლო შეხვედრის შემდეგ, ბოილმა გასახდელში ციგურები ზერელედ ჩამოკიდა საკიდზე. საბოლოოდ, ფეხსაცმელი ჩამოვარდა და ციგურებმა ჰოკეისტს მაჯაზე მყესები გადაუჭრა.

ბოილი "ტამპას" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. 31 წლის ჰოკეისტმა შარშანდელ სეზონში 82 მატჩი ჩაატარა, 20 გოლი გაიტანა და 43 შედეგიანი პასი გააკეთა.

ჭრიკი

ჰარისონი სიკვდილს გადაურჩა

ბრიტანელი ოლიმპიური ჩემპიონის, მძიმეწონოსან **ოდლი ჰარისონის** რინგზე დაბრუნება გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ 35 წლის მოკრივე ფლორიდაში ავტოკატასტროფაში მოხვდა. ავარიის შედეგად, ჰარისონმა მხარი და მაჯა დაიზიანა, აგრეთვე ტვინის შერყევაც მიიღო.

ჰარისონს მომავალ შაბათს, შეფილდში **ხულიო გონსალესის** წინააღმდეგ უნდა ეჩხუბა. ავარიის შემდეგ, ბრიტანელმა BBC-ის შემდეგი განუცხადა: *"რა დროს კრივია! ღმერთს მადლობა უნდა გადავუხადო, რომ საერთოდ ცოცხალი გადავრჩი".*

პატონმა ბექჰემი დაპატიჟა

8 დეკემბერს, ლას ვეგასში დიდი კრივია. ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრიტანელი **რიკი ჰატონი** და ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** იჩხუბებენ.

რიკი ჰატონმა ბრძოლაზე დასანრებად სპეციალური მიწვევა გაუგზავნა ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავ **დევიდ ბექჰემს**. აღსანიშნავია, რომ ჰატონი "მანჩესტერ სიტის" თავგადაკლული ფანია, ბექჰემს კი, კარიერის დიდი ნაწილი "მანჩესტერ იუნაიტედში" აქვს გატარებული.

სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბრიტანელი მოკრივე თავის ბრძოლებზე ფეხბურთელებს იწვევს. **ხოსე ლუის კასტილიოსთან** წინა ბრძოლის წინ, რინგზე საჩემპიონო ქამარი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა **უეინ რუნიმ** აიტანა.

ჩოგბურთი

ფედერერი სამპრასის წინააღმდეგ

მალაიზიის დამოუკიდებლობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ნოემბერში ამ ქვეყანაში საინტერესო საჩვენებელი მატჩები გაიმართება.

22 ნოემბერს, ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან მსოფლიოს ამჟამინდელი და ყოფილი პირველი ნომრები - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ამერიკელი **პიტ სამპრასი,** რომელიც ყველა დროის ლიდერია "დიდი სლემის" ტურნირებში გამარჯვებების რაოდენობით (14).

მალაიზიაში ჩავლენ ესპანელი **რაფაელ ნადალი** და ფრანგი **რიშარ გასკე**. მათი შეხვედრა 20 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

ამერიკული ფეხბურთი

ფავრემ რეკორდი გაიმეორა

ამერიკული ფეხბურთის ლიგის (NFL) რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში რეკორდი დამყარდა. "გრინ ბეის" ქვოთერბექმა **ბრეტ ფავრემ** თაჩდაუნების რაოდენობით ლიგის რეკორდი გაიმეორა. ფავრე თავის კარიერაში 420-ედ შევიდა მეტოქის ჩათვლის მოედანზე.

პირველად მსგავსი შედეგი "მაიამის" ყოფილმა ქვოთერბექმა **დენ მარინომ** დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ 37 წლის ფავრე NFL-ში თავის მე-17 სეზონს ატარებს.

რაც შეეხება შეხვედრას, "გრინ ბეიმ" 31:24 მოუგო "სან დიეგოს".



დაირონ რობლესმა ლამის მსოფლიო რეკორდი დაამყარა

მსოფლიო ფინალი

რობლესის შტუტგარტული გაელვება

გერმანიის ქალაქ შტუტგარტის **გოტლიბ დაიმლერის** სახელობის სტადიონზე დასრულდა მძლეოსანთა მსოფლიო ფინალი, რითაც მძლეოსანთა ევროპული სეზონიც დაიხურა. ტურნირის მეორე დღესაც, ტრიბუნაზე თავშეყრილი 22 000 მაყურებელი ბევრი საინტერესო სანახაობის მოწმე შეიქნა.

მათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოდგა 400 მეტრზე ქალთა სპრინტი, რომელშიც ამერიკელმა **სანია რიჩარდსმა** მსოფლიოს ჩემპიონს, ბრიტანელ **კრისტინ ოჰურუგუს** აჯობა. რიჩარდსმა, ვინც ერთი კვირით ადრე ოქროს ლიგის მილიონ-დოლარიანი ჯეკპოტის მოზიარე გახდა, დისტანცია 49.27 წამში გაირბინა და ამით, მის მიერვე ბერლინის ოქროს ლიგის შეხვედრაზე დაფიქსირებული სეზონის საუკეთესო შედეგი გაიმეორა. მეორე ადგილზე იამაიკელი **ნოვლენ უილიამსი,** მესამეზე კი ოჰურუგუ გავიდა.

შეგახსენებთ, რომ რიჩარდსმა ოსაკაში აშშ-ის ნაკრების სახელით ამ დისტანციაზე ვერ იასპარეზა. მაგრამ ოსაკას შემდეგ, ტურნირი არ წაუგია. შტუტგარტში ტრიუმფის შემდეგ კი განაცხადა, რომ ახლა ერთადერთი მიზანი - პეკინის ოლიმპიადაზე გამარჯვება ამოძრავებს.

ორდღიანი ტურნირის გვირგვინად კი 110 მეტრზე კაცების თარჯრბენი გამოდგა, რომელშიც კუბელმა **დაირონ რობლესმა** ლამის მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. მან ფინიშის ხაზი სტარტიდან 12.92 წამში გადაკვეთა, რაც ჩინელი **ლიუ სიანის** მსოფლიო რეკორდზე 0.04 წამით მეტია.

რობლესმა ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე მედლის აღებაც კი ვერ შეძლო. მართალია, შტუტგარტში არ უასპარეზია მსოფლიო ჩემპიონ სიანს, მაგრამ კუბელს მაინც სერიოზული კონკურენტები ჰყავდა ამერიკელების, **ტერენს ტრამელისა** და **ალენ ჯონსონის** სახით.

სენსაციური შედეგით დასრულდა კაცების 200 მეტრზე სპრინტი. აქ ფავორიტი ამერიკელი **უოლეს სპირმონი** იყო, მაგრამ ფინიშზე მას ნორვეგიელმა **ჯაიასუმა საიდი ნდურემ** მიასწრო, ვინც ტურნირის პირველ დღეს, ას მეტრზე სპრინტში მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ მსოფლიოს რეკორდსმენს, იამაიკელ **ასაფა პაუელს** ჩამორჩა.კიდევ ერთი სენსაცია მოხდა ქალთა შორის 400 მეტრზე თარჯრბენში, რომლის დროსაც დაშვებული მცირე შეცდომა ნაგების ფასად დაუჯდა მსოფლიოს ჩემპიონს ავსტრალიიდან **იანა რაულინსონს**. ფინიშს კი ყველაზე მოკლედ დროში (54.17 წამში) პოლონელმა **ანა იესიენმა** მიაღწია. შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ დღეს, კაცების 400 მეტრზე თარჯრბენში, მსგავსი სენსაცია კიდევ ერთმა პოლონელმა, **მარეკ პლავგომ** შემოგვთავაზა, რომელმაც სულ რაღაც 0.01 წამით აჯობა ამერიკელ **ჯეიმს კარტერს**.

საშუალო და შორ დისტანციაზე რბენაში თითქმის ყველა სტარტი კენიელებმა მოიგეს. ერთადერთი გამონაკლისი გახდა 3000 ქალების რბენა, სადაც გამარჯვება ეთიოპიელ მსოფლიო ჩემპიონ **მესერეტ დეფარს** დარჩა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ჭრიკი

ვარსკვლავი

დე ლა ჰოიას ჰატონთან ბრძოლა სურს

სულ ახლახან, სახელოვანი ამერიკელი მოკრივე **ოსკარ დე ლა ჰოია** კრივიდან წასვლას აპირებდა და ამბობდა, **ფლოიდ მეივეზერთან** ბრძოლა ბოლო იქნება ჩემს პროფესიულ კარიერაშიო. მაგრამ ის ბრძოლა რომ წააგო და მილიონობით დოლარით გაიმდიდრა პირადი ბიუჯეტი, "ოქროს ბიჭმა" განაცხადა, კიდევ რამდენიმე ძლიერ მოკრივესთან შეხვედრა მწყურიაო.

დე ლა ჰოიამ, ვისი კომპანია "გოლდენ ბოი პრომოუშენიც" მეივეზერისა და ბრიტანელი **რიკი ჰატონის** ბრძოლებს უწევს ორგანიზებას, გამოაქვეყნა თავისი გეგმა, რომელიც კრივიდან წასვლამდე სამი დიდი ბრძოლის გამართვას ითვალისწინებს. ამ სამიდან კი პირველი ჰატონთან შეხვედრა უნდა იყოს.

ოღონდ, ოსკარის გეგმა ისეა გაწერილი, რომ მას ჰატონი-მეივეზერის ბრძოლაში ბრიტანელის გამარჯვება სჭირდება. *"თითებს ვაჯვარედინებ და ვიმედოვნებ, რომ ამ ბრძოლას რიკი მოიგებს. ვიცი, რომ ის მაგარი ბიჭია და განსაკუთრებით მისი ძლიერი დარტყმის იმედი მაქვს",* - რადიო ბიბისისთან საუბარში განაცხადა "ოქროს ბიჭმა".

"სპორტიდან ჯერ არ წავსულვარ და მჯერა, რომ ჯერაც შემიძლია დიდ ბრძოლებში მონაწილეობა. მომდევნო სეზონში სამი ბრძოლის გამართვას ვაპირებ. მათგან ორი ალბათ მაისსა და სექტემბერში გაიმართება. ბოლო ხანს, სეზონში ერთი ბრძოლის მეტს არ ვატარებ და ვთვლი, რომ ეს დიდი შეცდომაა. სანამ ორ დიდ ბრძოლას გავმართავ, კარგი იქნება, თუ ერთი გასახურებელი ბრძოლაც მექნება. მომდევნო ორი ბრძოლის შემდეგ კი, ალბათ ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდების დროც დამიდგება", - ამბობს დე ლა ჰოია, ვისაც თავისი კარიერის განმავლობაში 43 ბრძოლა აქვს გამართული და აქედან 38 მოიგო (30 ნოკაუტით). ამასთან, ექვს წონით კატეგორიაში მან 10 ტიტულის მოპოვება შეძლო.

ბოლო გამარჯვება მან 2006 წლის მაისში, ნიკარაგუელ **რიკარდო მაორგასთან** ბრძოლაში მოიპოვა და WBC-ს ქვესაშუალო წონის ტიტულს დაეუფლა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი მეივეზერისგან იწვნია მარცხი.

მერაბ ლორთქიფანიძე

ეროვნული სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით ფალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაგაიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10 ½,
0159 თბილისი
(ლენინის, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა